წლიწადი მეთერთმეტე
პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და თბ. კომიტეტების და საქ. ცაკის ორგანო
ტელეფონები №№: რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—28—17, სამდივნოს—10—58, მთ. კანტორის—8—81.
შაბათი, 22 აგვისტო 1931 წ. № 193 (3148)

საშემოდგომო სას.-სამ. კამპანიის ბოლშევიკურად ჩატარებისათვის

1931 წლის საგაზაფხულო სასოფლო სამეურნეო კამპანიის ჩატარების პერიოდში უდიდესი წარმატებები იქნა მოპოვებული. საქ. კ. პ. (ბ) ცეკას მტკიცე ბოლშევიკური ხელმძღვანელობით და ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების ენერგიული მუშაობით გადაჭარბებით შესრულდა ღარიბი და საშუალო გლეხურ მეურნეობათა კოლექტივიზაციის 1931 წლის გეგმა.

გარდა ამისა ტეხნიკური კულტურების ფართობი გადიდებულ იქნა 112 პროცენტით, კერძოთ ბამბის ნათესი არე გადიდებული იქნა 73 პროცენტით და თამბაქოს 24 პროცენტით. მნიშვნელოვან წარმატებებს მივაღწიეთ ბალ-ბოსტნეულის და პირუტყვის საკვები კულტურების თესვის დარგშიც.

საკოლმეურნეო მშენებლობის, ტეხნიკური და სპეციალური კულტურების გავრცელების და ნათესი არეს გადიდების დარგში ეს უდიდესი მიღწევები მოპოვებულ იქნა პარტიის გენერალური ხაზის მტკიცედ დაცვის, მემარჯვენე და „მემარცხენე" ოპორტუნისტთა და მათთან შემარიგებლების წინააღმდეგ გადამჭრელი ბრძოლის, კულაკური წინააღმდეგობის გატეხვის და სოფლად ჩვენი კლასობრივი ძალების ბოლშევიკურად დარაზმვის საფუძველზე.

მაგრამ აღნიშნული უნდა იქნას ისიც, რომ საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიაში ადგილი ქონდა მთელ რიგ გარღვევებს და ნაკლოვანებებს; ასე მაგალითად: შესრულებული არ იქნა სიმინდის თესვის გეგმა, ჩაის თესვის გეგმის შესრულებას დააკლდა 22 პროცენტი, არ შესრულდა თუთის ახალი სანერგეების, ვენახების გაშენების გეგმა და სხვ.

გარდა ამისა საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის გეგმა აბსოლუტურად არა დამაკმაყოფილებლად იქნა შესრულებული სოციალისტური მეცხოველეობის მოწყობის დარგში, რაც ახსნილი უნდა იქნას ამ საქმეში პარტიის და ხელისუფლების ზემდგომ ორგანოთა მიერ მოცემული დირექტივებისადმი უყურადღებობით და მეცხოველეობის პრობლემის ოპორტუნისტული შეუფასებლობით.

ყველა ეს ნაკლოვანებანი და 1931 წლის გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის განმავლობაში მიღებული მეტად მდიდარი გამოცდილება გულდასმით უნდა იქნას აღნუსხული და გამოყენებული იმისათვის, რომ ჩამორჩენა არ განმეორდეს საშემოდგომო სასოფლო სამეურნეო კამპანიის გატარების დროს.

ახლავე უნდა იქნას დაწყებული ღრმა მასიურ-პოლიტიკური მუშაობა საშემოდგომო კამპანიის ნაყოფიერად გატარებისათვის. უპირველეს ყოვლისა **თვითეულ სოფლის კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობის მუშებს, ღარიბ და საშუალო გლეხებს დეტალურად უნდა გავაცნოთ საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის შედეგები და 1931 წლ. შემოდგომის სასოფლო სამეურნეო კამპანიის ამოცანები.**

საქ. კ. პ. (ბ) ცეკას და საქართველოს სახკომსაბჭოს დადგენილებაში, რომელიც ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში გამოქვეყნდა, მოცემულია კონკრეტული პროგრამა საშემოდგომო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის გასატარებლად. ამ დადგენილების თანახმად **წელს შემოდგომაზე უნდა დაითესოს არა ნაკლებ 325.000 ჰექტარისა.** ეს ნიშნავს გასულ წელთან შედარებით ნათესი არეს გადიდებას 53.000 ჰექტარით, ანუ 27 პროცენტით; გარდა ამისა „შემოდგომაზე უნდა დაითესოს ჩაი 8.500 ჰექტარზე და ჩაისათვის ნიადაგი უნდა შემზადდეს 17.800 ჰექტარზე. ამასთანავე უნდა ჩატარდეს საანეულო ხვნა 175.000 ჰექტარზე, აქედან ტეხნიკური კულტურებისათვის 54.800 ჰექტარზე, საზამთრო არატი მებამბეობის მინდვრებზე — 28.600 ჰექტარზე, მიწის სამეურნეო მელიორაცია (გარდა იმ გეგმისა, რომლითაც გათვალისწინებულია ნიადაგის მომზადება მრავალწლოვან ნარგავებთათვის) 40.000 ჰექტარზე" და სხვ.

ამ ღონისძიებების გატარებასთან ერთად წელს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სოციალისტური მეცხოველეობის ორგანიზაციას მსხვილი საბჭოთა მეურნეობების, საკოლმეურნეო-სასაქონლო ფერმების მშენებლობის და მტკიცე საკვები ბაზის შექმნის საფუძველზე.

საშემოდგომო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის დარგში პარტიის და ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა მიერ მოცემულ დავალებების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება მოითხოვს მთელი ძალების და მთელი საწარმოო საშუალებების მაქსიმალური დატვირთვით გამოყენებას, ოპერატიული და კონკრეტული ხელმძღვანელობის გაძლიერებას ადგილებისადმი და მუშაობაში უდიდესი მოქნილობის და გეგმიანობის შეტანას. დასახულ ამოცანათა გადაწყვეტა კატეგორიულად მოითხოვს სოფლის პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო, კოოპერატიულ და საკოლმეურნეო ორგანოების მობრუნებას პირით სოციალისტური მიწათმოქმედების კონკრეტული ამოცანებისაკენ: ხელმძღვანელობა არა ცირკულიარებით, არა „საერთოდ" და „ზოგადად", არამედ ხელმძღვანელობა გეგმიანად, ოპერატიულად და კონკრეტულად; არა ბრძანებლობა და უხეში ადმინისტრატიულობა, არამედ ახსნა-განმარტება, დარწმუნება, წახალისება და პრაქტიკული დახმარება—აი რა ესაჭიროება კოლმეურნეთა და ღარიბ, საშუალო გლეხთა მასებს საშემოდგომო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ამოცანებთან დაკავშირებით.

პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა საშემოდგომო სას.-სამ. კამპანიის ამ საერთო ამოცანებიდან დროულად უნდა **გამოყონ ამა თუ** იმ მომენტში კონკრეტული და უფრო აქტუალური ამოცანები. პირველ რიგში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ცალკე კულტურების მიხედვით **თესვის გეგმის დროზე დაყვანას** სოფლამდე, კოლმეურნეობამდე, ღარიბ და საშუალო გლეხობამდე, მტკიცე დავალებით — კულაკურ და შეძლებულ მეურნეობებამდე.

არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს ჯიშიანი **სათესლე მასალის** დროზე შეგროვებას, მის გაწმენდას და გამზადებას. საქ. კ. პ. (ბ) ცეკა და საქ. სახკომსაბჭო „ყურადღებას აქცევენ შემოდგომის და გაზაფხულის სათესი და დასაზღვევი ფონდების ორგანიზაციის გეგმის შესრულების საჭიროებას და აფრთხილებენ რაიონებს, რომ არავითარი მათი დაკვეთა სათესლე მასალაზე, როგორც შემოდგომის, ისე მომავალი საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიისათვის დაკმაყოფილებული არ იქნება". აქედან გამომდინარე თვითეული რაიონი, სოფელი და კოლმეურნეობა უნდა ეცადოს მიიღოს ყველა ზომები **და ადგილობრივი** რესურსებისაგან შექმნას სათესლე და დასაზღვევი ფონდის საჭირო რაოდენობა.

საშემოდგომო სას.-სამ. გეგმების და კერძოთ საანეულო ხვნის გეგმების შესრულებაში უდიდესი როლი უნდა ითამაშონ **სამანქანო-სატრაქტორო სადგურებმა.** გეგმის თანახმად წელს მარტო ჩაისათვის ტრაქტორებით ნიადაგი უნდა შემზადდეს 7.800 ჰექტარზე. ამ ამოცანებს სამანქანო-სატრაქტორო სადგურები იმ შემთხვევაში შეასრულებენ, თუ ისინი რადიკალურად გარდაქმნიან თავიანთ მუშაობას. უპირველესად ყოვლისა კი საჭიროა: გაუპიროვნების ლიკვიდაცია, ტრაქტორების მაქსიმალურად დატვირთვის მიღწევა, სოც-შეჯიბრება და დამკვრელობის გაშლა და მიწის დამუშავების **ხარისხის** გაუმჯობესება.

საშემოდგომო კამპანიის ამოცანათა გადაჭრა მოითხოვს სასოფლო სამეურნეო **კადრების** მომზადების და გადამზადების გაძლიერებას. ჩვენ უნდა მივცეთ კოლმეურნეობებს და საბჭოთა მეურნეობებს ორგანიზატორები, აგრონომ-ტეხნიკოსები, ზოოტეხნიკოსები, საკვების დასილოსების ოსტატები, ტრაქტორ-მესაჭეები, ბუღალტერ-მოანგარიშეები, კვალიფიციური ხილოსნები და სხვ. გარდა ამისა ჩვენ ადგილებზე ფართოდ უნდა დავაყენოთ კოლმეურნეობათა ბრიგადირების და შრომის ორგანიზატორების მომზადების და გადამზადების საქმე. საჭიროა დაუყოვნებლივ საქმეზე გადასვლა, კადრების მომზადება და გადამზადება დაწყებული უნდა იქნას **ახლავე, სერიოზულად და ფართო მასშტაბით.**

ცხადია, საშემოდგომო სასოფლო სამეურნეო კამპანიის პერიოდში გაძლიერდება ღარიბი და საშუალო გლეხთა ახალი მასების დენა კოლმეურნეობებისაკენ. ამისათვის საკოლმეურნეო მშენებლობის ზრდისათვის უახლოესი დახმარების და ხელმძღვანელობის გაწევა ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ცენტრალური ამოცანაა. საკოლმეურნეო მშენებლობაში მემარჯვენე ოპორტუნისტულ თვითმდინარების „პოლიტიკის" აღკვეთასთან ერთად არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნას დაშვებული „მემარცხენე" ოპორტუნისტული ნახტომები და საშუალო გლეხების საწინააღმდეგო განწყობილებები, რომელთაც არაფერი საერთო არა აქვთ პარტიის ლენინურ ხაზთან. კოლმეურნეობათა მიღწევების ფართოდ ჩვენება ღარიბი და საშუალო გლეხკაცობისათვის, მასიური-პოლიტიკური მუშაობის გაშლა, დარწმუნება და დაჯერება — აი ის მეთოდები, რომელსაც უნდა მივმართოთ ღარიბი და საშუალო გლეხთა ახალი მასების კოლმეურნეობაში ჩასაბმელად.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს კოლმეურნეობათა სამეურნეო-ორგანიზაციულ განმტკიცებას; უპირველესად ყოვლისა მიღწეული უნდა იქნეს სანარდო მუშაობის ფაქტიურად გატარება ყველა კოლმეურნეობებში. პარტიული ორგანიზაციები სათავეში უნდა ჩაუდგნენ კოლმეურნეობათა მოსავლის და შემოსავლის სწორად განაწილებას და გადაჭრით უნდა აღკვეთონ „გათანაბრების" პრაქტიკა, რომლის შენარჩუნებას ასე თავგამოდებით ცდილობენ კულაკები და მემარჯვენე ოპორტუნისტები.

საშემოდგომო სასოფლო სამეურნეო კამპანიის დარგში პარტიის და ხელისუფლების ხელმძღვანელ ორგანოთა მიერ მოცემული დავალებები უეჭველად **რეალურია** და მისი მთლიანად შესრულება შეიძლება ყოველგვარი სიძნელეების და დაბრკოლებების მიუხედავად. საჭიროა მხოლოდ ბოლშევიკური სიმტკიცე და სურვილი ამ გეგმების შესასრულებლად.

საქართველოს

ბურჟუაზია აძლიერებს რეპრესიებს კომპარტიის წინააღმდეგ

კამპანია კომპარტიის აკრძალვისათვის ავსტრიაში და გერმანიაში

გერმანია

კომუნისტური პრესის დევნა გრძელდება

ბერლინი, 20 აგვისტო. მიუნჰენში (ბავარია) პოლიცია თავს დაესხა კომუნისტურ გაზეთ „ნეიე ცეიტუნგ"-ის რედაქციას. რედაქციის შენობა გულდასმით გაჩხრიკეს.

ძლიერდება კამპანია გერმანიის კომ. პარტიის აკრძალვისათვის

ბერლინი, 20 აგვისტო. ზოგიერთმა პროვინციალურმა გაზეთმა ხელახლა დაიწყო კამპანია კომუნისტური პარტიის ასაკრძალავად.

„ცენნინგსბერგ ალჰემეინეცეიტუნგ"-ის გადმოცემით, ამ დღეებში ამ საკითხის შესახებ გაიმართება მოლაპარაკება ცალკე სახელმწიფოების მთავრობებს შორის. გაზეთის სიტყვით, ეს მთავრობები მოითხოვენ, რომ სრულიად გერმანიის მთავრობამ აკრძალოს გერმანიის კომპარტია (ადს).

გრძელდება ჩხრეკა გერმანიის კომ. პარტიის ც. კ.-ის სახლში

ბერლინი, 20 აგვისტო. პოლიციამ სანა განთავისუფლებდა გერმანიის კომპარტიის ც. კ.-ის სახლს, ერთხელ კიდევ გაჩხრიკა ის და წაიღეს წერილობით მასალა, რომელიც პოლიციაში გაგზავნეს გამოსაკვლევად (ადს).

ავსტრია

კომპარტიის დევნა

ვენა, 20 აგვისტო. იმ განკარგულებასთან დაკავშირებით, რომელიც ავსტრიის შინაგან საქმეთა სამინისტრომ გასცა კომპარტიის მოქმედების ჩასახშობად, მთელს ავსტრიაში დაიწყო კომუნისტური მოძრაობის გაძლიერებული დევნა. ზემო-ავსტრიაში ჟანდარმერიამ არა ერთხელ აკრძალა კომუნისტური კრება კირხდორფში. პოლიცია სცადა ადგილობრივი კომუნისტური ორგანიზაციის აკრძალვა, გრაცში დააპატიმრეს ორი მუშა, რომლებიც გამოვიდნენ კომუნისტურ კრებაზე, და ორი სტუდენტი, რომელთაც ბრალდებათ კომუნისტური პროპაგანდა. მუშები გადაასახლეს შტირიიდან ხოლო ერთი სტუდენტი სამართალში მისცეს (ადს).

იტალია

რეპრესიები კომუნისტების წინააღმდეგ გრძელდება

პარიზი, 20 აგვისტო. როგორც „ლუმანიტე" იუწყება, უკანასკნელ კვირეებში იტალიის პოლიციამ დააპატიმრა მრავალი კომუნისტი და აქტივისტი მუშათა იმ მასიური მოძრაობის გამოცოცხლების საპასუხოდ, რომელსაც ადგილი აქვს იტალიის ყველა კუთხეებში.

ჩეხო-სლოვაკია

პრაღა, 20 აგვ. დააპატიმრეს ყოველკვირეული კომუნისტური გაზეთის „ბორბა"-ს რედაქტორი ამხ. ფუჩიკი. დაპატიმრება მოხდა „რესპუბლიკის დაცვის კანონის" საფუძველზე. ამხ. ფუჩიკს ბრალდება, რომ იგი მუშათა კრებებზე თავის მოხსენებაში საბჭოთა კავშირის მდგომარეობასა და სამეურნეო მშენებლობას უპირისპირებდა ჩეხო-სლოვაკიის სრული სამეურნეო ნგრევის სურათს. ამხ. ფუჩიკის დაპატიმრებამ მუშათა წრეებში და მემარცხენე ინტელიგენციის ფენებში გამოიწვია უკმაყოფილება რადგან ამხ. ფუჩიკს ფართოდ იცნობენ როგორც წიგნის—„ქვეყანაში, სადაც დღე ნიშნავს ხვალეს" ავტორს (ადს).

ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის უდიდესი გამარჯვება

პრაღა, 20 აგვისტო. ბრატისლავში (სლოვაკიის მთავარი ქალაქი) კაბელის დიდ ქარხანაში მოხდა საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტის გადარჩევა, რომელიც დამთავრდა კომუნისტების სრული გამარჯვებით და სოციალ-დემოკრატების სრული დამარცხებით. კომუნისტურმა სიამ მიიღო 515 ხმა და 6 მანდატი, წარსულ წელს კი მან მიიღო 202 ხმა და 2 მანდატი. სოციალ-დემოკრატებმა მიიღეს 105 ხმა და 2 მანდატი, წარსულ წელს—227 ხმა და 4 მანდატი (ადს).

გერმანიისა და საფრანგეთის პროლეტარიატის სოლიდარობის მიტინგი

პარიზი, 20 აგვისტო. გაიმართა მიტინგი გერმანიის პროლეტარიატისთვის სოლიდარობის გამოსაცხადებლად. მიტინგს, რომელიც მოიწვიეს უნიტარულმა პროფკავშირებმა და კომპარტიამ, დაესწრო 2.000 კაცზე მეტი. მიტინგზე გამოვიდნენ ამ დღეებში გერმანიიდან დაბრუნებული კომდეპუტატები პოგრანი და ჩრდილოეთის დეპარტამენტის კომკავშირისა და მუშათა რევოლუციონური ორგანიზაციების წარმომადგენლები. დიდი სიტყვა წარმოსთქვა საფრანგეთის კომპარტიის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ამხ. ტორესმა, რომელმაც აღნიშნა გერმანიის კომპარტიის შეუჩერებელი ზრდა და სოციალ-დემოკრატიის გავლენის დაცემა მუშებს შორის. ამხ. ტორესმა განაცხადა: „ჩვენს მოვალეობას შეადგენს ვიბრძოლოთ ვერსალის ხელშეკრულების წინააღმდეგ, გერმანიის დამონების ყოველგვარ გეგმების წინააღმდეგ. ჩვენ გვსურს საბოლოოდ გაუქმდეს ყოველგვარი სამხედრო ვალი, ჩვენ წინააღმდეგნი ვართ, რომ რაიმე დახმარება აღმოუჩინოს გერმანიის კაპიტალისტურ მთავრობას, ჩვენ მომხრენი ვართ კრედიტების მიცემისა საბჭოთა მთავრობისათვის, რადგან ეს ერთად-ერთი მთავრობაა, რომელიც ამ კრედიტებს მშრომელთა ინტერესებისათვის გამოიყენებს". ეს განცხადება მთელმა მიტინგმა მოიწონა.

მიტინგი დამთავრდა გერმანიის პროლეტარიატთან სოლიდარობის რეზოლიუციის მიღებით და პროტესტის გამოცხადებით რეპრესიების წინააღმდეგ პოლონეთში ადს).

ინგლისის კომპარტიის პოლიტბიუროს მოწოდება

„არც ერთი პენი ომის მოსამზადებლად, მუშის არც ერთი პენი კაპიტალისტების მსხვერპლად"

ლონდონი, 20 აგვისტო. „დეილი უორკერ"-ში დაბეჭდილია ინგლისის კომპარტიის პოლიტბიუროს მოწოდება „ეკონომიის" შესახებ მთავრობის კომისიის უკანასკნელ მოხსენებასთან დაკავშირებით.

მოწოდება მიუთითებს იმაზე, რომ მთავრობა გაფაციცებით მუშაობს „ეკონომიი"-ს კომისიის წინადადების დაჩქარებით გასატარებლად ბურჟუაზიული პარტიების ბელადებთან მჭიდრო თანამშრომლობით, და ადასტურებს, რომ „ყოველივე ეს მოასწავებს კაპიტალიზმის მთელი ძალების მობილიზაციას კაპიტალიზმის ხსნისათვის". მოწოდება, აღნიშნავს რა უმუშევრობის გამწვავებას და სიღატაკის ზრდას, ამბობს, რომ კაპიტალისტების პასუხს ამ მდგომარეობაზე წარმოადგენს შეტევის გაძლიერება საარსებო დონეზე, რაც საბოლოო ანგარიშით უფრო მეტად აღრმავებს მსოფლიო ეკონომიურ კრიზისს.

შემდეგ მოწოდება ეხება ფინანსიურ კრიზისს ინგლისში და მთავრობის გეგმებს—გამოიყვანოს ბიუჯეტის ბალანსი მშრომელი მასების ხარჯზე და აღნიშნავს, რომ „სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსი იმიტომ არ არის გამოყვანილი, რომ 350 მილიონი გირვანქა სტერლინგი ყოველწლიურად ეწირება სამხედრო სესხის ობლიგაციების მფლობელთა პროცენტებს; 100 მილიონი გირვანქა სტერლინგი ყოველწლიურად იხარჯება სამხედრო მზადებაზე, ხოლო რამდენიმე მილიონი გირვანქა სტერლინგი იხარჯება ინდოეთისა და ჩინეთის მუშებისა და გლეხების აჯანყების ჩაქრობაზე".

მიმართვა მოუწოდებს მუშებს — წავიდნენ რუსეთის რევოლიუციის მიერ ნაჩვენები გზით, მოუწოდებს მასებს — ამოქმედდნენ და დაირაზმონ საარსებო დონის შემცირების წინააღმდეგ საბრძოლველად. მოწოდება თავდება ლოზუნგით: „მუშის არც ერთი პენი კაპიტალისტების მსხვერპლად, არც ერთი პენი ომის მოსამზადებლად".

„გაზეტა ვარშავსკა" ამხ. ლიტვინოვის წინადადების შესახებ

ვარშავა, 20 აგვისტო. „გაზეტა ვარშავსკა", ეხება რა ამხ. ლიტვინოვის მიერ პოლონეთის მთავრობისათვის მიცემულ წინადადებას — მაწოდონ ერთმანეთს ცნობები შეიარაღების შესახებ, სწერს:

„წინადადება რამდენადმე შეიძლება ჩაითვალოს ერთგვარი დაახლოების ცდად და საფუძვლად შემდგომი მოლაპარაკებისათვის ურთიერთი დამოკიდებულების გაუმჯობესების შესახებ.

პოლონეთში ლიტვინოვის ოქმის გამოქვეყნების შემდეგ სერიოზულად დაინტერესდნენ საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების უფრო დაზუსტების შესაძლებლობით თავდაუსხმელობის სპეციალური ხელშეკრულების დადების საშუალებით, მაგრამ ამ ხელშეკრულებას წინ გადაეღობება მრავალი სიძნელე, რომელთა გამოც ხელშეკრულების დადების აზრი დღემდე არ გამორკვეულა. ამჟამად წინადადება შეიარაღების ცნობების ერთმანეთისათვის მიწოდების შესახებ დიდად გაადვილებს მომავალი განიარაღების კონფერენციის მუშაობას და ამავე დროს შეიძლება გადაიქცეს შემდგომ ეტაპად პოლონეთსა და საბჭოთა კავშირს შორის მშვიდობიანი ურთიერთობის განვითარების გზაზე" (ადს).

დასავლეთ—ბელორუსიის მშრომელთა ბრძოლა

პოლონეთის ფაშისტური ტერორის წინააღმდეგ

ვარშავა, 20 აგვისტო. დასავლეთ ბელორუსიის სეზონური მუშების, სასოფლო-სამეურნეო მუშების და მშრომელი გლეხების მოძრაობა დღითი-დღე ღრმავდება და სერიოზულ შეშფოთებას იწვევს პოლონეთის ფაშისტურ წრეებში. დასავლეთ ბელორუსიის გლეხობის მოძრაობის მასშტაბზე შეიძლება წარმოდგენა ვიქონიოთ იქიდან, რომ მარტო ბრესტის რაიონში 11 სოფელში გამართა დემონსტრაციები, რომლებიც დამთავრდა პოლიციასთან შეტაკებებით. ღარიბ. მასები, რომელთაც არ გააჩნიათ მიწა, [illegible] და სამუშაო, სტოვებენ თავიანთ დამშეულ სოფლებს და მიდიან ტყეში, სადაც აწყობენ შეიარაღებულ რაზმებს და ებრძვიან პოლიციის დამსჯელ რაზმებს, მშრომელი გლეხობის მასების უკმაყოფილება გადადის არმიაში, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული სოფელთან. ამ დღეებში სოფელ კარელიცში, სადაც გაიმართა გლეხების დემონსტრაცია საბჭოთა კავშირის დასაცავად, პოლიციის დასახმარებლად გამოიწვიეს ულანთა პოლკი. მთელმა პოლკმა უარი სთქვა გლეხების წინააღმდეგ გალაშქრებაზე, ხოლო ჯარისკაცების ერთი ნაწილი გადავიდა დემონსტრანტების მხარეზე. იძულებულნი გახდნენ გამოეყვანათ სპეციალური ნაწილი, რომელმაც გადასწვა რამდენიმე სოფელი, წაასხა გლეხთა პირუტყვი და დააპატიმრა 150 კაცზე მეტი. (ადს).

ბ. შოუ უპასუხებს თავის „კრიტიკოსებს"

ლონდონი, 20 აგვისტო. ბერნარდ შოუ „ტაიმს"-ის რედაქციის მიმართ გაგზავნილ წერილში უპასუხებს თავის კრიტიკოსებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ კომუნიზმი წარმოადგენს დემოკრატიისა და ინდივიდუალური თავისუფლების უარყოფას და სხვ. შოუ აღნიშნავს, რომ **საბჭოთა სისტემა არსებითად ბევრად უფრო დემოკრატიულია, ვიდრე ინგლისის სისტემა.** შემდეგ შოუ ამბობს, რომ საბჭოთა სისტემის დროს საუკეთესო სოციალურ ელემენტებს აუცილებლად აბამენ მართვა-გამგეობის საქმეში, ანტისოციალური ელემენტები კი შეიძლება უფრო ნამდვილი საშუალებით იქნენ ჩამოცილებული. „აი როგორ არის დღემდე საბჭოთა კავშირში გადაჭრილი,— ამბობს შოუ,—დემოკრატიის პრობლემა. **სავსებით ცხადია, რომ საბჭოთა კავშირმა ეს პრობლემა უფრო ნამდვილად გადასჭრა, ვიდრე ჩვენმა სისტემამ. — იქ ხელისუფლებისა და კანონის ურაში მონაწილეობისაგან ჩამოცილებულნი არიან უვიცი, ინდიფერენტიული, გამყიდველი და პოლიტიკურად უუნარო ელემენტები.**

ჩვენი პოლიტიკოსები ორშაბათს აკეთებენ იმას, რომ იძლევიან დაპირებებს, სამშაბათს კი არღვევენ ამ დაპირებებს. ოთხშაბათს ამ ადამიანებს კვლავ ასახელებენ შაბათს კი ხელახლა ირჩევენ ენტუზიასტური უმრავლესობით. ის პასუხისმგებლობა კი, რომელიც დაკისრებული აქვს კომპარტიას, ნამდვილ პასუხისმგებლობას წარმოადგენს. მისმა წევრებმა იციან, რას აკეთებენ და არ შეიძლება მათი მოტყუება".

შოუ აცხადებს, რომ **თავისუფლება საბჭოთა კავშირში არ ნიშნავს არაფრის გაკეთებისა და ექსპლოატაციის თავისუფლებას. „პოლიტიკური აპარატი იქ, —** განაგრძობს შოუ,— **მოწყობილია დაუყოვნებლივ გამოსაყენებლად საქმისათვის და საკმაოდ ზუსტად და მოქნილად მუშაობს იმისათვის, რომ გაათავისუფლოს ადამიანები, რომლებიც ხელს უშლიან საქმეს. მოკლედ რომ ვსთქვათ, ეს აპარატი უფრო დემოკრატიულია, ვიდრე პარლამენტი და პოლიტიკური პარტიები".**

შემდეგ შოუ, ეხება რა „სიტყვის თავისუფლებას", აღნიშნავს, რომ სიტყვის თავისუფლება მოასწავებს შესაძლებლობას ნორმალური ადამიანებისათვის ილაპარაკონ იმაზე, რაც მათ სურთ. შოუს სიტყვით, **სასაცილოა იმის მტკიცება, რომ ინგლისის მუშები სარგებლობენ ასეთი თავისუფლებით.** „თავისი აზრების გამოთქმის თავისუფლება სამუშაოს დაკარგვის შიშით არ ღირს იმად, რომ ამისათვის თავი გასწირო".

დასასრულ შოუ ამბობს, რომ მხოლოდ ისეთი რწმენის ადამიანებს, როგორიც ჩერჩილია, შეუძლიათ იფიქრონ, რომ რუსებს აიძულებენ გაჩუმდნენ, „რათა ხელი შეუშალონ მათ მოითხოვონ იმ მდგომარეობაში ჩაყენება, რომელშიაც იმყოფებიან ჩვენი კუნძულის მცხოვრებნი, იმ კუნძულის, რომელიც მეტად აწეწილ მდგომარეობაშია" (ადს).

ინგლისის ტრედუნიონების გენსაბჭოს მორიგი ხრიკი

ლონდონი, 20 აგვისტო. ინგლისის ტრედუნიონების გენერალურმა საბჭომ გადასწყვიტა გამოიჩინოს მოჩვენებითი სიმტკიცე უმუშევრობის დახმარების შემცირების საკითხში. გენერალურ საბჭოს ბელადებს ეშინიათ იმის, რომ დახმარების შემცირება გამოიწვევს მასების უკმაყოფილებას და მკაცრ კრიტიკას, ამიტომ ისინი ცდილობენ შემოუარონ კომისიის წინადადებას „ეკონომიისა" და დახმარების შემცირების შესახებ და ამის ნაცვლად მოითხოვენ სხვადასხვა გადასახადის შემოღებას. ეს გადასახადები ფაქტიურად უფრო მეტი სიმძიმით მუშებს დააწვება, მაგრამ სამაგიეროთ ეს პროფკავშირების ბიუროკრატებს აცილებთ აღშფოთებული მასების თავდასხმას (ადს).

პოლონეთის მთავრობა უარყოფს

უკრაინელ თეთრგვარდიელის განცხადებას

საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლის შეკითხვა პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრს

ვარშავა, 20აგვისტო. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი პოლონეთში ამხ. ანტონოვ-ოვსეენკო შეეკითხა პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრს: შეეფერება თუ არა სინამდვილეს პეტლიუროველი გენერლის სალსკის მიერ სოფიაში გაკეთებული განცხადება, თითქოს პოლონეთის მთავრობა უკრაინის მთავრობად სცნობდეს თეთრი ემიგრანტების ჯგუფს ანდრია ლევიცკის მეთაურობით და რომ პოლონეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოიპოვებიან ამ „მთავრობის" სამხედრო ერთეულები. პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა **უპასუხა, რომ** სალსკის განცხადება **სწორი არ არის.**

საბჭოთა კავშირი

განვამტკიცოთ საფინანსო სისტემის ქვედა რგოლის ძირითადი კადრები ახალგაზრდა სპეციალისტებით

მოსკოვი, 20 აგვისტო. საფინანსო სისტემის ქვედა რგოლის ძირითადი კადრების განსამტკიცებლად ახალგაზრდა სპეციალისტებით და პირობების შესაქმნელად ამ კადრების შემდგომი ზრდისა და მათი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, საკავშირო სახკომსაბჭომ გადასწყვიტა — იმ პირთ, რომელთაც დამთავრებული აქვთ უმაღლესი სასწავლებლები და რომელნიც მუშაობენ იმ რაიონულ საფინანსო ორგანოებსა და შემნახველ სალაროებში, რომლებიც მდებარეობენ ქალაქის ტიპის მსხვილი დასახლებული ადგილების ტერიტორიის გარეშე, თანამდებობების მიუხედავათ უნდა მიეცეთ ხელფასი არა ნაკლებ იმ განაკვეთისა, რომელიც დაწესებულია ბიუჯეტით რაიონში მომუშავე ინსტრუქტორებისათვის. სახკომსაბჭომ დაავალა რაიაღმასკომებს—უზრუნველჰყონ ეს სპეციალისტები საბინაო ფართობით რაიაღმასკომების ხარჯზე. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელი იქნება მათთვის საბინაო ფართობის მიცემა, რაიაღმასკომებმა უნდა გაიღონ სპეციალისტების მიერ დაჭერილი სადგომების ნამდვილი ღირებულება (ადს).

უდიდესი გამარჯვება საწარმოო ფრონტზე

ლენინგრადი, 20 აგვისტო. მანქანათმშენებლობის ინსტიტუტმა დაამზადა მძლავრი ტურბოგაზსაბერავი, რომელიც დანიშნულია ახალი ქიმიური ქარხანა-გიგანტებისათვის. გაზსაბერავის ნაყოფიერება უდრის 60.000 კუბ. მეტრს საათში, ე. ი. 8-10-ჯერ აღემატება ამჟამად არსებულ გაზსაბერავების ნაყოფიერებას. ასეთი მძლავრი გაზსაბერავი პირველად მზადდება საბჭოთა კავშირში (ადს).

ყინულმჭრელი „მალიგინ"-ი „ბელუშია გუბა"-ში

ყინულმჭრელი „მალიგინ"-ი, 20 აგვისტო. ყინულმჭრელი „მალიგინ"-ი შევიდა „ბელუშია გუბა"-ში, სადაც იმყოფება ახალი მიწის კუნძულების სამეურნეო-ადმინისტრატიული ცენტრი.

ახალი მიწის საბჭოს თავმჯდომარემ, ცნობილმა პოლიარულმა მხატვარმა სამოედმა ვილკამ გააცნო მალიგინელებს სამოედების და მონადირე რუსების ყოფა-ცხოვრება.

ყინულმჭრელის „მალიგინ"-ის პოლიარული რეისი მალე დამთავრდება. 21 აგვისტოს რეისის მონაწილენი არხანგელსკში მოვლენ (ადს).

სამეურნეო ანგარიშის ბრიგადების სრულიად საკავშირო შეკრების წინ

სტალინგრადი, 20 აგვისტო. სამეტალურგიო ქარხნის „კრასნი ოქტიაბრ"-ის დამკვრელებს წინადადება შეაქვთ საკავშირო პროფსაბჭოსა და სმუ საბჭოში სამეურნეო ანგარიშის ბრიგადების სრულიად საკავშირო შეკრების შესახებ (ადს).

სელის, კანაფის და კენაფის ტეხნიკური ბოჭკოს მიღება ქიმიურ-მექანიკური გზით

მოსკოვი, 20 აგვისტო. ახალი ლაფნის კულტურების ინსტიტუტმა გადასჭრა სელის, კანაფის და კენაფის ჩვეულებრივი ტეხნიკური ბოჭკოს ქიმიურ-მექანიკური გზით მიღების ამოცანა. ინსტიტუტმა ეს ამოცანა გადასჭრა ახალი მანქანის „დეგომატორ ТП—01"-ის კონვეიერის გამოგონებით. ცდებს კარგი შედეგი მოჰყვა. ფაბრიკა „ახალი ბამბა" მოსკოვში შეუდგა ამ ტიპის პირველი საქარხნო დადგმულობის აგება (ადს).

ურალის ელექტრო-ტეხნიკური კომბინატი

მოსკოვი, 20 აგვისტო. „ელმაშსტროი"-მ დაამთავრა ურალის ელექტროტეხნიკური კომბინატის პროექტის შედგენა. პროექტით, კომბინატი ყოველწლიურად გამოუშვებს 2,1 მილიარდ მანეთის პროდუქციას. კომბინატს ტოლი არ ეყოლება მსოფლიო მრეწველობაში როგორც თავისი სიდიდით, ისე წარმოების ორგანიზაციით. თბოელექტროცენტრალის სიმძლავრედ ნავარაუდევია 200.000 კილოვატი; მის უზარმაზარ ლაბორატორიაში იმუშავებს დაახლოებით 2000 ინჟენერი. კომბინატის საწარმოებში იმუშავებს 104.000 კაცი. კომბინატთან მოეწყობა სოციალისტური ქალაქი — 300,000 კაცისათვის. პროექტი ითვალისწინებს სამი ფაბრიკა-სამზარეულოს აგებას. ერთი განზრახულია 140 ათასი კაცისათვის, დანარჩენი ორი—ას-ასი ათასი კაცისათვის. კომბინატი დაჯდება საბინაო მშენებლობის ჩათვლით 700 მილიონ მანეთად. ეს ბევრად ნაკლებია იმ თანხაზე, რომელიც მოუნდებოდა ასეთ საწარმოს მშენებლობას სხვადასხვა ადგილას და არა მთლიან კომბინატში.

მოსამზადებელ მუშაობას მიმდინარე წელსვე შეუდგებიან, ხოლო მშენებლობას, შემავალ წელს. 1933 წლის დამლევს ამუშავდება კომბინატის მშენებლობის პირველი ნაწილი (ადს).

გასაღებულია 1.690 მილ. მანეთის ობლიგაცია

მოსკოვი, 20 აგვისტო. საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატის არასრული ცნობებით, ხელის მოწერამ ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წლის სესხზე 16 აგვისტოს მიაღწია 1.690.771.000 მანეთს.

გეგმა მთლიანად შესრულდა. მუშებსა და მოსამსახურეებს შორის განაღდებულია — 1.249.104.000 მანეთი — საკონტროლო დავალების 113,7 პროცენტი, ქალაქის დანარჩენ მოსახლეობას შორის — 97.198.000 მანეთი — 100,1 პროცენტი, კოლმეურნეებს შორის — 263.670.000 მანეთი — 104 პროცენტი და ინდივიდუალურ მეურნეებს შორის — 50.520.000 მანეთი — 21 პროცენტი.

ყველაზე წინ არის ამიერ-კავკასიის ს.ფ.ს. რესპუბლიკა, რომელმაც გეგმა 118,2 პროცენტით შეასრულა (ადს).

უზრუნველვყოთ კოლმეურნეობათა მოსავლის სწორად განაწილება

„შემოსავლის კარგად განაწილება შეუძლებელია ისე, თუ ზუსტად არ იქნა აღრიცხული კოლმეურნეთა მიერ დახარჯული შრომა და მათ მიერ ფულად და ნატურით მიღებული ყველა ავანსები"

(საქ. მიწსახკომის და კოლმეურნცენტრის დადგენილებიდან)

მთელი ყურადღება მოსავლის და შემოსავლის სწორად განაწილებას

მოსავლის და შემოსავლის განაწილების სწორად ჩატარებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება კოლმეურნეობების სამეურნეო-ორგანიზაციული განმტკიცების, კულაკობის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლის და ღარიბ, საშუალო გლეხთა ახალი მასების კოლმეურნეობებში ჩაბმის თვალსაზრისით.

ეს მდგომარეობა ავალებდა ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა, კომკავშირულ და საკოლმეურნეო-კოოპერატიულ ორგანიზაციებს მიეღოთ გადამჭრელი ზომები მოსავლის და შემოსავლის განაწილებისათვის მზადების გასაჩაღებლად.

უპირველესად ყოვლისა საჭირო იყო საკავშირო მიწსახკომის და კოლმეურნეობათა ცენტრის იმ დადგენილებების დეტალურად დამუშავება და კოლმეურნეთა ფართო მასებისათვის გაცნობა, რომელიც მოსავლის და შემოსავლის განაწილებას შეეხება. საჭირო იყო მოსავლის განაწილების საქმეში გასულ წელს დაშვებული შეცდომების აღნუსხვა მათი განმეორების აღკვეთის მიზნით და საჭირო იყო კულაკობის წინააღმდეგ გადამჭრელი ბრძოლის გაჩაღება, რომელიც მოსავლის და შემოსავლის განაწილებაში არევ-დარევის შეტანით ცდილობს კოლმეურნეობის დასუსტებას და მისთვის ძირის გამოთხრას.

ადგილებიდან მიღებული ცნობები მოწმობენ, რომ მთელ რიგ რაიონებში ჯერ კიდევ არ დაუწყიათ სერიოზული მზადება მოსავლის და შემოსავლის განაწილებისათვის. როგორც ჩვენი კორესპონდენტი გადმოგვცემს **ბორჩალოს** რაიონის კოლმეურნეობებში ჯერ კიდევ არ დამუშავებულა საკავშირო მიწსახკომის და კოლმეურნცენტრის დადგენილება მოსავლის და შემოსავლის განაწილების წესების შესახებ. იმავე ბორჩალოს რაიონის **კოლმეურნეთა 40 პროცენტის მიერ გამომუშავებული შრომა-დღეები ჯერ კიდევ არ არის შეტანილი შრომის წიგნაკში** და არის მიდრეკილება, რომ მოსავლის და შემოსავლის განაწილება ჩაატარონ არა გამომუშავებული და შრომის წიგნაკებში ზუსტად ჩაწერილი შრომა-დღეების, არამედ კაც-დღეების მიხედვით. არ სწარმოებს სისტემატიური ბრძოლა „გათანაბრების" პრაქტიკის წინააღმდეგ, რომლის ძალაში დატოვებასაც ასე დაჟინებით ცდილობენ კულაკები და ყველა მუქთახორები.

ამ ნაკლოვანებათა გამოსწორებას ახლავე უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება. თავდაპირველად განსაკუთრებული პასუხისმგებლობით უნდა მოვეკიდოთ აღრიცხვის მოწესრიგების საქმეს. ყველა ადგილობრივმა ორგანიზაციებმა მტკიცედ უნდა დაიმახსოვრონ, რომ **„შემოსავლის კარგად განაწილება შეუძლებელია ისე, თუ ზუსტად არ იქნა აღრიცხული კოლმეურნეთა მიერ დახარჯული შრომა და მათ მიერ ფულად და ნატურით მიღებული ყველა ავანსები".** აქედან გამომდინარე—საჭიროა მივიღოთ ზომები იმისათვის, რომ მყარ ნიადაგზე იქნას დაყენებული შრომის და ავანსების აღრიცხვის საქმე. პირველ რიგში კი უნდა მოთავდეს კოლმეურნეთა მიერ გამომუშავებული შრომა-დღეების ჩაწერა შრომის წიგნაკებში.

გადამჭრელი ზომების მიღებაა საჭირო იმისათვის, რომ თითეულ კოლმეურნემ იცოდეს მოსავლის და შემოსავლის განაწილების წესები და აქტიურ მონაწილეობას ღებულობდეს ამ საქმის ნაყოფიერად ჩატარებაში.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ სუსტია სამიწადმოქმედო და საკოლმეურნეო ორგანოების ხელმძღვანელობა კოლმეურნეობისადმი მოსავლის და შემოსავლის განაწილების დარგში. ამას ბოლო უნდა მოეღოს. სამიწადმოქმედო და საკოლმეურნეო ორგანიზაციებმა მოსავლის განაწილების საქმე უნდა უზრუნველყონ ცოცხალი და **კონკრეტული** ხელმძღვანელობით.

ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები სათავეში უნდა ჩაუდგნენ მოსავლის განაწილების ჩატარებას. კულაკების, მემარჯვენე და „მემარცხენე" ოპორტუნისტების და ყველა ჯურის კლასობრივ მტერთა წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლით პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველყონ 1931 წლის მოსავლის განაწილების ბოლშევიკურად ჩატარება.

ირ.

ბორჩალოს რაიკოლმეურნეობათა „ტემპები"

(ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან)

კოლმეურნეობათა სარაიონო კავშირი სუსტად ხელმძღვანელობს კოლმეურნეობებს, აქამდე არ დაუმუშავებიათ მოსავლის განაწილების წესი. ეს საკითხი 9 აგვისტოს განიხილა რაიონის კოლმეურნეობების ხელმძღვანელთა თათბირმა.—ის ამ განხილვით დაკმაყოფილდა.

ხელმძღვანელების უყოლობის გამო კოლმეურნეობებს არ განუსაზოგადოებიათ შემოდგომის ნათესი ხორბალი, მოუწესრიგებელია შრომის აღრიცხვა, კოლმეურნეობათა 70—80 პროცენტი შრომის აღრიცხვას არ აწარმოებს დღემდე და ნამუშევარის ხარისხს ანაწილებს კაც-დღის მიხედვით, რაც უსიამოვნებას იწვევს კოლმეურნეთა შორის. მდგომარეობის გამოსასწორებლად საჭიროა სასწრაფო ზომების მიღება.

კ. ტ—ძე.

მოწინავე კომუნა

(აფენი. ლაგოდეხის რაიონი)

სოფ. ბალდათის კომუნა, რომელიც ჩამოყალიბდა 1929 წელს ამჟამად წარმოადგენს ერთ მოწინავე კოლმეურნეობას ლაგოდეხის რაიონის ფარგლებში.

კომუნას აქვს 50 ჰექტარი სახნავ-სათესი მიწა, რამოდენიმე სამკელი და სათესი მანქანა, 6 ცხენი თავისი ტრანსპორტით, 6 უღელი მუშა-საქონელი, 90-მდე ღორი, და სხვ.

კომუნამ კულაკებისაგან ბევრი აშკარა და ფარული შემოტევა განიცადა, მაგრამ წევრების თავდადებული და გმირული მუშაობით იგი ლაგოდეხის რაიონში მაინც გადაიქცა სამაყო კოლმეურნეობათ.

წელს კომუნამ საგაზაფხულო თესვის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა.

კოლმეურნეობაში ფაქტიურად გატარებულია სანარდო სისტემა, შედარებით სუსტადაა მოწესრიგებული შრომის აღრიცხვა, რაშიც დამნაშავეა რაიკოლმეურნეობის კავშირი (წიგნაკების გადაგზავნის დაგვიანება, ინსტრუქტაჟის სისუსტე და სხვ.).

მიუხედავად ამისა კოლმეურნეობაში შრომის ნაყოფიერება გაიზარდა. **კოლმეურნეობამ განსაკუთრებული აქტივობა გამოიჩინა წელს თამბაქოს, მოვლა-მოშენების საქმეში. მთელს რაიონში, ყველაზე უკეთესად აბრეშუმის პარკი ამ კოლმეურნეობამ დაამუშავა, რისთვისაც ის დაჯილდოვებულ იქნა რაიკოლმეურნეობის მიერ.**

მოსავლის აღებას კოლმეურნეობა ადრე შეუდგა. მაგრამ საკმაო მუშა-ხელის უყოლობისა და ტრანსპორტის უქონლობის გამო პურის კალოზე ამოტანა კომუნამ დააგვიანა, აღსანიშნავია ისიც, რომ მას დახმარება არ გაუწია ადგილობრივმა ხელისუფლებამ. ამჟამად საკუთარი ძალებით კომუნამ ეს მოაგვარა, 11 აგვისტოს კომუნა შეუდგა პურის გალეწვას.

კომუნა წელს ხელისუფლებას აბარებს 600 ფუთ პურს.

სოფ. ბალდათის კომუნას დეფექტების აღმოფხვრაში უნდა დაეხმარონ ადგილობრივი და რაიონული ორგანიზაციები.

პრემია თესვის გეგმის საუკეთესოდ შესრულებისათვის

ჩოხატაური, 17 აგვისტო. საგაზაფხულო თესვის კამპანიის საუკეთესოდ ჩატარებისა და სამუშაოთა გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის ჩოხატაურის კოლმეურნეობათა რაიონული კავშირის დადგენილებით მიეცა პრემია კოხნარის კოლექტივს, რომელსაც მიეკუთვნა დამკვრელი კოლმეურნეობის სახელწოდება (ადს).

ვემზადებით მოსავლის განაწილებისათვის

(ჩხოროწყუს რაიონი)

6 აგვისტოს რაიკოლმეურნკავშირის მიერ დამუშავებული იქნა საკავშირო მიწსახკომისა და კოლმეურნცენტრის დადგენილება კოლმეურნეობებში მოსავლისა და შემოსავლის განაწილების შესახებ;

ადგილებზე პრაქტიკული მუშაობის ჩასატარებლად გამოიყო სამ-სამი კაცისაგან შემდგარი 8 ბრიგადა, რომელნიც მიემაგრა ცალკე კოლმეურნეობებს.

მიმაგრებულმა ბრიგადებმა გამოიჩინეს დიდი აქტივობა, რის შედეგად 15 აგვისტოსათვის რაიონში არ დარჩენილა არც ერთი კოლმეურნეობა, რომელიც არ იყო გაცნობილი მოსავლისა და შემოსავლის განაწილების წესებს. კოლმეურნეები აქტიურად არიან ჩაბმული მოსავლის და შემოსავლის პრაქტიკულად გატარების საქმეში.

ხსენებულ საკითხის დამუშავებასთან ერთად ბრიგადები სათანადო ზომებს ღებულობენ იმ ნაკლოვანებების გამოსასწორებლად, რომელსაც მოსავლის განაწილებას ადგილი ქონდა გასულ წელს.

შ. ზარანდია.

ოპორტუნისტული პრაქტიკის შედეგი

(თელავი)

სოფ. კურდღელაურის სასოფლო-სამეურნეო არტელი თელავის რაიონში თუ ერთ დროს ითვლებოდა მოწინავე კოლექტივად, ახლა ჩამორჩება.

არტელის ოპორტუნისტული ხელმძღვანელობის გამო—მოუწესრიგებელია მასში შრომის ორგანიზაცია, არ არის გამომუშავებული ნორმები.

დარგების ხელმძღვანელები არავითარ პასუხისმგებლობას არ გრძნობენ, შრომის სანარდო სისტემა არ არის მტკიცედ გატარებული, არაფერს აკეთებს საწარმოო თათბირი. არ არის არტელის მიერ გამოყენებული ქალთა შრომა, არაა დამკვრელობა, სოც. შეჯიბრება და სხვ.

გამგეობა კოლმეურნეობას პრაქტიკულ მუშაობაში ვერ უწევდა ხელმძღვანელობას, არავითარი ბრძოლა არ სწარმოებდა შრომის დეზერტირების, წამგლეჯების და უქნარა-სიმულიანტ წევრების წინააღმდეგ, რაც სამართლიან უკმაყოფილებას იწვევდა არტელის ბეჯით წევრებს შორის.

არტელის გამგეობამ არავითარი ზომები არ მიიღო კოლმეურნეობაში შეპარულ მოკულაკო ელემენტების წინააღმდეგ, რომლებიც აშკარად თუ ფარულად ძირს უთხრიდენ არტელს. ფი, რომ მომხდარიყო მათი დარაზმვა კულაკურ ელემენტების პირველიდანვე გასადევნათ არტელიდან.

ყველა აღნიშნული მდგომარეობის გამოკი შედეგათ მიღებული იქმნა ის, რომ არტელის ზოგიერთი კულტურები (სოია, ვენახი, სიმინდი და სხვ.) დაუმუშავებელი დარჩა.

ყველაფერი ეს ხდებოდა კოლმეურნრაიკავშირის ცხვირწინ, მაგრამ მის მიერ არავითარი ზომები არ იქნა მიღებული, სანამ პარტრაიკომი არ ჩაერია საქმეში..

პარტრაიკომის ბიურომ დეტალურად გამოიკვლია კურდღელაურის არტელის მდგომარეობა და დაადასტურა ყველა ზემოდაღნიშნული ფაქტები.

აღნიშნული მდგომარეობის გამო რაიკომის ბიურომ საყვედური გამოუცხადა კურდღელაურის კომუჯრედის მდივანს ამხ. ნ. ბიძინაშვილს და სას. საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. კვლიშვილს. ხოლო კოლმეურნრაიკავშირს მიეცა წინადადება კურდღელაურის არტელზე ხელმძღვანელობის გაძლიერებას გამოსწორების შესახებ.

ა—ო.

ტყვარჩელმშენმა თავი ვერ დააღწია ჩამორჩენას

აგვისტოს პირველი დეკადა დიდი ჩამორჩენით დამთავრდა

ჩამორჩენა იზრდება

(ტყვარჩელმშენი)

აგვისტოს პირველი დეკადა ტყვარჩელმშენზე დამთავრდა გეგმის დიდი შეუსრულებლობით.

მთიან ნაწილში მთავარი გვირაბის გაყვანა შესრულებულია მხოლოდ 6 პროცენტით (25 მეტრის ნაცვლად გავლილია 4,5 მეტრი). მუშაობა სწარმოებდა ორ წყებად განსაკუთრებით მაგარ ნიადაგზე, მიწიდან დიდი რაოდენობით გამომდინარე წყალი ძალზე აფერხებდა მუშაობას.

ბაგირიან გზაზე საქვაბო საამქრომ სამუშაო გეგმა შეასრულა 42,5 პროცენტით. სანარდო მუშაობის საქმე ჩაიშალა. გეგმის ჩაშლა გამოიწვია მჟავბადის უქონლობამ, რომელიც მეტად საჭიროა რკინის საჭრელად. თვენახევრის წინად ბაქოდან გამოგზავნილი 100 ბალონი მჟავბადი დღემდე არ არის მიღებული მშენებლობაზე. ამის გამო რკინის კოჭების და შველერების ხეხვა ხელით სწარმოებს, ეს გარემოება კი იწვევს შრომის ნაყოფიერების ძალზე დაცემას (15-ჯერ). ქვაბულების ამოთხრა არ სწარმოებს, ბეტონის სამუშაოები შესრულებულია 31 პროცენტით, მასალის დამზადების გეგმა — 22 პროცენტით. ყველა ეს აიხსნება მუშა-ხელის, ტრანსპორტის, ფოლადის და ზოგიერთ იარაღების მწვავე ნაკლებობით.

მე-6 საამშენებლო ტრესტმა გეგმა 23 პროცენტით შეასრულა. აღნიშნულ ტრესტს 875 მუშის ნაცვლად მხოლოდ 220 მუშა ჰყავდა, რაც მუშათა საჭირო რაოდენობის 22 პროცენტს შეადგენს.

ივლისის განმავლობაში მე-6 ტრესტმა გეგმა 42,7 პროცენტით შეასრულა.

ტრანსმშენს პირველი დეკადის ცნობები დღემდე არ წარმოუდგენია. ივლისში მან სამუშაო გეგმა 34 პროცენტით შეასრულა. ამ ხნის განმავლობაში ტრესტს 145 მუშა ჰყავდა, ეს იმ დროს, როდესაც საჭირო იყო 466 მუშა-ხელი. ადმინისტრატიულ-ტეხნიკური პერსონალი ივლისის განმავლობაში საგრძნობლად შემცირდა (58-დან 46 კაცამდე). სამუშაოებზე ხელმძღვანელობა ძალზე სუსტად სწარმოებს. მიუხედავად ამისა, შრომის ნაყოფიერება მიწის მთხრელთა შორის, ახალი მთლიანი შეფასების შემოღებასთან დაკავშირებით, მეტად გადიდდა და ცალკე ბრიგადებში 7,38 კუბომეტრს მიაღწია ერთ კაცზე დღეში, ნაცვლად შემხვედრი გეგმით გათვალისწინებულ 4 კუბომეტრისა.

ნ.ვ—ი.

კასპი


1—20 აგვისტო
გამოწვარია 50606 კასრი ცემენტი
დაფქვილია 57044 კასრი
გაგზავნილია 50150 კასრი ცემენტი

ბრძოლა ცემენტისათვის

კასპი, 21 აგვისტო (საკ. კორ.) 20 აგვისტოს კასპის ცემენტის ქარხანაში გამოიწვა 2745 კასრი ცემენტი, დღიური დავალების 113 პროც., დაიფქვა — 1991 კასრი — 64,6 პროც. და გაიგზავნა 2765 კასრი — 90 პროც.

განვლილი ოცი დღის განმავლობაში სულ გამოიწვა 50606 კასრი ცემენტი, დავალების 104,6 პროც., დაიფქვა — 57.044 კასრი — 92,6 პროც. და გაიგზავნა 50.150 კასრი — 81,8 პროც.

წყლის ნაკლებობა აფერხებს მუშაობას

წითელი წყარო, 20 აგვისტო. № 28 ჭაბურღილმა ივლისის თვის ბურღვის გეგმა შეასრულა 185 პროცენტით. ძლიერი შადრევანი მოსალოდნელი იყო 800 მეტრზე, ფაქტიურად შადრევანმა ამოხეთქა 340 მეტრზე. ამ მოულოდნელი შემთხვევისათვის ადმინისტრაცია არ იყო მზად, არ იყო ჩაშვებული აღნიშნულ სიღრმეზე ფენის ჩასაკეტი მილი, რის გამო 15 აგვისტოდან გრძელდება ტალახიანი ნავთის შადრევანის და მძლავრი გაზის ამოსვლა. ამასთან დაკავშირებით შეუძლებელი ხდება მუშაობის გაგრძელება. თუ სასწრაფოდ არ იქნა მიღებული ზომები. გაზის და შადრევანის ჩასაკეტად, ჭაბურღილს საფრთხე მოელის.

მირზაანის ნავთის საძიებელ უბანში ჭაბურღილების მუშაობა ხშირად გამცდარია უწყლობის გამო. 19 აგვისტოს ასეთი მიზეზით მთელი დღე-ღამე გაცდა 2 ჭაბურღილი. წყალსადენის მშენებლობა უნდა დამთავრებულიყო მეორე კვარტალში, მაგრამ ადმინისტრაციის დაუდევრობით დღესაც არ არის დამთავრებული. ასეთივე მდგომარეობაა სხვა უბნებშიაც. თუ ეს დაბრკოლება არ იქნა სასწრაფოდ დაძლეული, შეუძლებელი გახდება მესამე კვარტალის გეგმის შესრულება.

„კომუნისტი"-ს ბრიგადა:
ი. ჟოჟუა, ღუღუნაშვილი

მეთამბაქოობის კოლმეურნეთა შეკრების გამო

დამკვრელი ტემპებით გამოვასწოროთ ჩამორჩენა

მეთამბაქოობის რაიონების ყველა კოლმეურნკავშირებს, კოლმეურნეობებს, დამკვრელ ბრიგადებს, კოლმეურნეებს და კოლმეურნე ქალებს

ამხანაგებო! მიმდინარე წლის 23 აგვისტოს მოწვეულია მეთამბაქოე კოლმეურნეობათა დამკვრელ ბრიგადების რესპუბლიკანური შეკრება, აღმოსავლეთ საქართველოსათვის ლაგოდეხში, ხოლო დასავლეთ საქართველოს რაიონების, აჭარისტანის და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკებისათვის ქ. სოხუმში.

შეკრება უნდა ჩატარდეს სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის, პარტიის გენერალური ხაზის გადაუხვევლად გატარების და კულაკობის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლის ნიშან ქვეშ. შეკრებაზე ჯამი უნდა გაუკეთდეს მეთამბაქოობის რაიონების კოლმეურნეობათა მიღწევებს და განსაკუთრებით ხაზი უნდა გაესვას იმ დეფექტებს, რომლებსაც ამჟამად ადგილი აქვს მეთამბაქოობის რაიონებში, რათა კონკრეტული ღონისძიებების დასახვით დაკვრითი წესით გამოვასწოროთ ეს დეფექტები.

როგორც სხვა მნიშვნელოვან კულტურების დარგში წარმატებით სრულდება სოციალისტური მშენებლობის ხუთწლიანი გეგმა, რომელიც შედეგია ლენინურ პარტიის მტკიცე ბოლშევიკური ხელმძღვანელობის, მუშათა კლასის და კოლმეურნეების მილიონიან მასების ენტუზიაზმის, სოციალისტურ შეჯიბრების და დამკვრელობის მძლავრი გაქანების, — ისე მეთამბაქოების რაიონების კოლმეურნეობებმაც უნდა შესძლონ პარტიის და ხელისუფლების მიერ მოცემული დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება.

თამბაქოს კულტურისა და თამბაქოს მრეწველობის ხუთწლიან გეგმას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სოციალისტური მეურნეობის მშენებლობის საქმეში. მიუხედავათ ამისა უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ რაიონებში მოცემული საკონტროლო ციფრები არ არის მთლიანად შესრულებული და ადგილი აქვს გარღვევებს. გეგმების შეუსრულებლობისა და გარღვევების უმთავრესი მიზეზია მეთამბაქოობას დარგის მნიშვნელობის შეუფასებლობა, საქმისადმი ოპორტუნისტული მიდგომა და თვითმდინარებაზე დაყრდნობა.

მიმდინარე წლის გეგმის შეუსრულებლობა ნიშნავს თამბაქოს მრეწველობის ნედლეულით მომარაგებისა და თამბაქოს წარმოების პროდუქციის შემცირებას.

1931 წლის გეგმით გათვალისწინებული იყო საკოლმეურნეო სექტორში თამბაქოს ნარგავების ქვეშ 10.080 ჰექტარი, შესრულებულია 8,132 ჰექტ. ანუ გეგმის 80,67 პროცენტი. თამბაქოს დარგვის გეგმის შესრულებაში ზოგიერთ რაიონებს აქვს თვალსაჩინო მიღწევები. მაგალითად, გეგმა გადაჭარბებით შესრულა ახალციხის რაიონის კოლმეურნეობებმა 366,7 პროც., ტოლოშის 285 პროც., ლაგოდეხის 167 პროც., ზუგდიდის 169 პროცენტით.

აგრეთვე მთლიანად შესრულებულია პირველი გათოხნის გეგმა ყველა რაიონების კოლმეურნეობებში, გარდა ჩხოროწყუს რაიონის და აფხაზეთის ავტ. რესპუბლიკის კოლმეურნეობებისა (პირველმა გეგმა შესრულა 82,8 პროც., მეორემ 93,2 პროც.).

თამბაქოს დარგვის გეგმის შესრულებაში სამარცხვინოდ ჩამორჩა ჩხოროწყუს რაიონი, რომელმაც შესრულა გეგმის მხოლოდ 44 პროცენტი, წალენჯიხის რაიონი 54,3 პროც., აფხაზეთის ავტ. ს. ს. რ. 63,6 პროცენტი, ხობის რაიონი 71 პროცენტი. მეორე გათოხნის რესპუბლიკანური გეგმა შესრულებულია 49,2 პროცენტით და თითქმის ყველა რაიონებში ჩამორჩენას აქვს ადგილი.

თამბაქოს ფარდულების მშენებლობის საქმე ყველა რაიონებში საფრთხეშია და მოსავალი არ არის უზრუნველყოფილი ფარდულებით, ხოლო მუშაობის ის ტემპები, როგორითაც წარმოებს ფარდულების მშენებლობა ვერ უზრუნველყოფენ გეგმის შესრულებას. კონტრაქტაციის გეგმა აფხაზეთის ავტ. ს. ს. რ. შესრულა მხოლოდ 53,1 პროცენტით; რესპუბლიკანური კონტრაქტაციის გეგმა შესრულებულია 75 პროცენტით.

ამრიგათ მიმდინარე წელს ჩვენ გვაქვს მთელი რიგი გარღვევა და სამარცხვინოთ ჩამორჩენა როგორც თამბაქოს დარგვის, ისე გათოხნის, საშრობების მშენებლობის და კონტრაქტაციის გეგმების შესრულებაში. ასეთი გარღვევები და ჩამორჩენა ვერავითარი ობიექტიური მიზეზებით ვერ იქნება გამართლებული, და უნდა აიხსნას მხოლოდ ოპორტუნისტულ თვითმდინარებაზე დაყრდნობით და უმოქმედობით.

როგორც რაიკოლმეურნკავშირებმა ის ცალკე კოლმეურნეობებმა ვერ შესძლეს მასების ყურადღების და აქტივობის მობილიზაცია, არ მოხერხდა თავის დროზე გეგმების დაყვანა კოლმეურნეობამდე, ბრიგადამდე და კოლმეურნემდე და არ ჩატარებულა სათანადო ახსნა - განმარტებითი და ორგანიზაციული მუშაობა.

დარჩენილი დრო მაქსიმალურად უნდა იქნას გამოყენებული, უნდა მივიღოთ გადამჭრელი ზომები გარღვევებისა და ჩამორჩენების გამოსასწორებლად. კერძოთ, მთლიანად შესრულებული უნდა იქნას მეორე გათოხნის გეგმა და გადამჭრელი ზომები უნდა იქნას მიღებული საშრობი ფარდულების დასამთავრებლად.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს თამბაქოს მოსავლის აღებას, დარგვის გეგმის შეუსრულებლობა ანაზღაურებული უნდა იქნას თამბაქოს მოსავლის სრული 100 პროცენტით აკრეფით, რისთვისაც უნდა ჩატარდეს გადამჭრელი ბრძოლა მოსავლის დანაკარგებთან.

მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული თამბაქოს კვალიფიციური მუშები და არ იქნას დაშვებული მათი სხვა სამუშაოზე გაგზავნა. გამოყოფილი იქნეს კოლმეურნეობების მიერ სპეციალურად თამბაქოზე მომუშავე ბრიგადები, შედგენილი იქნას მათთვის სამუშაოს კალენდარული გეგმა იმ მიზნით, რომ თვითეულმა თამბაქოს მომუშავემ იცოდეს, თუ რამდენი შრომა დღე დასჭირდება ამა თუ იმ სამუშაოს შესასრულებლად.

შრომის სწორი ორგანიზაციის, სანარდო სისტემის მტკიცე გატარებით და კოლმეურნეების მიერ გამომუშავებულ შრომა - დღეების სისტემატიურად შრომის წიგნაკებში ჩაწერით, უზრუნველყოთ კოლმეურნეობათა განმტკიცება და შემდგომი ზრდა.

მეთამბაქოების კოლმეურნეობებმა მუშაობის სამაგალითოდ დაყენებით პრაქტიკულად უნდა დაუმტკიცონ კოლმეურნეობის გარეშე მდგომ ღარიბ და საშუალო გლეხობას კოლმეურნეობების დიდი უპირატესობა ინდივიდუალურ მეურნეობის წინაშე და გააძლიერონ მასიური ლტოლვა კოლმეურნეობებში.

ყველა კოლმეურნეობებში და კოლმეურნეთა შორის ფართოდ გავშალოთ შრომის სოციალისტური ფორმები დამკვრელობა, სოც-შეჯიბრება, საწარმოო თათბირები და სხვა.

ამხანაგებო! პარტია და ხელისუფლება დარწმუნებულია, რომ პარტიის გენერალური ხაზის გატარებით, კულაკობასთან გადამჭრელი ბრძოლის წარმოებით, ბოლშევიკური ტემპების გაშლით და ურყევი ნებისყოფით თქვენ შესძლებთ მუშაობაში სწრაფ გარდატეხის მოხდენას და იმ სამარცხვინო ჩამორჩენის დაუყოვნებლივ ლიკვიდაციას, რომელშიაც დღეს მეთამბაქოობის რაიონის ზოგიერთი კოლმეურნეობები იმყოფებიან.

საქართველოს კოლმეურნცენტრის გამგეობის თავმჯდომარე
პ. წულუკიძე.

ბამბის მოსავლის ასი პროცენტით აღებისათვის

(„პრავდა"-ს 20 აგვისტოს შემოკლებული მეთაური)

საბჭოთა კავშირის ბამბის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში მიმდინარე წლის გაზაფხულზე პარტიამ გადამწყვეტ შედეგებს მიაღწია. საგრძნობლად გადიდდა ნათესი ფართობი. ამჟამად შუა აზიის მებამბეობის რაიონებში „სოფლის მეურნეობის ბედს სწყვეტენ არა წვრილი და დაქუცმაცებული ინდივიდუალური გლეხური მეურნეობანი, არამედ კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი".

მიმდინარე წელს სოციალისტურმა სექტორმა შუა აზიაში უნდა მოგვცეს ბამბის დამზადების გეგმის თითქმის 70 პროცენტი. კოლმეურნე დეხკანობა მიწათმოქმედების ცენტრალურ ფიგურად გადაიქცა მებამბეობის რაიონებში.

საკ. კპ. (ბ) ც. კ-ის დირექტივა დეხკანთა მეურნეობების 50 პროცენტის კოლექტივიზაციის შესახებ მებამბეობის რაიონებში გადაჭარბებით იქნა შესრულებული. შუა აზიის მხრის მებამბეობის რაიონებში კოლმეურნეობებში გაერთიანებულია მეურნეობათა 64 პროცენტი, ხოლო კოლექტივიზაციის დონე ბევრად უფრო მაღალია—68-64 პროცენტი.

გლეხთა მილიონები მებამბეობის ნაციონალურ რაიონებში გადაიქცნენ ყიშლაღის სოციალისტურად გარდაქმნის აქტიურ მონაწილეებად, ბამბის სოციალისტური მეურნეობის აქტიურ მშენებლებად.

ამჟამად რიგში სდგას ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წლის ბამბის გეგმისთვის ბრძოლის შემდგომი უკანასკნელი ეტაპი—ბამბის აღება და დამზადება.

1931 წელს მთელ საბჭოთა კავშირში ნედლი ბამბა უნდა დამზადდეს თითქმის ორჯერ იმაზე მეტი, რაც ფაქტიურად შარშანდელმა დამზადებამ მოგვცა.

ამ სრულიად რეალური დავალების შესასრულებლად საჭიროა ნამდვილი ბოლშევიკური ბრძოლა თვით მოსავლის აღების კამპანიის მომზადებისა და ჩატარებისათვის. ბამბის მთელი მოსავლის აღება და დამზადება უნდა დამთავრდეს 1 დეკემბრისათვის. საფეიქრო მრეწველობამ ოქტომბრის დასაწყისში უკვე უნდა მიიღოს 55.000 ტონა მაინც ბამბის ბოჭკო.

მიმდინარე წლის ბამბის აღებისა და დამზადების კამპანია იმით განსხვავდება წინა წლების კამპანიებისაგან, რომ წელს მეტად გაიზარდა ბამბის მოსავლის სასწრაფო და გეგმიანი რეალიზაციის შესაძლებლობანი. კოლმეურნეობებმა უნდა მოგვცენ მთელი მოსავლის ორმესამედზე მეტი. სამანქანო - სატრაქტორო სადგურები დამზადებას აწყობენ თავიანთი მოქმედების რაიონებში. გარდა ამისა, წელს საკმაოდ ფართო მასშტაბით იქნება გამოყენებული ბამბის ასაღები სპეციალური მანქანები, რაც პირველი შემთხვევაა მებამბეობის ისტორიაში. მებამბეობის მატერიალურ - ტეხნიკური შეიარაღება უზრუნველყოფილი იქნება მთელი ხაზით. მიუხედავათ ამისა, უფრო მეტად უნდა გაიშალოს ბრძოლა მემარჯვენე ოპორტუნისტული თვითმდინარების წინააღმდეგ, კულაკის წინააღმდეგობის ძალის შეუფასებლობის წინააღმდეგ. სისტემატიური, დაჟინებითი და დაუნდობელი ბრძოლა კულაკთან და მის ოპორტუნისტულ აგენტურასთან პარტიის რიგებში — უპირველესი პირობაა ბამბის მოსავლის რეალიზაციის გეგმის წარმატებით შესრულებისათვის.

კლასობრივი მტერი გააფთრებულ ბრძოლას აწარმოებს ბამბის პროგრამის წინააღმდეგ კოლმეურნეობებში. კოლმეურნეობებში შეძრომის და მათი შიგნიდან აფეთქების ცდა, ბამბის მინდვრების წალეკვა სექტემბერში, საქონლის მიშვება ბამბის ნათესზე და მათი განადგურება. საბამბე ადგილებში პურის დათესვა, — აი ის ხერხები, რომლებსაც კულაკობა მიმართავს საბჭოთა ხელისუფლების ბამბის პროგრამის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამას წელს ემატება კულაკობის გააფთრებული ცდა — მოახდინონ მოსავლის აღების სამუშაოების პროცესის დეზორგანიზაცია კოლმეურნეობებში, ჩაშალონ სანარდო მუშაობა და შრომის აღრიცხვა, ჩაშალონ კოლმეურნეობათა შემოსავლის განაწილება და კოლმეურნე - მებამბეების მომარაგება შრომის მიხედვით, არივ-დარიონ პროდუქციის აღრიცხვის საქმე და ხელი შეუშალონ ძალთა სწორად განაწილებას, ბრიგადების მინდვრად მუშაობის ორგანიზაციის დროს, — აი საითკენ მიისწრაფის კულაკი და რის განხორციელებასაც შეეცდება იგი ბამბის მოსავლის აღების დროს.

აქედან — მებამბეობის რაიონების პარტორგანიზაციების წინაშე დგება კოლმეურნეობათა ორგანიზაციული და სამეურნეო განმტკიცების ამოცანა და საწარმოო პროცესებისა და ბამბის აღების სამუშაოების ორგანიზაციისათვის კონკრეტული ხელმძღვანელობის გაწევის ამოცანა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

შარშან შუა აზიის კოლმეურნეობებს თავიანთი შინაგანი სიმტკიცით და დარაზმულობით უკანასკნელი ადგილი ეჭირათ მთელ კავშირში. ყველაზე უფრო მწვავედ, ვიდრე სხვაგან სადმე, შუა აზიაში სდგას საკითხი კოლმეურნეობათა განმტკიცების შესახებ. პარტიული ორგანიზაციების მუშაობის სიმძიმის ცენტრი აქეთკენ უნდა იყოს მიმართული და არა გაბერილი ციფრებით გატაცებისაკენ, კოლექტივიზაციის ფორმალურად დამთავრებისაკენ. ეს ჯერ კიდევ არ ესმით შუა აზიის პარტიული ორგანიზაციების ცალკე რგოლებში.

ყველა სამუშაოები კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გადაყვანილ უნდა იქნან სანარდო სისტემაზე. შრომის აღრიცხვის საქმე სწორად უნდა იქნას მოგვარებული. ფულადი, პურის და სამრეწველო საქონლის ავანსები კოლმეურნეობებში უნდა ნაწილდებოდეს მხოლოდ თვითეული კოლმეურნის მიერ დახარჯული შრომის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით. ბამბის ამღები ბრიგადები მიმაგრებულ უნდა იქნან განსაზღვრულ უბნებზე. დაუყოვნებლივ უნდა აღმოიფხვრას გაუპიროვნება მინდვრების დამუშავებაში და გათანაბრება მებამბეების საბჭოთა მეურნეობებშიაც.

ბამბის აღების კამპანიის დაწყებამდე საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში უნდა მოეწყოს აღებული ნედლი ბამბის ზუსტი და მტკიცე აღრიცხვა და მიღწეულ იქნას ისეთი მდგომარეობა, როდესაც არც ერთი ცენტნერი ბამბა არ დარჩება ყიშლაღში ან კოლმეურნეობაში და იგი მინდვრიდან დაუყოვნებლივ გაიგზავნება შემსყიდველ პუნქტზე, ხოლო შემდეგ კი—ბამბის საწმენდ ქარხანაში.

წელს ვერ შევურიგდებით ისეთ მდგომარეობას, როდესაც ბამბა თოვლის ქვეშ ილუპება, მხოლოდ იმიტომ, რომ მამაკაცების დიდი ნაწილი, თითქმის კოლმეურნეებიც, „ტრადიციის მიხედვით" არ იღებენ მონაწილეობას ბამბის აღებაში და მთელ ამ მუშაობას აწარმოებენ მარტო ქალები და მოზარდები. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ [illegible] მამაკაცებმა მიიღონ მონაწილეობა ბამბის აღებაში.

მტკიცე დავალებანი კულაკებს უნდა მიეცეთ არა უგვიანეს 1 სექტემბრისა, ხოლო ამ დავალებების შესრულებას უნდა მივაღწიოთ, რაც შეიძლება დაჩქარებით.

მებამბეობის საბჭოთა მეურნეობები წლის საგრძნობლად ჩამორჩნენ თავის გეგმების შესრულებაში; ჩამორჩენა გრძელდება მიწის შემოყრის საქმეშიც. არის იმის საშიშროება, რომ ჩამორჩენას ადგილი ექნება ბამბის აღების საქმეშიაც. ბამბის აღების დროის განმავლობაში საბჭოთა მეურნეობებს დასჭირდებათ 90 ათასამდე მუშა. მათი დიდი ნაწილი უნდა შეგროვდეს საბჭოთა კავშირის ხორბლეულის რაიონებში (უმთავრესად ქვემო და შუა ვოლგაზე). საბჭოთა მეურნეობებში მუშა-ხელის საკითხი მეტად მწვავედ სდგას. მიწის შემოყრის დროსაც, როდესაც 40-50 ათასი მუშა იყო საჭირო, საბჭოთა მეურნეობებს მხოლოდ 20-25 ათასი კაცი ჰყავდათ.

საბჭოთა მეურნეობებში ადგილი აქვს მუშა-ხელის დიდ ცვალებადობას, რის მიზეზიც არის: მუშების ცუდი უზრუნველყოფა ბინებით, სურსათ - სანოვაგით მომარაგების საქმის მოუწესრიგებლობა და გათანაბრება ხელფასში. ყველა ამ საკითხების საგრძნობი ნაწილი გადაჭრილ უნდა იქნას ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და პროფკავშირული ორგანიზაციების ძალებით.

მიუხედავათ ამისა, ბრძოლა საბჭოთა კავშირის ბამბის დამოუკიდებლობისათვის მარტო ჩვენ ქვეყნის მებამბეობის რაიონების ამოცანა არ არის, იგი მთელი კავშირის ამოცანაა. მთელი რიგი საკავშირო სახალხო კომისარიატები—მიწსახკომი, გზათა სახალხო კომისარიატი, მომარაგების სახალხო კომისარიატი და სხვ., ორგანიზაციები — „სოიუზხლებ"-ი, „სოიუზსელმაშ"-ში, „ცენტროსოიუზ"-ი და ცალკე ქარხნები—ბელოცერკოვისა და ხერსონის — ისეთივე პასუხისმგებელნი არიან ბამბის აღების კამპანიის წარმატებით ჩატარებისათვის და ბამბის აღების გეგმის შესრულებისათვის, როგორც პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები მებამბეობის რაიონებში.

შუა აზიის და მებამბეობის სხვა რაიონების შეუფერხებლად მომარაგება პურით, ქსოვილებით, ჩაით, კალოშებით და საშენებელი მასალით, აგრეთვე საავტომობილო პარკის გაძლიერება, — აი რას აქვს მთავარი მნიშვნელობა ბამბის აღების გეგმის შესრულებისათვის. მიუხედავათ ამისა, პურის, სამრეწველო საქონლის და საშენებელი მასალის შეტანის გეგმა მებამბეობის რაიონებში სისტემატიურად არ სრულდება. აღნიშნული გარემოება ადგილებზე ჰქმნის დამატებით სიძნელეებს (ფერხდება ბამბის ფარდულების მშენებლობა, ბამბის საწმენდი ქარხნების შეკეთება და იზრდება მუშახელის ცვალებადობაა.

უნდა შევიგნოთ, რომ მომარაგების გეგმის შეუსრულებლობა დიდ გავლენას ახდენს ბამბის დამზადებაზე. მებამბე-დეხკანი მუდამ აანაზღაურებს მომარაგების დეფექტებს საუკეთესო ღირსების ბამბის შინაურული წესით გადამუშავებით, რომლის შედეგად ის ღებულობს ადგილობრივ ქსოვილს (მატა) საბნებისათვის, ბაწარს, ტომრებს და ხურჯინებს.

მაინც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს, მათი იმ ხელმძღვანელობის ხარისხს, რომელსაც ისინი უწევენ კოლმეურნეობებს და ინდივიდუალურ სექტორს, ეს სექტორი კი წელს გეგმის 30 პროცენტამდე გვაძლევს.

ბამბის ბოჭკოს პროცენტის გადიდება ბამბის საწმენდ ქარხნებში გადამუშავების დროს, ბრძოლა დანაკარგებთან, შენახვისა და გადამუშავების დროს, ბამბის გადატანა და მოსავლისათვის (მიწის შემოყრა და მორწყვა) შეუნელებელი ბრძოლა მთელი აგვისტოს და სექტემბრის პირველი რიცხვების განმავლობაში და ბრძოლა გადაჭარბებით მორწყვასთან, — ყველაფერი ეს მოგვცემს მრავალ ათას ტონა ბამბას.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მასიური მუშაობის დაყენებას კოლმეურნე და ინდივიდუალურ დეხკანობაში. ბამბის მასიურად აღების დაწყებამდე ყიშლაღებსა და რაიონებში ჩატარებულ უნდა იქნას დეხკანთა მასიური შეკრებები და საწარმოო თათბირები და ბამბის აღების და დამზადების გეგმები მიყვანილ უნდა იქნას თვითეულ კოლმეურნეობამდე და საბჭოთა მეურნეობამდე, ხოლო მათ შიგნით—თვითეულ ბრიგადამდე და კოლმეურნემდე.

კინო, რადიო და საზოგადოებრივი კვება მთლიანად გამოყენებულ უნდა იქნას ბამბის აღების კამპანიის მზადებისა და ჩატარების საქმეში. კამპანიის წარმატება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შესძლებენ პარტიული ორგანიზაციები ბოლშევიკურად ჩაუდგნენ სათავეში იმ ბრძოლას, რომელსაც აწარმოებენ მასები საბჭოთა კავშირის ბამბის დამოუკიდებლობის საბრძოლო პროგრამისათვის და იმაზე, თუ რამდენად მოაგვარებენ საკავშირო სახკომისარიატები მებამბეობის რაიონების მომარაგებას.

ბამბის აღების კამპანიის წარმატებით შესრულება შეგვაძლებინებს საგრძნობლად დავაჩქაროთ საფეიქრო მრეწველობის განვითარების ტემპები, იმ მრეწველობის, რომელიც მსუბუქი ინდუსტრიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დარგს წარმოადგენს და რომელიც იძლევა ფართო პროლეტარული და მშრომელი მასებისათვის საჭირო პროდუქციას.

„პრავდა". 21 აგვისტო

სასილოსო მშენებლობის მსვლელობის შესახებ

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული შესრულების კომისიის (1931 წ. აგვისტოს 17) დადგენილება

მოისმინა რა მოხსენება ცენტრალურ და სარაიონო ორგანიზაციათა ხაზით წარმოებულ სასილოსო მშენებლობის მსვლელობის შემოწმების შესახებ შესრულების კომისია აღნიშნავს, რომ შედეგად სასაკვებო პრობლემის გადაჭრის სფეროში არსებულ პარტიისა და ხელისუფლების დირექტივების შეუფასებლობისა, ცენტრალური და ადგილობრივი ორგანიზაციების ოპორტუნისტული ტენდენციებისა (მშენებლობის ტემპების შენელება, გეგმების შემცირება), დანაშაულებრივ დაუდევარი ხელმძღვანელობისა ზევიდან ქვევით (საკვების ცენტრალური შტაბი, კოლმეურნცენტრი, მეცხოველეობა - მესაქონლეობის კავშირი, საქსოფლმშენი, „სკოტოვოდ"-ი და „სვინოვოდ"-ი და მათი ქვედა სისტემა), თესლეულისა და მანქანების მომარაგების საქმის შეუთანხმებლობისა დასილოსების გეგმასთან, პრესის სუსტი მონაწილეობისა, სასილოსო მშენებლობის გარშემო ფართო საკოლმეურნეო და ღარიბ - საშუალო გლეხთა მასებში ახსნა-განმარტებითი მუშაობის ჩაუტარებლობისა და, ამასთან ერთად, შინაგანი რესურსების სრულიად არასაკმაო მობილიზაციისა (სახსრები, ადგილობრივი საშენი მასალა, სამუშაო და საჭაპანზიდო ძალა), — სასილოსო მშენებლობის გეგმა საქართველოში ჩაშლის საფრთხის წინაშე სდგას (5,211 ნადგამთაგან დამთავრებულია 822, ანუ მთელი რაოდენობის 15,8 პროც., ტევადობით 9.144 ტონა, ანუ გეგმის 6 პროც. დათესილია კოლმეურნცენტრის ხაზით გეგმის 51 პროც., მეცხოველეობა - მესაქონლეობის კავშირის ხაზით — 6 პროც. და „სკოტოვოდ"-ისა და „სვინოვოდ"-ის ხაზით —4 პროცენტამდე).

დარჩენილ დროის მაქსიმალურად გამოყენების მიზნით, შესრულების კომისია ადგენს:

1. წინადადება მიეცეს მიწსახკომის სასაკვებო შტაბს, ხუთი დღის ვადაზე მისცეს სარესპუბლიკო და სარაიონო ორგანიზაციებს მტკიცე დავალებანი და დააწესოს მტკიცე ვადები სასილოსო მშენებლობის დათავებისა ადგილობრივი საშენი მასალის მომზადებისა, სასილოსო კულტურების დამატებითი (პურის აღების შემდეგ) თესვისათვის თესლეულის გამზადებისა და სასილოსო მანქანების თავის დროზე შემოზიდვის ხაზით.

2. წინადადება მიეცეს სარაიონო ორგანიზაციებს (რაიმიწგანის, რაიკოლმეურნკავშირის, რაიკავშირის და საქსოფლმშენის განყოფილებათა ხელმძღვანელობის პერსონალური პასუხისმგებლობით) იმავე ვადებში შეადგინონ ადგილობრივი საშენი მასალების, თესლეულის, სამუშაო და საწევი ძალის საჭირო რაოდენობათა გეგმები, სასილოსო მშენებლობის სარაიონო გეგმების შესრულების მიზნით გამოარკვიონ (დასილოსებისათვის გამოსადეგი) გარეული ბალახების, ნაყარის, ბოსტნეულისა და ტექნიკურ კულტურათა მარაგი და დაუყოვნებლივ შეუდგნენ პრაქტიკულ დამზადებასა და ადგილობრივ საშენ მასალათა ტრანსპორტირებას.

3. აღინიშნოს „სკოტოვოდ"-სა და „სვინოვოდ"-ის სრული უმოქმედობა სასილოსო მშენებლობის ხაზით და წინადადება მიეცეს ამ ორგანიზაციათა ხელმძღვანელთ სამი დღის ვადაზე იხმარონ პრაქტიკული ზომები სასილოსო გეგმის შესრულების უზრუნველსაყოფად განმეორებითი (პურის აღების შემდეგ) კულტურების თესვის, სილოსს მწვანეთა შემოზიდვისა და სასილოსო ნაგებობათა მშენებლობის დაჩქარების საშუალებით.

4. წინადადება მიეცეს „საქსოფლმშენს" სამი დღის ვადაზე წარუდგინოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს დასაბუთებული მინიმალური მოთხოვნა ცემენტზე დასავლეთ საქართველოში სასილოსო კოშკების მშენებლობისათვის და დაევალოს სმუს სავსებით უზრუნველყოს ეს მოთხოვნა.

5. წინადადება მიეცეს ყველა რაიკოლმეურნკავშირს, რაიკოოპკავშირს და საქსოფლმშენის განყოფილებას, (კერძოდ, ქუთაისის, სენაკის და სტალინისისას) მათ ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობით დაუყოვნებლივ და მთლად გამოიყენონ ადგილებზე არსებული ცემენტი, რაც სასილოსო მშენებლობისათვის არის დანიშნული.

6. დაევალოს მიწსახკომს და სარაიონო სამიწათმოქმედო, საკოლმეურნეო და კოოპერატიულ ორგანიზაციებს, მიამაგრონ საქსოფლმშენის ყველა სამრეწველო მუშაკი და აგრომუშაკი კოლმეურნეობებსა და სასოფლო ამხანაგობებს და დააკისრონ მათ ტეხნიკური და აგრონომიული ხელმძღვანელობა სასილოსო მშენებლობისადმი; ამასთანავე აიყვანონ აღრიცხვაზე ყველა სასილოსო კურსდამთავრებული და პრაქტიკულად ჩააბან ისინი მშენებლობაში.

7. წარმოებულ იქნეს გადამჭრელი ბრძოლა ცემენტის იმ სამუშაოზე გამოყენების წინააღმდეგ, სადაც შესაძლებელია ადგილობრივი მასალების გამოყენება. დაევალოს სარაიონო სასაკვებო შტაბებს, მოაწყონ შტაბებთან საკონსულტაციო ბიუროები და მისცენ სწრაფი და ამომწურავი კონსულტაცია (ადგილებზე გასვლით) სასილოსო მშენებლობის ყველა საკითხის ხაზით.

8. წინადადება მიეცეს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და მის ქვედა სისტემას, გააძლიერონ ცოცხალი საორგანიზაციო ხელმძღვანელობა, ხუთი დღის ვადაზე მოაწესრიგონ სასილოსო მშენებლობის მსვლელობის აღრიცხვა სასწრაფო და გადამჭრელი ზომების მისაღებად გარღვევათა ლიკვიდაციისათვის და მიამაგრონ თვითეულ რაიონს ცენტრალური აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები.

9. წინადადება მიეცეს ყველა რაიაღმასკომს, მათი თავმჯდომარეების პირადი პასუხისმგებლობით, სისტემატიური მეთვალყურეობა და კონტროლი გაუწიონ სასილოსო მშენებლობას, ყოველ ხუთდღიურში მოისმინონ სარაიონო შტაბების მოხსენებები და რაიმუშგლეხინის თანამოხსენებანი სასილოსო მშენებლობის შესახებ.

10. წინადადება მიეცეს ყველა რაიმუშგლეხინს, აწარმოონ სისტემატიური შემოწმება და მეთვალყურეობა გაუწიონ სასილოსო მშენებლობის მსვლელობის საქმეს, და, საჭირო შემთხვევაში, სასტიკ პასუხისგებაში მისცენ სასილოსო კამპანიის ჩაშლის კონკრეტული დამნაშავენი.

11. წინადადება მიეცეს სარაიონო საბჭოთა, სამეურნეო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ (პარტიულ - კომკავშირულ და პროფესიონალურ) ორგანიზაციებს გადამჭრელი ბრძოლა აწარმოონ გეგმის შესრულებისათვის, მიაღწიონ მუშაობის საბრძოლო ტემპის და გააძლიერონ ფართო საკოლმეურნეო და ღარიბ - საშუალო მასებში ყურადღება სასილოსო მშენებლობის კონკრეტულ ამოცანათა გარშემო და ძირშივე აღკვეთონ მემარჯვენე - ოპორტუნისტული განწყობილებანი, „მემარცხენე" გადახრანი და მათთან შემარიგებლური დამოკიდებულება.

12. აღინიშნოს სასილოსო მშენებლობის გარშემო მასიური ახსნა - განმარტებითი კამპანიის არადამაკმაყოფილებელი გაშლა და ამ კამპანიაში პრესის არასაკმაო მონაწილეობა და წინადადება მიეცეს რესპუბლიკანურ და რაიონულ გაზეთების რედაქციებს სისტემატიურად გააშუქონ ხოლმე, განსაკუთრებით, ათდღიურის განმავლობაში სასილოსო მშენებლობის საკითხები.

განსაკუთრებული დადგენილება

1. აღინიშნოს, რომ ძველი შედგენილობის სასაკვებო შტაბი, რომელიც უმოქმედობას იჩენდა და რომელიც არსებითად დამნაშავეა სასილოსო მშენებლობის ჩაშლაში, — გვიან იყო დაშლილი; შტაბის მთელი შედგენილობის საქმე გადაეცეს ცენტრალურ საკონტროლო კომისია - მუშგლეხინს დამნაშავეთა პასუხისგებაში მისაცემად.

2. რაიონებისადმი უუნარო პრაქტიკული ხელმძღვანელობისა, ადგილებზე პასუხისმგებლობის დაუწესებლობისა, მასიური ახსნა-განმარტებითი მუშაობის სუსტი გაშლისა, გარღვევათა ლიკვიდაციისათვის თავის დროზე ზომების მიუღებლობისა და თვითმდინარებაზე ოპორტუნისტული დაყრდნობისათვის, რამაც სასილოსო მშენებლობის ჩაშლამდე მიგვიყვანა:

ა) შენიშვნა მიეცეს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სასაკვებო შტაბის ახალ შედგენილობას;

ბ) საყვედური გამოეცხადოს მიწსახკომის მესაქონლეობის სექტორის გამგეს ამხ. მაისაშვილს და მის მოადგილეს ამხ. ეფრემიძეს;

გ) საკოლმეურნეო ხაზით წარმოებული სასილოსო მშენებლობის ჩაშლისათვის კოლმეურნცენტრის გამგეობის წევრის ამხ. ხუხუას საქმე გადაეცეს ცენტრალურ საკონტროლო კომისიას პარტიულ პასუხისგებაში მისაცემად.

3. სასილოსო ნაგებობათა საამშენებლო სამუშაოთა დაწესებულ ვადებში შესრულების არაუზრუნველყოფისათვის საყვედური გამოეცხადოს საქსოფლმშენის მმართველს ამხ. გურგენიძეს.

4. სასილოსო მშენებლობისადმი არასაკმაო ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობისათვის საყვედური გამოეცხადოს, საშრომო სიაში შეტანით, საქსოფლმშენის მე-2 და მე-3 განყოფილებათა სამუშაოთა მწარმოებლებს ამხ. საჟინსკისა და გორლენკოს.

5. მოიხსნას სამუშაოდან სენაკის რაიკოოპკავშირის თავმჯდომარე სასილოსო მშენებლობისათვის დანიშნული ცემენტის ერთი თვის განმავლობაში გამოუყენებლობისათვის.

6. საყვედური გამოეცხადოს სტალინისის რაიონის სასაკვებო შტაბის მთელ შემადგენლობას, რომელმაც სასილოსო მშენებლობა შეაჩერა ცემენტის უქონლობის მოიზეზებით ადგილობრივი საშენი მასალის გამოუსადეგრობის ავტორიტეტული და პრაქტიკული დასაბუთების გარეშე.

სახკომსაბჭოსთან არსებული შესრულების კომისიის თავმჯდომარე— ლ. სუხიშვილი

შესრულების კომისიის პ-მგ. მდივანი— მიროტაძე

ჩაის რაიონების დამკვრელ კოლმეურნეთა შეკრებაზე

სოციალისტური სოფელიში მაჭკადალეფი*)

„საქართველოს ჩაი", კოლმეურნცენტრი და ნარაზენის საბჭოთა მეურნეობა დიდი სტუმართმოყვარეობით შეხვდნენ შეკრების მონაწილეთ, ბინა საუკეთესო იყო, სასმელ - საჭმელი ყველას საკმაოზე მეტი ეძლეოდა, თავისუფალ საათებში კი ეწყობოდა კულტურული დასვენება: დამკვრელ კოლმეურნეებს უჩვენეს კინო-სურათი, საბჭოთა მეურნეობის მუშათა გუნდმა შეკრების პატივსაცემად მოაწყო სპეციალური კონცერტი, მოწვეულ იქნა ქუთაისის დრამა რეჟ. ქორელის ხელმძღვანელობით, რომელმაც დადგა ჯეკ ლონდონის „მგლები". ერთი სიტყვით ყველაფერი ხელს უწყობდა საზეიმო განწყობილებას. ცუდათ მოქმედობდა მხოლოდ ერთი რამ. ეს არის ჩაის ახალშენების უმწეო მდგომარეობა ნარაზენში.

ახალგაზრდა ჩაის მტერი

წელს დასავლეთ საქართველოში არაჩვეულებრივი ავდარიანი ზაფხულია. მზიანი დღეები პირდაპირ სანატრელი გახდა. ისე არ დაღამდება, რომ ერთხელ მაინც თქეში არ დაუშვას და ღვრები არ მოვარდეს. ამიტომაა, რომ დაბლობ ადგილებში ყანები ციებიანი ავადმყოფივით უდროოდ ჩაყვითლებული გამოიცქირებიან.

ახალგაზრდა ჩაიც დიდ გაჭირვებაშია ამის გამო. მას ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით თავს აზის ბალახი და ახრჩობს. ნარაზენის მეურნეობის უდიდესი მტერი ამჟამად ბალახია. ის ტყესავით მოსდებია ათასეულ ჰექტარ მთა-გორაკებს. ბალახი წელამდე სწვდება კაცს. ახალი ჩაი ბევრგან აღარც კი მოსჩანს. ბალახმა ის დაიჯაბნა, ბალახი სწოვს ხარბად მსუყე წვენს ჩაის ნერგებისათვის გადაბრუნებულ, ტყისაგან ახლად განთავისუფლებულ მიწას. ბალახი ებრძვის ჩაის სამკვდრო - სასიცოცხლოდ.

და ჩაის უთუოდ სჭირდება მშველელი. ჯერ-ჯერობით ისეთი მდგომარეობაა, რომ ზოგიერთ რაიონებში ბალახი საბოლოოდ დაეუფლა მიწას. ჩაის განთავისუფლება ბალახის ტყვეობისაგან ძალიან ძნელია, ისე, რომ თვით ჩაის ნერგს არ სწვდეს თოხის პირი. ნარაზენის საბჭოთა მეურნეობას კი მშველელები არ გამოსჩენიათ. მეურნეობის საკუთარი მუშა-ხელი მთელ საქმეს ვერ აუდის. კოლმეურნეობანი საჭირო დახმარებას ვერ უწევენ ნარაზენს. რამდენჯერმე აქ ჩამოვიდა წითელარმიელთა და კომკავშირელთა რაზმები. მაგრამ ამას დიდი ნაყოფი არ მოუტანია. სრულიად სამართლიანად სჩიოდა მეურნეობის გამგე, რომ მე ამ რაზმების საზეიმო მიღება - გაცილებას მოუნდი და საქმე კი მაინც გაუკეთებელი დარჩაო.

ნარაზენის დატოვება ასეთ მდგომარეობაში, თუნდაც კიდევ რამდენიმე კვირით, ყოვლად შეუძლებელია. დაგვასული ბალახი ყადაივლის მთელ მიდამოებს, შეიწირავს დიდძალ შრომას და თანხას, რომელიც ნარაზენის მეურნეობის გაშენებას მოუნდა.

დღეს კი ისეთი მდგომარეობა იქმნება, რომ თითქოს ამაზე არავინ ზრუნავს. ბალახი არა თუ იზრდება, ის უკვე თავთუნაყარია, მარცვალი მწიფდება, სადაცაა კიდევაც დასცვივა და ამრიგად მომავალი წლისათვის იქმნება ბალახის შემოტევის გაათკეცებული საფრთხე.

მერე რა საუცხოვოდ ხარობს აქ ჩაის სამი წლის ხერგი, სადაც კი ის მოვლილია, იმდენად გაზრდილა, რომ კაცი კინაღამ დაიჩრდილება მის ქვეშ. შეკრების მონაწილენი, რომელნიც ჩაის მეურნეობის სანიმუშო მიღწევების ნახვას მოელოდენ ნარაზენის საბჭოთა მეურნეობაში, რასაკვირველია, მეტად შეწუხებულნი იყვნენ იმის გამო, რომ მამული ასეთი მოუვლელი მეურნეობის შთაბეჭდილებას სტოვებს.

ერთი „კატასტროფის" ისტორია

ღამით ნარაზენის მეურნეობა თავის ელექტრო-სანათურებით წყვდიადით მოცულ არე-მარეში მიწაზე ჩამოვარდნილ ვარსკვლავთ კრებულად მოსჩანს. იმიტომ იყო, რომ შეკრების მონაწილეთ დაღამების არ ეშინოდათ. კულტურული გასართობები სწორედ მზის ჩასვლიდან იწყებოდა და თითქმის მამლის პირველ ყივილამდე გრძელდებოდა. მართალია, გზა საბჭოთა მეურნეობის ბაზიდან მუშათა კლუბისაკენ პატარა ხევით მიდის, მაგრამ ელექტრონის მძლავრი ლამფები ყოველ 25 ფეხის ნაბიჯზე თავს დასჩერებია ბილიკს. ამიტომ ღამით სიარული სრულიად უხიფათო და სასიამოვნოცაა. მაგრამ „კატასტროფას" მაინც ვერ ავცდით...

ეს იყო შეკრების გახსნის წინა დღეს. დამკვრელი კოლმეურნეები და ბრიგადირები მიწვეულ იქნენ კინო-სურათის „სისხლის აღების" საყურებლად. ახალი დაბინდებული იქნებოდა სტუმრები რომ კლუბისაკენ გაემართნენ. ერთ ჯგუფში თბილისიდან ჩამოსული ამხანაგებიც არიან. გზაზე გასავლელია ხიდი, რომელიც გადის ელექტრო-სადგურისთვის ხელოვნურად გაკეთებულ პატარა აუზზე. ხიდზე უხვად აფრქვევს სხივებს ელექტრონის ლამფა, სინათლეზე წყალიც თეთრად ელვარებს. ასეთ დროს ტბას ადვილად შეუძლია თვალ აკლული კაცის გაბრიყვება. ასეც მოხდა.

და ეს მარცხი მაინც და მაინც თბილისელებს უნდა მოსვლოდა, როგორც ელექტრონის შუქზე უფრო თვალ შეჩვეულ ხალხს. ჯგუფს ხიდზე გავლა ვერ მოესწრო, რომ უკან რაღაცამ ტყაპანი გაადინა. მოიხედეს და ტბის ზედაპირზე სასომიხდილი სახით დასრიალებდა ადამიანის თავი. კაცი მთელი სხეულით ყურებამდე წყალში დაძირულიყო. აღმოჩნდა, რომ აუზში გადასტოპა ამხანაგმა კ-ნმა. ცოცხალ-მკვდარი, შიშისაგან ფერწასული ამოიღეს ის ტბიდან. ტანისამოსი ტანისამოსს აღარ ჰგავდა და პორტფელი პორტფელს, მაგრამ ამას ვინღა სჩიოდა, როცა კაცმა თავი კინაღამ დაჰკარგა.

ამ შემთხვევას შეკრების მთელი ხნის განმავლობაში ისე ვერავინ გაიხსენებდა, რომ გულიანად არ გაეცინა. იცინოდა, როგორც ამას გაზეთის ქრონიკერები სწერენ, თვითონ „დაზარალებული" კ-ნიც. აი ეთი იყო ისტორია ნარაზენის მეურნეობაში ერთი უნებლიე ბანაობისა, რომელმაც კინაღამ იმსხვერპლა ადამიანი.

ნარაზენში შეიკრიბნენ რვა რაიონის დამკვრელი კოლმეურნეები და ბრიგადირები. აქ იყვნენ სენაკის, მარტვილის, ზუგდიდის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, ხობის, გალის და კოდორის რაიონთა დამკვრელები. თუმცა უნდა ითქვას, რომ ხობი უფრო მექანიკურად მოჰყვა სიაში.

ჩამორჩენილი რაიონი

ამ რაიონის მდგომარეობა განსაკუთრებულია მთელ სამეგრელოში. ხობი სამარცხვინოთ ჩამორჩება საბჭოთა ალმშენებლობის თითქმის ყოველ დარგში, განსაკუთრებით ცუდათ მიმდინარეობს აქ ბრძოლა ტეხნიკური კულტურებისათვის. ამ რაიონისათვის არ არსებობს ჩაისათვის ნიადაგის მოსჩადების, ფოთლის კრეფის, ჩაის გათოხვნა - გაწმენდის გეგმები. რაიონის ორგანიზაციები უფრო „ცოდვილობენ", ვიდრე ხელმძღვანელობენ ამ დიდ საქმეს. ჩაის გეგმის მაჩვენებლების მხრივ ხობი ძალიან დაშორებით მისჩანჩალებს კუდში სამეგრელოსა და აფხაზეთის ყველა რაიონებს.

ამის შემდეგ თითქმის თავისთავად იგულისხმება, რომ დამკვრელთა შეკრებაზე ნარაზენში ხობის რაიონის კოლმეურნეთა წარმომადგენელნი აუცილებლად უნდა ჩამოსულიყვნენ. აქ ისინი მიიღებდნენ ტეხნიკური კულტურებისათვის ბრძოლის საუკეთესო გაკვეთილებს, აღინთებოდნენ ჩაისათვის ბოლშევიკური ბრძოლის ცეცხლით, შეკრების მონაწილეებთან ერთად შეიმუშავებდნენ 1931 წლის გეგმების შესრულების პირობას და გაშლიდნენ შეუპოვარ ბრძოლას რაიონის სამარცხვინო ჩამორჩენის ალმოსაფხვრელად. მაგრამ არა... ხობის რაიონმა არჩია ბოლომდე მიჰყვეს თვითდინებას.

ხობმა სხვა რაიონებთან ერთად თბილისიდან მიიღო ცნობა ნარაზენის შეკრებისა და დამკვრელ კოლმეურნეთა გამოყოფის აუცილებლობის შესახებ, რაიონს ასეთივე ცნობა გაეგზავნა შეკრების გახსნის დღეებში, შემდეგ წინ ღამით ხობს ტელეფონით აცნობეს, რომ ხვალ ნარაზენში შეკრება გაიხსნებაო. ყველა რაიონები ფეხზე დადგა, ყოველი მხრიდან მოიწრაფოდნენ დამკვრელი კოლმეურნენი ნარაზენისაკენ. ბევრ მათგანმა დაბა ხობშიაც ჩამოიარა, ხობმა კი არჩია განცალკევებით ყოფნა. მთელი შეკრება ისე ჩატარდა, რომ ხობის დამკვრელები იქ არავის უნახავს. აი ამას ჰქვია შევაფასე დამკვრელთა რესპუბლიკანური შეკრება!

წარმოვიდგინოთ ერთი წუთით რა მოხდებოდა, რომ სამეგრელო-აფხაზეთის თუნდაც რამდენიმე რაიონს ხობისათვის წაებაძნა! ხობს, რასაკვირველია, ეს არ აინტერესებს. ის თითქოს დემონსტრატიული დუმილით შეხვდა ასეთ დიდმნიშვნელოვან საქმეს, მან ამით ერთგვარი ორიგინალობა გამოიჩინა. და ეს ორიგინალობა შესაფერი ყურადღების ღირსიც უნდა გახდეს. ის უნდა შეფასებულ იქნას ისე, როგორც ეს ჩვეულებრივად ასეთ შემთხვევაში ხდება. თუმცა, სიმართლე მოითხოვს ითქვას, ხობს მორალურ სასჯელად ისიც ეყოფა, რომ მთელ შეკრებაზე ცუდი მუშაობის საილუსტრაციოთ ყველა ორატორი თითს ამ რაიონისაკენ იშვერდა...

„ზრდილობის" თავისებური გაგება

ნარაზენის შეკრება პირდაპირ აღტაცებაში მოიყვანდა დამსწრეს თავისი იშვიათი კულტუროსნობით — ამ სიტყვის ნამდვილი გაგებით. გიკვირს, როდის ისწავლა წყაავშელ მეგრელ გლეხმა ახალი, საბჭოთა საზოგადოებრივობის ეს წესები. მთელი შეკრება იშვიათი წესრიგით და ამავე დროს იშვიათი აქტივობით მიმდინარეობდა. ჩვენს სინამდვილეში ქალაქებშიაც კი, ეგრედ წოდებულ განათლებული ხალხის მცირერიცხოვან კრებებზედაც ხშირად მომხდარა, რომ ორატორებს თავიანთი დებულებების დასასაბუთებლად გაცხოველებულ კამათში სკამები და სამელნეები ფოთრენიათ ჰაერში. ნარაზენში კამათი მეტად ცხარე იყო, დამსწრეთა რიცხვიც 400 კაცს არ დააკლდებოდა, მაგრამ კრება იშვიათი დისციპლინით ჩატარდა. ადგება მაგალითად. გლეხი შუა კამათში, ბოდიშს მოხდით შეაჩერებს ორატორს და თავმჯდომარის ხებართვით თავაზიანათ იაურთავს თავის აზრს ლაპარაკში. როცა ერთი ტრიბუნასთანაა, დანარჩენები სდუმან და სმენად არიან გადაქცეულნი. მოკვდა, საბოლოოდ წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა სოფლის ყრილობების უწესრიგობა [illegible] იყო [illegible]ქის ბახილოვნებულ „პარლამენტიორებისათვის". საბჭოთა სოფელი დღეს ამ მხრივ იმდენად წინ წავიდა, რომ ის ქალაქს წარმატებით ეჯიბრება.

ოღონდ ეს უნდა ითქვას, რომ აქ ჯერ კიდევ ხშირად ესმის ყურს ფეოდალური ცხოვრების გამომხატველი გამოთქმები. იშვიათად შეხვდებით გლეხს 35-40 წელს ზევით, რომ მან გარეშე კაცს ზრდილობის ნიშნით მეგრული ვარიაციით არ უწოდოს ბატონო ამხანაგი და „ჩქიმი პატენი" მას მეტად ორიგინალურად აქვს ერთმანეთთან შეზავებული. რასაკვირველია, აქაც იგივე ახსნა ამ მოვლენის—როგორიც შორაპნის მაზრისა და საქართველოს სხვა კუთხეებში გვსმენია: ბატონო ზრდილობის გამომხატველია და სხვა არაფერიო, ასევეა თურმე „ჩქიმი პატენიც", მაგრამ განა ზრდილობის გამომხატველი არ იყო რუსულში სიტყვა «барин» ან «господин»? დღეს კი ამ სიტყვების [illegible] მნიშვნელობა დიამეტრალურად შეიცვალა. დღეს საბჭოთა რუსეთში «барин» და «господин» საგინებელი სიტყვებია. რატომ ქართულში უნდა დარჩეს „ბატონო" ზრდილობის გამომხატველად? იმიტომ ხომ არა, რომ ქართული ენის თვისება" რაღაც თავისებური და არაქვეყნიურია. ნუთუ ზრდილობა მარტო ბატონის სინონიმით ამოიწურება!

არა ბატონო, ბატონებო! კეთილინებეთ და გვიხსენით ამგვარ ზრდილობისაგან! მეგრელი გლეხი ამას უკვე აღწევს თავს. ახალი თაობის სალაპარაკო ენიდან განდევნილია ადამიანის ასეთი ღირსების დამამცირებელი გამოთქმანი, ახალგაზრდა სამეგრელო ლაპარაკობს ახალი საზოგადოებრივობის ეპიტეტებით და ზრდილობის გამოთქმებით.

ნარაზენში გამგზავრების წინ, ზუგდიდის ახლად შეკეთებულ, მშვენიერ ბულვარში ვისხედით. იქვე მახლობლად ჭადრის ჩრდილში სვეტზე მხარ-ბეჭით მიყრდნობილი იდგა მაღალი და გამხდარი კაცი. მას თავზე მოუგდია ორად გაკეცილი, გამოხუნებული ქიშმირის ყაბალახი, წელზე აზნიდებიანი ქამარი არტყია, გვერდებზე ტყავის დიდი ქისა და რევოლვერის ცარიელი ბუდე ჰკიდია. გაცრეცილ გალიფე შარვალს, რომელსაც ტყავის საკერებლებით აქვს ამოვლებული უბე და მუხლის თავები ქვემოდან ჩვეულებრივ „შიგრინის აზიაცქის" ნაცვლად ქუსლ-წაღელილი წაღები და ევროპიული „პოდვიაზკებით" გამაგრებული წინდის ყელები ამშვენებდა. კაცი იდგა და გულიანად ეძაესებოდა ვიღაცას. მეტად მხიარულ გუნებაზე იყო. მოჭარბებული იდიოტური სიცილით თვალები ეცრემლებოდა. დრო გამოშვებით ცხვირის ნესტოებში შეუშვებდა მამლის დეზებივით წაზრდილ ნეკის ფრჩხილს, შემდეგ მას ერთხანს დასჩერებოდა და თითების სრესვით ხელს გვერდზე იწმენდა. მარჯვენა ხელის თითები მეტი თამბაქოს წევით ჩაყვითლებოდა. დიდხანს მივჩერებოდი მას. მეტად კოლორიტული ტიპი იყო. შემდეგ ჩემს გვერდით მსხდომ ხეთელ ამხანაგს ვკითხე უცნობის ვინაობა. გარეგნობამ არ მომატყუა. გამოირკვა, რომ ეს არის წალენჯიხის რაიონში კარგად ცნობილი ტახტის აზნაური, ყოფილი მეფის ოფიცერი, „დიკი დივიზიის" გმირი ძ-უ ზ-ა...

მხატვრული ნიჭი ზოგჯერ დაუფასებელია. სად იყო დახელოვნებული მხატვრის ფანქარი, რომ ეს სახე აღებეჭდა ქაღალდზე, როგორც მიმავალი სამეგრელოს ტიპიური განსახიერება?... ეს იშვიათი საშუზეუმო ცოცხალი ექსპონატია...

უეცრივ „ექსპონატი" დაიძრა, მიხვდა, რომ მასზე ლაპარაკობენ, მოგვიახლოვდა და, ალბად, იმიტომ, რომ მეგრელი ვეგონე, რაღაც გაკვირვებით მკითხა მეგრულად. მე პასუხი ვერ გავეცი. მერე თავის ამხანაგს შესცინა, და ცერის ლოკვითა და ულვაშის გრეხით გზას გაუდგა...

რა გასაკვირია, რომ ასეთ ხალხისათვის გაუგებარი გახდეს ის, რაც დღეს ახალ სამეგრელოში ხდება? ახალ და ძველ სამეგრელოს შორის ნამდვილი უფსკრულია გათხრილი. ახალი სამეგრელო ცხოვრობს გეგმით, ბოლშევიკური ტემპებით, მასების შრომითი ენტუზიაზმით. აი დავალება, რომელიც იკისრა ნარაზენის შეკრებამ ჩაის გაშენების დარგში მიმდინარე წლის მეორე ნახევარში: 1931 წლის ივლისიდან სენაკის რაიონი ამზადებს ჩაის დასათესად 380 ჰექტარს, მარტვილის რაიონი—1.000 ჰექტარს, ზუგდიდის—1540 ჰექტარს. წალენჯიხის—1240 ჰექტარს, ჩხოროწყუს—860 ჰექტარს, ხობის — 720 ჰექტარს, გალის—880 ჰექტარს. კოდორის—530 ჰექტარს. შეკრებამ მისცა პარტიას დამკვრელი კოლმეურნის მტკიცე სიტყვა, რომ ის ამ ვალდებულებას დროზე და უკლებლივ შეასრულებს. ეს არის ნამდვილი ბოლშევიკური სოფლის ტემპები. ეს არის გეგმა, რომლის შესრულების შემდეგ, რაიც მხოლოდ თვეებით განიზომება, ძველი ლეგენდარული ოქროს ვერძის მხარე, ზღაპრული კოლხიდა ჩაის კოკლუც ბაღებით დაიფინება. ეს არის ბოლშევიკური შრომის მარიფათი.

ნარაზენის შეკრება იმის საუკეთესო დემონსტრაცია იყო თუ რა მძლავრ მოვლენად გადაიქცა კოლმეურნეობა დღევანდელ სოფელში. ბრმა უნდა იყოს კაცი, რომ ვერ შენიშნოს ის, რაც დღეს სოფლად ხდება. აშკარად გრძნობ, რომ კოლექტივიზაციის ფესვები ღრმად ეშვება ჩვენი სოფლების ნიადაგში, ყოვლიდღიურად იმტოება და იქსელება ის. კოლექტივი და კოლმეურნე დამკვრელები, აი ვინ სჭედს ახალ, სოციალისტურ სოფელს. ნარაზენის შეკრებას ამ მხრივ სრულიად გადაუჭარბებლად, სრულიად სამართლიანად შეგვიძლია ვუწოდოთ როგორც მეგრელები ამბობენ: „სოციალისტური სოფლის მჭედელთა კრებული", „სოციალისტური სოფელიში მაჭკადალეფი".

ამ კრების მონაწილეთა და მათთან გვერდით მომუშავე კოლმეურნეთა ათასეული მასები ყოველდღიურად, ყოველ საათში ჰქმნიან სოფლად ახალ ყოფა-ცხოვრებას, ახალ ზნეჩვეულებებს, რომელიც ისევე განასხვავებს თანამედროვე მოწინავე ადამიანს ძველისაგან, როგორც სხვაობა ცა და დედამიწა. ჩვენ თვალწინ შენდება საბჭოთა სოფელი თავისი ახალი ლექსიკონით: ბრიგადელებით, სილოსით, ბავშთა ბაგებით, ალმასკომებით და სხვ. სოფლებში თითქმის აღარსად სჩანს მღვდელ-დიაკვნები, მათ საოხუნჯოთ თუ ვინმე გაიხსენებს, ობლად, ვანმარტოებით დგანან ეკლესიები. გადავარდა ძველებური თემობა, ღრიანცელი, კეტების ტრიალი, სატევრებისა და ზებუთების უსაძაგლესი „გეროიკა".

„გრანდიოზული ალეგრა"

სოფლად ხდება უდიდესი გარდატეხა და ეს მდგომარეობა განსაკუთრებულ მოვალეობას აკისრებს ქალაქს. უნდა მივეშველოთ სოფელს ამ დიად მშენებლობაში, ძველი დახავსებული ტრადიციების ნაცვლად უნდა შევქმნათ ახალი ყოფა-ცხოვრების პირობები, უნდა გამოვიყვანოთ სოფელი ახალი თანამედროვე კულტურის ფართო გზაზე, საბოლოოდ უნდა ვიხსნათ ის ძველი სოფლის იდეოლოგიური ქვეყნების ჯერ კიდევ საკმაო გავლენისაგან.

რომ ეს ასეა, ყიის ნიშნებს ნახავთ სოფლად თითქმის ყოველ ფეხის ნაბიჯზე. ძველი ებრძვის ახალს, ძველი ყოფა-ცხოვრება იკაზმება თანამედროულად, ლეში გვევლინება ცოცხალი ქალწულის სახით. და ამ ცდუნების ანკესზე ეგებიან ისინიც კი, ვინც უნდა ხელმძღვანელობდეს ბრძოლას ახალი ყოფა-ცხოვრებისათვის. მაგალითიც:

18 აგვისტოს ქ. ახალსენაკის ქუჩებში თქვენ შეგეძლოთ წაგეკითხათ შემდეგი შინაარსის აფიშა:

„19 აგვისტოს ქ. ახალ-სენაკში კომკავშირის ქალაქის უჯრედების მიერ გაიმართება გრანდიოზული ალეგრა. შემდეგი პროგრამით:

1. ბუფეტი, 2. აუქციონი, 3. ბედის [illegible] 4. [illegible] 5. [illegible] მტრედის სროლა ჯილდოს მიცემით, 6. მფრინავი ფოსტა, 7. ტელეფონით გამოძახება, 8. ამერიკული ტორგი და სხვადასხვა გასართობები".

ამას აცხადებენ ქ. ახალ-სენაკის კომკავშირის საქალაქო უჯრედები.

რა არის ეს, ამხანაგო კომკავშირელებო, თუ არა ძველი, წვრილ-ბურჟუაზიული კულტურულ გასართობების გადაღება სოფლად? რა კურიოზად გამოიცქირებიან დღევანდელი სოფლის ფონზე ეს მეშჩანური ალეგრები თავიანთი „ბედის ყუთებით", „მფრინავი ფოსტებით და „მტრედის ავერენით სროლით".

რამდენად უმჯობესი იქნებოდა, რომ ჩვენი ხელოვნების ორგანოები, ჩვენი აკადემიური თეატრები, რომლებიც უპრინციპო კინკლაობაში ჰკლავენ დროს, ჩვენი აგრე მომრავლებული მწერლები და პოეტები სისტემატიურად დადიოდნენ სოფლად, ეცნობოდნენ სოფლად მიმდინარე გმირულ ბრძოლის პათოსით და დახმარებოდნენ კოლმეურნე გლეხებს, საბჭოთა სოფლის ახალი კულტურული ყოფის შექმნაში.

ნარაზენის შეკრებაზე ამ მხრივ ყველაფერი შედარებით რიგზე ჩატარდა. საღამოების შინაარსი აღებული იყო ჩვენი სინამდვილიდან და გადმოცემული თანამედროვე ადამიანის განცდებით. თუმცა უნდა ითქვას, რომ ყოველივე ეს მკრთალად მოსჩანდა იმ ენტუზიაზმთან, რომელსაც თვით შეკრებაზე ჰქონდა ადგილი.

ნარაზენის შეკრება იყო გამარჯვებული საკოლმეურნეო შრომის ნამდვილი ზეიმი. ეს იყო მძლავრი გადაძახილი ნარაზენიდან ლაითურში, დიდი ჭყონიდან—ნასაკირალში, კორცხელიდან — ჩაქვის მეურნეობაში, აჩიგვარიდან — ოჩხამურში. ამიტომ ჩაქვის შეკრების მისასალმებელ დეპეშამ ნარაზენის შეკრებაზე იშვიათი აღფრთოვანება გამოიწვია. ეს იყო დასავლეთ საქართველოს სიამაყის. მისი ძირითადი კულტურის—ჩაის პირველი გამარჯვების ზეიმი.

მოდის ახალი სოფელი, მოდის ბოლშევიკური ტემპებით, ტრაქტორებითა და კულტივატორებით შეიარაღებული. და ამ მედგარ განმანადგურებელ შეტევას ვერ გაუძლებს ძველი ქვეყანა, რომელიც ასე გააფთრებით იბრძვის სიცოცხლის შესანარჩუნებლად. ლიტონი სიტყვები არ არის ის, ნარაზენის შეკრების დარბაზში წითელ ტილოზე დიდი ასოებით რომ ეწერა: „ართიანი კოლექტივიზაციაში ნერჩიშა მობსაპათ კულაკეფი, მოჭოთ კლასიში". ესაა რეალური საქმე, რომელიც უკვე ტარდება სინამდვილეში, ეს არის მომასწავებელი იმისა, რომ დავა „ვინ-ვის" სოფელშიაც სწყდება სოციალიზმის სასარგებლოდ.

აკ. ჭუღნია.

---

*) დასასრული. იხ. „კომუნისტი" № 192.

ორი კვირის შემდეგ დაიწყება ბამბის კრეფა

დავრაზმოთ მთელი ძალები ბამბის კრეფის კამპანიის დანიშნულ ვადებში დამთავრების უზრუნველსაყოფად

როგორ ემზადებიან ბამბის მოსავლის კრეფისათვის

(ბორჩალო)

ბამბის ნათესების დამუშავება ბორჩალოს რაიონში დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს. მართალია, აქა-იქ ჯერ კიდევ სწარმოებს ნათესების გამარგვლა (მესამე თოხნა), ზოგან ნათესებს მეოთხე გათოხნაც დასჭირდება (აშაღასერალის და კაჩაგანის თემები), მაგრამ ეს გამონაკლისია, საერთოდ კი ბამბის ნათესების დამუშავება დამთავრდა. ასეთსავე მდგომარეობაშია ბამბის ნათესების მორწყვაც.

წელს ბორჩალოს რაიონში ბამბა 9.038 ჰექტარზე დაითესა, რაც მიწადმოქმედების კომისარიატის მიერ მოცემულ გეგმას 58 ჰექტარით აღემატება და ორჯერ მეტია ვიდრე გასულ წელს ნათესი ფართობი. აქედან კოლმეურნეობებს დათესილი აქვთ 4.163 ჰექტარი, კერძო სექტორს—4.570 ჰექტ. და საბჭოთა მეურნეობებს—319,5 ჰექტ. მთელი დათესილი რაოდენობიდან დამუშავებულია 8.838 ჰექტარი (კოლმეურნეობებში—4.095 ჰექტარი, კერძო სექტორში — 4.424 ჰექტარი და საბჭოთა მეურნეობებში 319.5 ჰექტარი). კოლმეურნეობები და კერძო სექტორი მართალია განაგრძობენ ბრძოლას სარეველა ბალახებით დაბინძურებულ ბამბის დანარჩენ ნათესების გადასარჩენად, მაგრამ რა შედეგს გამოიღებს ეს მუშაობა ჯერ გამოურკვეველია, ყოველ შემთხვევაში ამ ნათესების მაღალი ეფექტიანობა მოსალოდნელი არ არის. ამრიგად უნდა ვიანგარიშოთ, რომ მთელი ნათესებიდან დაზიანებულია 215 ჰექტარი ანუ 2,3 პროცენტი.

ბამბის დანარჩენი ნათესების მდგომარეობა საშუალოზე მაღალია. ალაგ-ალაგ კი ბამბის ნათესებს იშვიათი კარგი პირი უჩანს. ასე მაგალითად ლამბალოს არხის გასწვრივ ბაბაქარის უბანში (სოფ. ალმამეთლო, უდაბნო, კაჩაგანი და სხვ.) ბამბის ნათესების სიმაღლე 1,3 მეტრამდე აღწევს. რაიონში მყოფ მუშავე სპეციალისტების აზრით ბამბის საშუალო მოსავალი რაიონში 60 ფუთს გადააჭარბებს, მაშინ როდესაც მიწადმოქმედების კომისარიატის ვარაუდით საშუალო მოსავალი აქ 45 ფუთამდე უნდა იყოს.

ბორჩალოს რაიონის მოსახლეობა მომთაბარე მოსახლეობაა და იგი ზაფხულობით ყოველთვის იალაღზე მიდიოდა. ადგილობრივმა ხელისუფლებამ წელს დაითანხმა გლეხობა, რომ იგი დარჩენილიყო ადგილებზე ბამბის ნათესების დამუშავების დამთავრებამდე. მოსახლეობამ ეს დავალება პირნათლად შეასრულა და ეხლა, როდესაც ბამბის ნათესების დამუშავება დამთავრებულია, მოსახლეობის მეტი ნაწილი იალაღებისაკენ მიილტვის. უკანასკნელი 4—5 დღის განმავლობაში უკვე გავიდა იალაღებზე მოსახლეობის 30—40 პროცენტი. წასვლას აპირებს დანარჩენი ნაწილიც. ადგილობრივმა ხელისუფლებამ ა. კ. სახმარეთ კომიტეტის დადგენილების თანახმად უკანასკნელ დღეებში მიიღო ზომები, რომ მოსახლეობამ ჩაატაროს [illegible] ადგილებზე. კულაკებს ამ მიზნით მოეცათ მტკიცე დავალებები, ხოლო კოლმეურნეებსა, ღარიბ და საშუალო გლეხებს შორის სწარმოებს ახსნა-განმარტებითი კამპანია. აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის გამგზავრება იალაღებზე არ შეწყვეტილა, რასაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

მართალია ბამბის ნათესების გათოხნა მორწყვა უკვე დამთავრდა, მაგრამ 20-25 დღის შემდეგ დაიწყება ბამბის კრეფა და მაშასადამე დარჩენილი დრო არც კი იკმარებს მოსამზადებელი მუშაობის (გზების და ხიდების შეკეთება, გუმბების დამუშავება და სხვ.) ჩასატარებლად. ამიტომ ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა უნდა გააძლიერონ ახსნა-განმარტებითი მუშაობა მოსახლეობის ადგილებზე თვითმიმაგრების ჩასატარებლად და იალაღებზე წასულ მოსახლეობის უკან დასაბრუნებლად.

რაიაღმასკომის მიწადმოქმედების განყოფილებამ უკვე შეიმუშავა და დაუგზავნა ადგილებს ბამბის კრეფის გეგმა, მაგრამ ამ გეგმების დამუშავება ადგილებზე ჯერ კიდევ არ გაშლილა. საჭიროა ამ გარემოებასაც სერიოზული ყურადღება მიექცეს, რომ თვითეულმა კოლმეურნეობამ და ინდივიდუალურმა მეურნეობამ გარკვევით იცოდეს რა ევალება მას მოსავლის კრეფის კამპანიაში.

საჭიროა აგრეთვე რაიონში გაიხსნას რამოდენიმე ახალი მიმღები პუნქტი, რომ მოსახლეობისათვის გაადვილდეს აკრეფილი ბამბის ჩაბარება. ფართოდ უნდა გაიშალოს ახსნა-განმარტებითი კამპანია, რომ მოსახლეობამ ბამბის მთელი მოსავალი ჩააბაროს დამამზადებელ ორგანიზაციას.

მოსავლის აკრეფა სოფლის მეურნეობის წლიური პროცესების დამთავრებას წარმოადგენს და ამ კამპანიის ჩატარებაზე დიდად არის დამოკიდებული მთელი წლის მუშაობის ეფექტიანობა, ამიტომ ბორჩალოს რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა, რომლებმაც წლის განმავლობაში ბამბის კამპანიაში დიდი მუშაობა ჩაატარეს, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ მოსავლის აკრეფის კამპანიის მოსამზადებელ მუშაობას და ყოველივე ღონე იხმარონ, რომ მათ მიერ ჩატარებულმა შრომამ მაღალხარისხოვანი ეფექტი მოგვცეს.

„კომუნისტი"-ს გამსვლელი ბრიგადა.

ბამბის ნათესების დამუშავება

მიწადმოქმედების კომისარიატის ცნობით 15 აგვისტოსათვის ბამბის ნათესების გათოხნილი იყო პირველათ — 19.675 ჰექტარი, ნათესების 93,4 პროც., მეორეთ—16.295 ჰექტარი — ნათესების 77,6 პროც. და მესამეთ 14.274 ჰექტარი—ნათესების 68 პროც.

რაიონების მიხედვით გათოხნილია მთელი ნათესების პროცენტებში):

რაიონები	პირველად	მეორედ	მესამედ
ბორჩ. რაიონში	100%	100%	98,2%
ყარაიას	100 „	100 „	86,6 „
ლიუქსემბურგის	100 „	100 „	100 „
სიღნაღის	78 „	22 „	15,4 „
გურჯაანის	100 „	100 „	100 „
გარე - კახეთის	100 „	100 „	100 „
ვანის	100 „	100 „	100 „
სამტრედიის	87 „	87 „	
ქუთაისის	100 „	100 „	35,7 „
მარტვილის	100 „	88 „	30,6 „
ჩხარის	100 „	100 „	100 „
სენაკის	100 „		

ამრიგად ბამბის ნათესების დამუშავება არ დაუმთავრებიათ სიღნაღის, ყარაიას, ქუთაისის, მარტვილის და სენაკის რაიონებს. მათ გადაჭრილი ზომები უნდა მიიღონ ამ ოპერაციის დაკვრითი წესით დასამთავრებლად.

წელს უნდა დამზადდეს 150.116 ცენტ. ბამბა

ხელმძღვანელ ორგანიზაციების მიერ დამტკიცებული გეგმის თანახმად წელს საქართველოში უნდა დამზადდეს 150.116 ცენტნერი ნედლი ბამბა. აქედან საბჭოთა მეურნეობებში უნდა დამზადდეს 48.096 ცენტნერი, კოლმეურნეობებში 57,385 ცენტნერი, ღარიბ და საშუალო ინდივიდუალურ მეურნეობებში 40.076,2 ცენტნერი და კულაკურ მეურნეობებში — 4.558,8 ცენტნერი.

რაიონების მიხედვით უნდა დამზადდეს:

ბორჩალოს რაიონ.	61.419.8	ჰექ.
ყარაიას	25,209,9	„
ლიუქსემბურგის	1.881,6	„
სიღნაღის	50.166,7	„
გურჯაანის	5.666,2	„
გარე-კახეთში	734,7	„
ვანის	2.135	„
ქუთაისის	1.550,5	„
სამტრედიის	619,5	„
მარტვილის	732,1	„

სექტემბრის განმავლობაში უნდა დამზადდეს გეგმის 3 პროც., ოქტომბერში 45 პროც., ნოემბერში 45 პროც. და დეკემბერში 7 პროც. ბამბის დამზადება უნდა დამთავრდეს არა უგვიანეს 15 დეკემბრისა.

ბამბის ჩაბარების გაადვილების მიზნით არსებულ 4 შემსყიდველ პუნქტის გარდა მოეწყობა 4 ახალი მუდმივი და 4 დროებითი მიმღები პუნქტი. ახალ მიმღებ პუნქტებისათვის კადრების (10 კაცის) მომზადება დავალებული აქვთ ა.-კ. მებამბეობის კომიტეტს. ტრაქტორცენტრს, კოლმეურნეობათა ცენტრს და ბამბის ქარხნებს წინადადება მიეცათ დაჩქარებით გამოარკვიონ დამზადების კამპანიაში საჭირო სატრაქტორო საშუალებათა რაოდენობა. ეს საშუალებები გამონახულ უნდა იქნეს კოლმეურნეობებში, ღარიბ და საშუალო მეურნეობებში და სხვ. ორგანიზაციებში, რომლებთანაც უნდა დაიდოს სათანადო ხელშეკრულებები.

მებამბეობის საბჭოთა მეურნეობებს წინადადება მიეცათ დაჩქარებით გამოარკვიონ ბამბის აკრეფის კამპანიაში საჭირო — მუშა - ხელის რაოდენობა.

ბამბის აკრეფა-დამზადების პასუხისმგებლობა ეკისრებათ ბამბის დამთეს სარაიონო სამეულებს.

წითელი არმია ბამბისათვის ბრძოლის პირველ რიგებში

ბამბის ნათესების მეორეთ გათოხნა ბორჩალოს რაიონის აშაღასერალის და კაჩაგანის თემებში წელს მეტად დაგვიანდა. ამასთან ერთად, ხშირი წვიმების გამო, სარეველა ბალახს წელს მეტად კარგი პირობები შეექმნა და ზემოხსენებულ თემებში ეს ბალახი რამოდენიმე ასეულ ჰექტარ ბამბის ნათესს განადგურებას უქადდა. ადგილობრივი კოლმეურნეები, ღარიბი და საშუალო გლეხები გმირულად იბრძოდნენ ბამბის ნათესების სარეველა ბალახისაგან სახსნელად. მაგრამ ადგილობრივი მუშა-ხელი საქმეს ვეღარ ასდიოდა. სარეველა ბალახი კი თითქმის საათობით იზრდებოდა და იმდენა გაიზარდა, რომ შიგ ცხენიანი კაციც კი აღარ ჩანდა. თან მიწაც გამაგრდა და თუ ნორმალურ პირობებში 1 ჰექტარ ნათესს 12 კაც-დღე სჭირდებოდა—ეხლა 25 კაცი დღეც კი აღარ იყო საკმარისი. გაძნელდა მუშა-ხელის შოვნა და რამოდენიმე ასეული ჰექტარი ბამბის ნათესი დაღუპვამდე იყო მისული.

მებამბე კოლმეურნეებს ამ ნათესების გადარჩენის იმედიც კი აღარ ჰქონდათ, მაგრამ ამ დროს თემებს ესტუმრა წითელ-დროშოვანი არმიის მუშათა ბრიგადა 170 წითელარმიელის შემადგენლობით, რომელმაც 9 დღის განმავლობაში დაკვრითი წესით იმუშავა სოფ. აშაღასერალსა და არაფლოში. გათოხნა შეუძლებელი იყო თუ წინასწარ ხელით არ მოგლეჯდი სარეველა ბალახს. წითელ არმიელებმა ამ საქმეში თავდადებული შრომის იშვიათი მაგალითი მისცეს ადგილობრივ მოსახლეობას. ნაწილი სარეველა ბალახს (რომლის სიმაღლეც 1,5 მეტრს აღემატებოდა) ხელით სთხრიდა და მეორე ნაწილი თოხით მისდევდა.

წითელარმიელების ასეთი თავდადებული შრომის შედეგად გადარჩენილ იქნა დაღუპვისაგან რამოდენიმე ათეული ჰექტარი ბამბის ნათესი, ადგილობრივი კოლმეურნეები, ღარიბი და საშუალო გლეხები წითელ არმიელებს განსაკუთრებული გულთბილობით შეხვდნენ და ყოველ ღონეს ხმარობდნენ პატივი ეცათ მათთვის.

მუშაობის დამთავრების შემდეგ წითელარმიელებმა სამუშაოში კუთვნილი ხელფასი 1000 მანეთის რაოდენობით შესწირეს ადგილობრივ კოლმეურნეობას, რამაც კოლმეურნეების და ღარიბ და საშუალო გლეხების აღფრთოვანება გამოიწვია.

როგორ და როდის უნდა მოიკრიფოს ბამბა

მოსავლიანობის გადიდების მიზნით წელს პარტიისა და მთავრობის განკარგულებით ბამბა დაითესა 15-20 დღით ადრე, ვიდრე ეს სწარმოებდა წასულ წლებში. ბამბის კრეფაც ამდენითვე ადრე დაიწყება. ამიტომ საჭიროა ბამბის კრეფისათვის მზადებას ეხლავე შეუდგეთ, ვინაიდან ძლიერ ცოტა დრო არის დარჩენილი. თუ გასულ წლებში ბამბის კრეფა იწყებოდა პირველ ოქტომბრიდან, წელს კრეფა დაიწყება 10-15 სექტემბრიდან. მრავალ რაიონებში ბამბა უკვე გაიშალა, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ბამბის კრეფა უნდა დაიწყოს 15-20 დღის შემდეგ.

ბამბა ერთბაშად არ იშლება, მაშასადამე მოკრეფაც ერთბაშად არ სწარმოებს. ჯერ ბამბის ძირა კოლოფები იხსნება და შემდეგ თანდათანობით ზევითა კოლოფები იშლებიან. ამიტომ ბამბა უნდა მოიკრიფოს იმის და მიხედვით, თუ როდის რომელი კოლოფი გაიშალა, ე. ი. ბამბა უნდა მოიკრიფოს მაშინ, როდესაც ის სავსებით შემოსულია. როდესაც ბამბა სავსებით შემოსულია მისი კოლოფი სრულიად გახსნილია და ხელის შეხებით ის ადვილად ცილდება კოლოფს, აგრეთვე თუ თესლს მოუჭერთ კბილს, ის უნდა გატყდეს, როგორც თხილის კაკალი და არ უნდა დაიჭყლიტოს. ბამბა სწორედ ამ დროს უნდა მოიკრიფოს.

ბამბა არ შეიძლება მოიკრიფოს დილით ადრე ნამის გაშრობამდე, ნოტიო ამინდში და წვიმის დროს.

დანოტივებული ბამბა წინასწარ მზეზე უნდა გაშრეს და შემდეგ ჩაიყაროს პარდნებში, წინააღმდეგ შემთხვევაში ბამბა შეხურდება და დაიწვება.

ბამბის მოკრეფა სწარმოებს სამჯერ, ზოგ რაიონებში ოთხჯერაც იკრიფება. პირველი მოკრეფა იძლევა მაღალი ხარისხის ბამბას უკანასკნელი მოკრეფა კი დაბალი ხარისხისას. ამიტომ სხვადასხვა დროს მოკრეფილი ბამბა ერთი მეორეში არ უნდა აურიოთ, თორემ ამით ბამბის ხარისხი გაფუჭდება და ღირებულებაც შემცირდება.

აგრ. მ. კვინიხიძე

ბრძოლა სახელმძღვანელოებისათვის

იდეოლოგიურად და მეთოდიურად მისაღები სახელმძღვანელო წარმოადგენს მძლავრ იარაღს ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდისათვის. ჩვენი სახელმძღვანელოების შინაარსი და ხარისხი ყოველწლიურად უმჯობესდება, მაგრამ ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. სახელმძღვანელოების მომზადება-განხილვასთან ერთად განსახკომის და სახელგამის მორიგ დამკვრელ ამოცანას წარმოადგენს მათი თავის დროზე გამოცემა და წესიერად განაწილება.

გასული წლების განმავლობაში სახელმძღვანელოები მზადდებოდა ნაჩქარევად და ეგზავნებოდა სახელგამს გამოსაცემად ზაფხულის თვეებში. თუ მივიღებთ მხედველობაში სახელგამის პოლიგრაფიული ბაზის სისუსტეს და სხვადასხვა სახელწოდების სახელმძღვანელოს რიცხვისა და ტირაჟის ზრდას (კულტურული რევოლიუციის წინსვლასთან დაკავშირებით,) დავინახავთ, რომ 3-4 თვის განმავლობაში მთელი სამოსწავლო წლისათვის საჭირო სახელმძღვანელოების გამოცემა ყოვლად შეუძლებელია. უგეგმობა და პოლიგრაფიული ბაზის სისუსტე გარღვევების მთავარი მიზეზებია. მოთხოვნილება წიგნზე წარმოუდგენელი სისწრაფით იზრდება, მაგ.: შარშან სახელმძღვანელოებს დათმობილი ჰქონდა 10 მილ. ანაბეჭდი ფურცელი, წელს ეს ციფრი 100 პროც. გაიზარდა. პოლიგრაფიული საწარმოების ტექნიკურ რეკონსტრუქციაზე კი ჯერ არავის უზრუნია.

ყველაზე მეტი გარღვევა სახელმძღვანელოების გეგმის შესრულებაში სახელგამს გასულ წელში ჰქონდა. წიგნების დიდი ნაწილი სასწავლო წლის ბოლოს გამოვიდა, რამაც შეაფერხა მთელი რესპუბლიკის სკოლების მუშაობა. წელს განსახკომმა ძირითადი სახელმძღვანელოები სახელგამს შედარებით უფრო ადრე გადასცა. მაგრამ მაინც უნდა ითქვას, რომ განვლილი წლების მწარე გაკვეთილებით განსახკომმა და სახელგამმა საკმაოდ ვერ ისარგებლეს. ამით აიხსნება ის, რომ 1931-32 წლის სახელმძღვანელოებზე ზრუნვა მათ იანვრიდან დაიწყეს და არა სასწავლო წლის დასაწყისიდან.

ამჟამად სახელმძღვანელოების გამოცემის გარშემო ფრიად მძიმე მდგომარეობა შეიქნა. ფაქტიურად სახელმძღვანელოების ბეჭდვა დაიწყო მაისიდან და სასწავლო წლის დასაწყისამდე ამ საგამომცემლო გეგმის შესრულება დიდ სიძნელეს წარმოადგენს. ნაჩქარევად ბეჭდვას, ცხადია, მოჰყვება დეფექტები წიგნის რედაქციის, ტექნიკურ და მხატვრულ გაფორმების, კორექტურის და სხ. მხრივ, მით უმეტეს, რომ სახელგამის მუშაკთა კადრების კვალიფიკაცია სათანადო სიმაღლეზე არა სდგას.

წერა-კითხვის უც. და მცირე მცოდნეთა სკოლებს, ოთხწლედებს, საქ. საფაბრიკო შვიდწლედების და კოლმეურნე ახალგაზრდობის სკოლებისათვის უნდა გამოიცეს 53 ძირითადი სახელმძღვანელო, სპეც - ტეხნიკუმებისათვის—56, უმაღლეს სასწავლებლებისათვის—75. ამას გარდა უნდა გამოიცეს მეთოდიური მასიური და დამხმარე სახელმძღვანელოები 30-მდე.

მასიური სკოლებისათვის 54 სახელმძღვანელო უნდა გამოიცეს სასწავლო წლის დაწყებამდე. ასევე უნდა გამოიცეს აგრეთვე მეთოდიური ლიტერატურა მასწავლებლებისათვის 20 წიგნამდე.

მებამბეობის განვითარების პერსპექტივები

ა.-კავკასიაში და მექანიზაციის ამოცანები

20 აგვისტოს თბილისში ა-კ. სახკომსაბჭოსთან დაიწყო თათბირი მებამბეობის მექანიზაციის, ირიგაციისა და მოსავლის აღების კამპანიის ამოცანების შესახებ.

თათბირი გახსნა ამხ. მ. ორახელაშვილმა დიდი შესავალი სიტყვით.

შემდეგ ა-კ. მებამბეობის განვითარების პერსპექტივებისა და მექანიზაციის ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა ა-კ. მებამბეობის კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ტოლსტოპიატოვმა.

მომხსენებელმა მიუთითა იმაზე, რომ ა-კ. ხვედრითი წონა საბჭოთა კავშირის მებამბეობაში, მიუხედავად საგრძნობი მიღწევების — ნათესის ფართობის გაორკეცებისა, მაინც ნაკლებია ომის წინა დროსთან შედარებით. ამიერ - კავკასია აშკარად ჩამორჩება. ბუნებრივ - ისტორიული პირობები ამიერ - კავკასიას აძლევენ უდიდეს შესაძლებლობას, რომელიც დღეს-დღეობით მეტად არასაკმაოდ არის გამოყენებული. მომავალ წელს ბამბის ფართობი, გვალვის ამტან ბამბის ნათესთან ერთად, აყვანილი იქნება 430.000 ჰექტარამდე, აქედან მოსარწყავი ბამბის ფართობი იქნება 380 ათასი ჰექტარი. გეგმით გათვალისწინებულია 1939 წლისათვის ბამბის ფართობის აყვანა — 1.840.000 ჰექტარამდე (გვალვის ამტან ბამბას დაეთმობა 500.000 ჰექტარი). ფართობის მიღება დაკავშირებულია წყალთა მეურნეობის უაღრესად სერიოზული პრობლემების გადაჭრასთან—საგუბრისა და წყლის საცავის აგებასთან მინგეჩაურის მახლობლად, მდინარე მტკვარზე, შემდეგ არაქსის, მდინარე მტკვრის წვრილი შენაკადების, მდინარე იორის (სამგორის მორწყვა), ტერტერის, ზანგის და სხვა მდინარეების მოწესრიგებასთან.

ამხ. ტოლსტოპიატოვი შეჩერდა მინგეჩაურის პრობლემაზე, რომლის გადაჭრაც გათვალისწინებულია ორი ვარიანტით: საგუბრის აგება მდინარე მტკვარზე, მინგეჩაურთან, 40 მეტრის და 65 მეტრის სიმაღლეზე. წყლის საცავმა უნდა დაიტიოს 11 ნახ. მილიარდი კუბიკური მეტრი წყალი. მცირე ვარიანტის ღირებულება (საგუბარი 40 მეტრი) უდრის—300 მილიონ მანეთს, დიდი ვარიანტის—500 მილიონ მანეთს.

მინგეჩაურის პრობლემის გადაჭრა მოგვცემს დიდ ახალ ფართობს, კერძოდ, შირაქის ველზე, გააჯანსაღებს მუღანს, თავიდან აგვაცილებს შემდეგში დიდძალი ხარჯის გაწევას, რომელსაც იწვევს ბამბის ფართობისა და სოფლების დაფარვა წყლით გაზაფხულზე, მდინარე მტკვრის ადიდების გამო, გააუმჯობესებს ნაოსნობის პირობებს და სხვა. სირთულის მხრივ ეს მშენებლობა სარეკორდო იქნება.

ამჟამად საგუბრის პროექტს ადგენს ამერიკელი ინჟინერი ოლბერი. მშენებლობისათვის გამოყოფილი იქნებიან საუკეთესო ძალები. განზრახული 1.340.000 ჰექტარი მოსარწყავი ბამბა ორჯერ იმაზე მეტ ბოჭკოს მოგვცემს, რაც საბჭოთა კავშირმა მიიღო 1930 წელს. შესასრულებელია უდიდესი მაშტაბის მიწის სამუშაოები — უნდა ამოითხაროს რამდენიმე ასი მილიონი კუბიკური მეტრი მიწა. ამ მუშაობის შესასრულებლად საჭირო იქნება მშენებლობის მაქსიმალური მექანიზაცია. ამჟამად კი მშენებლობის მექანიზაცია წყალთა მეურნეობის დარგში განხორციელებულია მხოლოდ ათი პრ-ით. თუ მშენებლობის მექანიზაცია არ განხორციელდა, მშენებლობას დიდი დაბრკოლება გადაეღობება მუშა - ხელის ნაკლებობის გამო, მშენებლობას დასჭირდება მთელი დღე-ღამის განმავლობაში მომუშავე 32 ათასი კაცი. სამუშაოების მექანიზაცია მუშა-ხელის საჭიროებას 6-ჯერ შეამცირებს.

ახალ უზარმაზარ ფართობზე საჭირო იქნება აგრეთვე შრომის პროცესების მაქსიმალური მექანიზაცია მინდვრად. მოსავლის აღების მექანიკური წესი ერთი ფუთის აღების ღირებულებას შეამცირებს 3 კაპეიკამდე, ამჟამად კი ხელით მუშაობის დროს ჯდება 10,2 კაპ. მუშა-ხელის საჭიროება შემცირდება აგრეთვე შრომის მაღალი ნაყოფიერებით კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. 1932 წელს მებამბეობის ყველა ძირითადი რაიონები გადავლენ მსხვილ კოლექტიურ მექანიზაციაქმნილ მეურნეობაზე.

ამრიგად, ბამბის ფრონტზე მაქსიმალური მექანიზაციის საკითხი გადაქცეულია სადღეისო საკითხად, რომლის გადაჭრას უნდა შევუდგეთ, რათა გამოვიყენოთ ახალი დიდი ფართობი.

საჭიროა ეხლავე ვიფიქროთ ბამბის მოსავლის აღების მექანიზაციაზე და იმ გადასარგავ კულტურების გავრცელებაზე, რომელთა განვითარებაც დიდ ფართობზე, ხელანდელი სუსტი მექანიზაციის გამო, შეუძლებელია.

დასასრულ ამხ. ტოლსტოპიატოვი შეჩერდა მებამბეობის მექანიზაციის ეხლანდელ მდგომარეობაზე. მან აღნიშნა, რომ ყველაზე ვიწრო ადგილს წარმოადგენს ბამბის მოსავლის აღება, რომელიც სრულიად არ არის უზრუნველყოფილი მექანიზაციით არა მარტო ჩვენში, არამედ ამერიკაშიაც. საბჭოთა კავშირში ბამბის მექანიზაციას შეუდგნენ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში, მაგრამ მიუხედავად დავალებისა—განვახორციელოთ ბამბის მოსავლის აღების მექანიზაცია 100 პროცენტით, ეს ამოცანა შესრულებული არ არის. უკანასკნელ წელს მოხდა ერთგვარი გარდატეხა—შერჩეულ იქნა რამდენიმე რუსული სისტემის მანქანა. ეს მანქანები იმუშავებენ ამიერ-კავკასიასა და შუა აზიაში მოსავლის აღების მომავალი კამპანიის დროს.

ამხ. ტოლსტოპიატოვის შემდეგ პროფესორმა ამირაჯიბმა გააკეთა მოკლე მოხსენება მებამბეობის პროცესების მექანიზაციის შესახებ. მოხსენების მთავარი აზრი გამოიხატება იმაში, რომ ხვნა მთლიანად უნდა სწარმოებდეს მბოღავი ტრაქტორით. ამ ტრაქტორის უპირატესობას წარმოადგენს კორპუსების სიმძლავრე (8 გუთანი) და ის, რომ იგი, სხვა სისტემის ტრაქტორების მსგავსად, არ სტკეპნის ნიადაგს. მბოღავი ტრაქტორის გამოყენება შეიძლება ბამბის მწკრივებს შორის დამუშავებისათვისაც. ეხლა ეს დამუშავება მეტწილად სწარმოებს ცხენით და ნაწილობრივ ბორბლებიანი ტრაქტორით — „ზარმონ"-ით, რომელსაც ახასიათებს ბორბლებიანი ტრაქტორის ყველა ნაკლი (ადს).

ალავერდი. სპილენძის მადნის გამოზიდვა მაღაროებიდან

მესამე გადამწყვეტი წლის სესხი

განვამტკიცოთ სესხის რეალიზაციაში მიღწეული წარმატებები

არც ერთი საწარმო, არც ერთი დაწესებულება და არც ერთი კოლმეურნეობა არ უნდა დარჩეს ისე, რომ სავსებით არ გააფორმოს სესხზე ხელის მოწერა და არ შეიტანოს ობლიგაციების ღირებულების პირველი ნაწილი

(საუბარი ამიერ-კავკასიის ცაკთან არსებული სახელმწიფო კრედიტების ხელისშემწყობ ა.-კ. ცენტრალური კომისიის თავმჯდომარე ამხ. ჰამიდ სულთანოვთან)

პროლეტარიატისა და საბჭოთა საზოგადოებრიობის გმირული ღონისძიებათა წყალობით ჩვენ მეტად მოკლე დროის განმავლობაში მოვახერხეთ უდიდესი შედეგების მიღწევა სესხის რეალიზაციის საქმეში ქალაქად და მოვახდინეთ მკვეთრი გარდატეხა სოფლად, განსაკუთრებით კოლმეურნეთა შორის. ამჟამად ჩვენ ორგანიზაციულად უნდა განვამტკიცოთ ამ უდიდესი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მუშაობის შედეგები სესხზე ხელის მოწერის დროზე და სავსებით გაფორმების საშუალებით გამოუკლებლივ ყველა საწარმოებში, დაწესებულებებსა და კოლმეურნეობებში და შევიტანოთ პირველი შესატანი ბანკში.

ამისათვის, რომ შესრულებულ იქნას ეს მნიშვნელოვანესი საფინანსო-საკრედიტო ამოცანა, საჭიროა ჩვენი საზოგადოებრივობის, პროფკავშირების, კომკავშირის, მუშებისა და სახელმწიფო კრედიტის აქტივის ძალების, პირველ ყოვლისა ყველა ხელისშემწყობ კომისიების ძალების მობილიზაცია, განსაკუთრებით საწარმოებში, დაწესებულებებში და კოლმეურნეობათა ქვედა ჭრილში და ყველა კოლექტივებში მოკლე, მაგრამ მკაფიო ახსნა-განმარტებითი და ორგანიზაციულ მუშაობის გაშლა სესხზე ხელის მოწერის გასაფორმებლად და ობლიგაციების ღირებულების პირველი ნაწილის დანიშნულ ვადაზე შესატანად.

ამ ამოცანის წარმატებით შესასრულებლად საჭიროა აგრეთვე საფინანსო-საკრედიტო აპარატის მკაფიო და ენერგიული მუშაობა, საჭიროა საზოგადოებრივი ინსტრუქტორების აქტიური დახმარება მუშაობის გასაშლელად ყველა კოლექტივებში და მათთვის ცოცხალი ინსტრუქტაჟის გასაწევად.

კოლექტივებთან არსებულმა ხელისშემწყობმა კომისიებმა, საქარხნო-საფაბრიკო და ადგილობრივ კომიტეტებთან ერთად, მთელი ძალღონე უნდა მიმართონ იქეთკენ, რომ არავითარ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონდეს ხელის მოწერის თანხის შემცირებას კოლექტივებში იმ დონესთან შედარებით, რაც მიღწეული იყო კამპანიის გაშლის ხანაში, პირიქით, ყველა ზომები უნდა იქნას მიღებული იმისათვის, რომ რაც შეიძლება გავადიდოთ ხელისმომწერთა რიცხვი იმ მუშა-ხელის ხარჯზე, რომელიც ახლად ებმება საწარმოებისა და დაწესებულებების მუშაობაში.

ხელისშემწყობმა კომისიებმა, საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტებმა და საფინანსო საკრედიტო აპარატმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ აგვისტოს პირველ ნახევრის შრომის ხელფასიდან სათანადო თანხის დროზე დაჭერას და დაუყოვნებლივ შეტანას ბანკში, აგრეთვე სწორი აღრიცხვისა და ანგარიშგების მოწყობას. ხელისშემწყობმა კომისიებმა უნდა გააფრთხილონ კოლექტივების ადმინისტრაცია, რომელიც პასუხისმგებელია მთავრობის წინაშე ობლიგაციების ღირებულების დროზე შეტანისათვის, რომ ხუთწლედის გადამწყვეტ წელიწადში ისინი არ დაუშვებენ კანონის იმ დარღვევებს და საქმის გაჭიანურებას, რასაც ადგილი ჰქონდა წარსული სესხების რეალიზაციის დროს მთელ რიგ კოლექტივებში, სადაც ობლიგაციების ღირებულებას დიდხნით აჭერებდა ადმინისტრაცია და სადაც ასეთი თანხები სხვა საჭიროებისათვისაც კი იხარჯებოდა. კანონის დარღვევის ასეთი შემთხვევების წინააღმდეგ ჩვენ დაუნდობელი ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ. ასეთი პირებიც გამოქვეყნებული იქნებიან ბეჭდვითი სიტყვის ორგანოების ფურცლებზე. როგორც წმინდა წყლის ოპორტუნისტები, მათი საქმე გადაეცემა პროკურატურას საქმის აღსაძრავად სასამართლოს წესით და საჩვენებელი გასამართლების მოსაწყობად, ხოლო ადგილობრივ საზოგადოებრივობას, პირველ რიგში, ხელისშემწყობ კომისიებს ვამხელთ პრესაში თვითდინარეობაზე დაყრდნობისა და უმოქმედობის გამოჩენისათვის. მეორე მხრივ ყურადღებას მივაქცევთ და გამოვყოფთ კოლექტივებსა და ცალკე საზოგადოებრივ მუშაკებს მკაფიო მუშაობისა და დავალების სავსებით შესრულებისათვის და წავაყენებთ მათ დასაჯილდოებლად.

ჩვენ დაუყოვნებლივ უნდა უზრუნველვყოთ, ყოველი პირობის გარეშე, ხელისმოწერის გაფორმებისა და ობლიგაციების ღირებულების პირველი ნაწილის 25 აგვისტოსათვის შეტანის ასი პროცენტით შესრულება და ამისათვის მოვახდინოთ სახელმწიფო კრედიტის დარგში მომუშავე ქალაქისა და სოფლის აქტივის მობილიზაცია რომ სავსებით გავატაროთ ცხოვრებაში ლოზუნგი „არც ერთი საწარმო და დაწესებულება, არც ერთი კოლმეურნეობა, არც ერთი მშრომელი არ დარჩეს სესხზე ხელის მოწერის გაუფორმებლად და ობლიგაციების ღირებულების პირველი ნაწილის შეუტანლად".

მაგრამ ამ დაკვრითი ამოცანამ ერთი წუთითაც არ უნდა შეასუსტოს ჩვენი მუშაობა ქალაქად, სადაც კიდევ უნდა ჩავაბათ ხელის მოწერაში სეზონურ მომუშავეთა ჩაუბმელი ჯგუფები, ერთეული მუშები, კერძოდ, პროფკავშირებში შეუკავშირებელი მუშები.

კიდევ უფრო მეტი ენერგიით უნდა ვაწარმოოთ ჩვენ კამპანია სოფლად, განსაკუთრებით, ინდივიდუალურ მეურნე გლეხებს შორის, რათა დაუყოვნებლივ მოვახდინოთ ამ დარგში მომხდარი ჩამორჩენის ლიკვიდაცია და აქაც გადაჭარბებით შევასრულოთ საკონტროლო დავალებანი.

საკონტროლო ციფრების შესრულებაში შედარებით დამაკმაყოფილებელი შედეგების მიღწევის შემდეგ, ჩვენ ამჟამად მუშათა და საბჭოთა საზოგადოებრივობის მთელი ძალითა და ენერგიით და მთელი ბოლშევიკური შეუპოვრობით უნდა მოვახდინოთ ჩვენი ძალების მობილიზაცია, რათა შევასრულოთ კამპანიის ძირითადი ლოზუნგი: „არც ერთი მუშა და მოსამსახურე, არც ერთი კოლმეურნე და გლეხი, არც ერთი მშრომელი ქალაქად და სოფლად არ უნდა დარჩეს ხუთწლიანი გეგმის მესამე გადამწყვეტი წლის სესხზე ხელმოუწერლად". მე მჯერა, რომ ჩვენი მუშათა კლასი ჩვეული ენტუზიაზმით ღირსეულად შეასრულებს პარტიისა და მთავრობის ამ დავალებასაც. საქალაქო კომიტეტებმა, რაიკომებმა, უჯრედებმა, სოფლის საბჭოებმა და საზოგადოებრივმა მუშაკებმა უნდა გაშალონ მუშაობა ამ მეტად დიდმნიშვნელოვანი საქმის შესასრულებლად.

უნდა გვახსოვდეს, რომ ოდნავი გულგრილობის გამოჩენა ამ საქმეში—ეს იქნება საბჭოთა ხელისუფლების უბოროტესი მტრებისათვის დახმარება და ხელისშეწყობა. (ადს).

საქარ. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის

მეხუთე პლენუმი გადადებულია

შესდგება ა/წ. სექტემბრის 2 საღ. 7 ს. ხელოვნების სასახლეში

დღის წესრიგი:

1. რეკონსტრუქციის პერიოდი და პროლეტარული მწერლობა. (მომხსენებ. ამხ. ბ. ბუაჩიძე.)
2. დამკვრელ მუშათა გაწვევა მწერლობაში. (მომხსენებ. ამხ. ს. წვერავა.)
3. ორგანიზაციული საკითხები.

სხდომები იწარმოებს ხელოვნების სასახლეში

(მაჩაბლის ქუჩა № 13).

მივიწყებული წარმოება

(საბუეს ფიქალი)

დაღესტნისა და საქართველოს მეგობრულ სადარაჯოზე დარაზმულ კავკასიონის ქედებს აუკრეფიათ ტყეებით ნაქარგი თავიანთი კალთები — ალაზნის ველიდან. ამ კალთების ნაპირებს შეჰფარებია ბაღ-ვენახებში შეხვეული სოფელი საბუე.

მაგრამ გომბორის მთებიდან იმიტომ არ გადმოვიარე ალაზნის ველზე 25 კილომეტრი და შევედი კავკასიონის სანაპირომდე, რომ მკითხველს ვუამბო სოფელ საბუეზე.

არა. ამ შემთხვევაში მე მაინტერესებს საბუეს მახლობლად ერთი სრულიად მივიწყებული წარმოება—ფიქალის წარმოება.

არ გეგონოთ, რომ ეს წარმოება მივიწყებულია თავისი ხანდაზმულობის გამო. ეს წარმოება ნამდვილი პიონერია: მისი არსებობა იწყება 1930 წლის 1 მაისიდან.

ან ეგები იმიტომ არის მივიწყებული, რომ ფიქალი არ წარმოადგენს საჭირო მასალას დღევანდელ გიგანტურ სოციალისტურ მშენებლობაში? ან ფუფუნების საგნად ხომ არ ითვლება ეს ფიქალი და ამიტომ საძრახისად არის მიჩნეული მასზე ყურადღების მიქცევა?

არა. საბუეს ფიქალი აუცილებელი ნაწილთაგანია ჩვენი ფრთა-გაშლილი მშენებლობისა. ის აღმოჩენაა ჩვენი მშენებლობის გაძლიერებული წარმატებისათვის. მაგრამ ამაზე ქვევითაც მოგვიხდება სიტყვის გაკვრა...

სოფ. გრემი ჩამოვიტოვე უკან სამ კილომეტრზე და შემოვედი სოფ. საბუეში.

აგერ წარმოების სამმართველოც.

ძველი, ორსართულიანი მოზრდილი შენობა. ეტყობა, თავის დროზე რომელიმე თავადის სამფლობელოს წარმოადგენდა. ეხლა რამდენიმეთ შეკეთებულია, რომ შეფარდებულ იყოს წარმოების საჭიროებასთან.

თვალი უნებლიედ სცდილობს, დაიჭიროს ნიშნები წარმოების საფუძვლიანობაზე: ფართო ეზოში დაფუსფუსებს მრავალი ხალხი. ყველას ცოტად თუ ბევრად ეტყობა რაიმე საქმიანობა. ფარდულში დგას მოზრდილი ტვირთოსანი („გრუზოვიკი"). მეორეც აგერ ხისქვეშ ისვენებს. უფრო კი ფეხებდაჭრილ დაუქმებულ ვაჟკაცს მოგაგონებს, რადგან ორივე გოგორა გამოუძვრიათ — ალბათ შესაკეთებლად. აქვე არიან ურმები, ხარ-კამეჩი, ცხენები და რამდენიმე ეტლი.

აქვე არის მუშათა დახურული კოოპერატივი, სასადილო, საავადმყოფო და ფოსტა.

სამართვ. აპარატიც მთელი სისრულით არის წარმოდგენილი: დირექტორი, მისი მოადგილე, უფროს-უმცროსი ინჟინრები, სამეურნეო ნაწილის გამგე, ტრანსპორტის გამგე, კანტორა, ბუხჰალტერია, სალარო.

ყველაფერი ეს ადამიანში ჰქმნის შთაბეჭდილებას, რომ წარმოება ფართოდ და ღონიერადაა დაყენებული.

ადგილობრივ მივიღე მრავალი ცნობები და მეორე დღეს შევუდექი თვით წარმოების დათვალიერებას. ამ ცნობებს გამოვიყენებ გზადაგზა საჭიროებისამებრ.

⁂

ფიქალის დამუშავება ორ ადგილას სწარმოებს: ერთი ინწოში—საბუედან ხუთი კილომეტრის დაშორებით — ჩრდილოეთისაკენ. მეორე — საბუედან ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით — 12 კილომეტრის დაშორებით, რომელსაც ეწოდება სეფორის უბანი.

ყველას აზრით სეფორის უბანში უკეთესად არის მოწყობილი წარმოება. მეც იქით მივეშურები.

შილდამდის ჩვეულებრივი სოფლის გზაა სწორი და უფათერაკო.—სამი კილომეტრი. შილდიდან კი თვით სეფორის წარმოებამდის იწყება ნამდვილი უგზოობა, რომელიც გრძელდება ცხრა კილომეტრზე.

ეტლი და ავტო აქ გაივლის მხოლოდ დასამტვრევად. ამიტომ მივდივართ ცხენებით. მივსდევთ რომელიღაც პატარა მდინარის მეტად დიდ კალაპოტს. თითქმის სათავემდის უნდა ვიაროთ. იქ არის სეფორის წარმოება.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ეს კუთხე წარმოადგენდა ყაჩაღების საბუდარსა და სათარეშოს. ეხლა კი... ვუცქერი ამ [illegible] მცენარით აკლებულ რიყეს, ამ ხუჭუჭ ტყეებით შემოსილ, მაგრამ თავმოტვლეპილ მაღალ ქედებს. აქ ყველაფერი თითქოს უცვლელია ძველთაგან ძველათ. მაგრამ არა. ჩემ ძარღვებში საკუთარი სისხლის ჩქეფასავით ვგრძნობ, რომ აქაც შეჭრილა ძლევამოსილი სოციალიზმის მოვარდნილი ტალღა. აქაც უტეხი ნებისყოფით მიაპობს გზას საბჭოთა ხელისუფლების იდეა და ძალა.

ყველაფერ ამის თვალსაჩინო ნიშნად წარმოადგენს აგერ ეს ტელეფონის გაშტერებული ბოძები. და ჩვენ თვითონ განა სწორედ ამიტომ არ მივდივართ ამ უდაბურ ადგილებში? უმისოდ რა გვინდა აქ—ამ ყაჩაღების მუდმივ სამფლობელოში?

საბუეს ფიქალი. თითქმის იშვიათად უნახავს ვისმეს თვალით. ეს არის შენობების სახურავი ფიქალი. ეს არის გიშრის დაგვარი კლდის დაფები: ლამაზი, მსუბუქი, ადვილად მოსახმარი და გამძლე. პირველხარისხოვანი სძლებს ორას-სამას წელიწადს, უფრო დაბალისა კი — არა ნაკლებ ასი წლისა. არც შეღებვა უნდა, არც შეკეთება, თუ ძალით არ დაამტვრიე.

სახურავი მასალის აღმოჩენა — ეს მართლა დაუფასებელ საჭიროებას წარმოადგენს ფართოდ გაშლილ მშენებლობისათვის. არის აგური და ტუფი, არის კირი და ხის მასალა, ყველაზე მეტი ნაკლებობა სახურავი მასალის და აი აქ მოისწრო საბუეს სახურავი ფიქალი. ჩვენ შეგვიძლია ავაგოთ ფაბრიკები, ქარხნები, საწყობები, შენობები მხოლოდ და მხოლოდ საკუთარის მასალით. გვაკლდა პრაქტიკული, ლამაზი და გამძლე სახურავი მასალა და ეხლა ხომ იგიც მოგვეპოვება საბუეს ფიქალის სახით.

ამ ნორჩ წარმოებას იმდენი მუშტარი გაუჩნდა, რომ დღეს მეასედადაც ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. ეს იმის ნიშანია, რომ წარმოება უეჭველად უნდა გაიზარდოს და გაიზრდება კიდეც. მაგრამ სანამ გაიზრდება, რამდენი ძნელი გზა აქვს გასავლელი! აი თუნდაც ასეთი გზა, რომელზედაც ეხლა ჩვენ მივდივართ.

⁂

აქ თვალსაჩინოთ ვრწმუნდები, თუ რა გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს გზას მთელი ქვეყნის კულტურისა და წარმატებისათვის. თუმცა ჯერ არ მინახავს თვით წარმოება, მაგრამ უკვე სრული წარმოდგენა მაქვს იმის მასშტაბზე. თუ კი ამ წარმოებასთან მისასვლელი ეს გზა არის, შეუძლებელია ის დაყენებული იყოს ფართოდ, ძლიერად. ცხადია, ვერც წავა წინ ეს წარმოება, სანამ არ ექნება კარგი მისასვლელი გზა, რომლითაც იგი მუდმივად და წესიერად დაუკავშირდება დანარჩენ ქვეყანას. კარგი გზა — კარგი ძარღვებია, სადაც უნდა ჩუხჩუხებდეს სიცოცხლის მომნიჭე სისხლი.

დღევანდელს პირობებში რა არის წარმოება, რომელსაც არ მოეპოება საუკეთესო სატრანსპორტო საშუალება?

რამდენჯერმე ვეკითხები ამხანაგებს (რადგან არ მჯერა): ნუ თუ ამ გზით ეზიდებიან ფიქალს?

დიახ, ეს არის მათი „მთავარი მაგისტრალი". ეზიდებიან ურმებით. მართლაც ასეთ გზაზე კარგი ქედძალოვანი კამეჩები და ფოლად-მაგარი ურმები თუ გაიტანენ, თორემ აქ რა გაატარებს მეტიჩარა „ფორდს" ან ფალავანთა ფალავან „როლს-როისს"?

მაგრამ ასეთი გზაც ხომ ყოველთვის არ არის. საკმარისია ერთი შხაპუნა წვიმა მოვიდეს და მთელი ეს ხეობა ისე აქოთდება, რომ ურემსაც აღარსად არ გაუვლება. იწყება ახლად მუშაობა, გადაყრა, გადმოყრა, რომ როგორმე გაკვალონ სახელდახელო საურმე გზა.

ეს მდგომარეობა რასაკვირველია, კარგად ესმით წარმოების ხელმძღვანელებს და უკვე დაუდვიათ ხელშეკრულება საქ. გზათა სამმართველოსთან: მთელ ხარჯებს იხდის წარმოება, მხოლოდ ტექნიკურ ხელმძღვანელობას ეწევა გზათა სამმართველო. მაგრამ მუშაობა ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობს: მთელ ამ გზაზე 50 კაცი ძლივსღა მუშაობს. ამის მიზეზი არის მუშახელის ნაკლებობა. იმედოვნებენ, რომ მოსავლის აკრეფის შემდეგ გაჩნდება უფრო მეტი თავისუფალი მუშა-ხელი და საქმეც წინ წავა.

ამ გზის საკითხთან დაკავშირებით უეჭველად უნდა მიექცეს ყურადღება ერთ ძირითად გარემოებას:

ეხლა ფიქალზე მუშაობს ორი უბანი—ინწოშისა და სეფორის. ზევითაც აღვნიშნეთ: ინწოშის უბანი საბუედან მხოლოდ 5 კილომეტრით არის დაშორებული და გზაც არ არის ურიგო.

სამაგიეროდ სეფორის უბანი 12 კილომეტრით არის დაშორებული და გზაც აუტანელია. ამასთან ინტენსიური მუშაობა უფრო სეფორის უბანშია გაჩაღებული.

აქ ყოვლად გაუგებარია: რა საჭირო იყო ამ პირობებში ორი უბნის ამუშავება? არ სჯობდა განა ჯერეთ ამუშავებიათ ინწოშის უბანი? ის ხომ ახლოც არის; გზაც უკეთესია; ხელმძღვანელობა, მისვლა - მოსვლა და მომარაგება გაადვილებულია; დამზადებული მასალის გამოტანა ბევრად მოსახერხებელია.

ეგება იფიქროთ — ფიქალი არის დაბალი ხარისხისა ან მისი მარაგი არ იყოს საკმარისი?—სრულებითაც არა.

მაშ რაღათ დასჭირდათ ხელმძღვანელებს მეორე უბნის გახსნა? ამით ხომ დაქსაქსულია მთელი ტექნიკური და მუშა ძალა. ყოვლად გაძნელებულია სწორი, მუდმივი ხელმძღვანელობა სიშორისა და უგზოობის გამო. გზისა და სატრანსპორტო საშუალებათა უქონლობა ხომ აქედანვე სპობს შესაძლებლობას წარმოების განსავითარებლად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საწარმოო ძალები არც ერთ უბანს არ ჰყოფნის ეხლა და ორივეს წესიერი მუშაობა შეფერხებულია. ამასთან ძალაუნებურად გაზრდილია ადმინისტრატიული აპარატი, რაც ზედმეტ ბარგათ აწვება ასეთ ნორჩ წარმოებას.

მაშ რითი უნდა აიხსნას ასეთი საზარალო დანაწილება წარმოებისა? არ სჯობდა გაეძლიერებინათ მუშაობა ეხლანდელი მასშტაბებით და სეფორაში კი ეწარმოებინათ მხოლოდ სამზადისი?

ეხლა რომ ასეთ კრიზისს განიცდის წარმოება ტექნიკური ძალებისა, მუშა ხელისას, სატრანსპორტო საშუალებისას — მხოლოდ ინწოშის უბნის ამუშავებით რამდენად იქნებოდა გაადვილებული ყველაფერი ეს პირობები?

სწორედ გაუგებარია ორივე უბნის ამუშავება ამ პირობებში. ან სათანადო ორგანოებმა რა მოსაზრებით მისცეს დასტური მუშაობის ასეთ საზიანო დანაწილებაზე?

ეს კითხვები დღესაც აწუხებთ და პასუხი კი ვერ მიუღიათ იმ ამხანაგებს, რომლებიც იცავენ მხოლოდ ინწოშის უბნის ამუშავებას.

„შეიძლება კიდევ ამ საკითხის ახლად დასმა: მთელი ძალები გადატყორცნილ იქნას ინწოშში, სეფორაში კი შეჩერდეს მუშაობა დროებით, სანამ გაიყვანენ გზას, შექმნიან სატრანსპორტო საშუალებებს, უზრუნველყოფენ ტექნიკური გაუმჯობესებით და სანამ არ იყოლიებენ დახელოვნებულ მუშებს. ასეთი კადრის შექმნა კი შესაძლებელია უფრო ერთ წარმოებაში, სადაც თავმოყრილი იქნება წარმოების ყველა აქტიური ძალები, ვიდრე ორ დაქსაქსულ ადგილას.

ყოველდღე ათასობით ზედმეტი ხარჯია ასეთი უგეგმო მუშაობის გამო. მაშ ამ საკითხის ახლად გადაჭრა უეჭველად შეეფერება წარმოების სასიცოცხლო ინტერესებს.

⁂

აგერ მოვედით თვით წარმოებაში. პირველივე თვალის გადავლება სასიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებს ადამიანზე: მოსჩანს საკმაოდ მრავალი შენობები—ხისა: ესენი არიან საცხოვრებელი ბინები, სასადილო, კოოპერატივი, კლუბი; საექიმო პუნქტი, სამჭედლო...

თუმცა ყველა ეს შენობა აუცილებელია ასეთ მოწყვეტილ ადგილას, მაგრამ მაინც მიკვირს, რომ ასე დროზე მოუსწრიათ მათი აგება.

პირველ ყოვლისა მე მაინტერესებდა თვით წარმოება. ამიტომ გვერდზე ვუვლით ყველა შენობებს და მივდივართ პირდაპირ ფიქალის გამომყვან განყოფილებაში.

შესვლისთანავე სახტად დავრჩი, ნუ თუ ამას ეწოდება წარმოება? თვალწინ დამიდგა პირველყოფილ მუშაობის ყველაზე დაბალი სახე. მაგრამ შევეცადოთ თვით სინამდვილის გადმოცემას:

არ დაგავიწყდეთ: ეს არის გული წარმოებისა, განყოფილებაში მუშაობს სულ 8—10 ქალი. ზოგი აპობს ფიქალს თხელ ფირფიტებად და ზოგიც დიდი მაკრატლით ჭრის ზომაზე.

ათი წუთის განმავლობაში ვუცქერი ერთ ქალს: მან გაპო ათიოდე ფიქალი და ათივე გააფუჭა. (ეტყობა ამას უცნაური სანაძლეო აქვს ვისთანმე). ვუცქერი მეორეს, მესამეს, ყველას მხოლოდ შემთხვევით გამოჰყავს კარგი ფიქალი. უმეტეს ნაწილს კი აფუჭებენ. აფუჭებენ თავიანთი ხელის მოუხეშაობით, უყურადღებობით, დაუდევრობით...

თვით ფიქალის დაპობის პროცესს ისე უბადრუკად აწარმოებენ, რომ ეს გააოცებს ყველა პირველ მნახველს. არ აოცებს მხოლოდ აქაურ ოსტატებს, ტეხნიკებს, ინჟინერებს...

არის ხისგან გაკეთებული ფიქალის საპობი დაზგები. მაგრამ ისე არიან გაკეთებული, რომ თითქმის ყველას მოხერხებულად გადაუდგამს ისინი გვერდზე და აპობენ ხან მუხლებზე მიყუდებით, ხან თვით დამტვრეულ ფიქალების ხროვაზე. ხან აქეთ გადაუბრუნდებათ ფიქალი, ხან იქით. ძალაუნებურად ბრუნდებით სცემენ ჩაქუჩს, ბრუნდებით მიდის ფიქალში საჭრელი და ფიქალიც ფურცელ-ფურცელ დახლეჩის მაგიერ ითხლიშება უწესოთ და ფუჭდება.

ვუცქერი: აუარებელი ფიქალია დამტვრეულ - გაფუჭებული და სულ მცირედი და [illegible] გამოსაყენებელი.

ძალაუნებურად თვალწინ გიდგება წარმოების მთელი ორგანიზმი: რამდენიმე ასეული ათასი მანეთის ნივთიერი საშუალებანი იმიტომ არის აქ თავმოყრილი, რამდენიმე ასეული მუშა-მოსამსახურენი იმიტომ არის ამოძრავებული, რომ დედამიწის გულს როგორმე გამოჰგლიჯონ ეს ფიქალი და ამდენი წვალების შემდეგ ხედავ რა იოლად აოხრებენ მას!

როგორცა ვხედავ—ამაზე არავინ ფიქრობს, ამას არავინ ანგარიშობს.

რომ ვეკითხები ზემდგომ ოსტატს ამ გარემოების შესახებ, ის უცოდველივით მიპასუხებს: ეს დაზგები მამაკაცებისათვის იყო გაკეთებული, მაგრამ ეხლა სულ ქალები მუშაობენ აქ. თვითონ ეს დაზგები მხოლოდ რამდენიმე მანეთის ღირებულებას წარმოადგენენ და ერთხელ არავინ არ დაფიქრებულა, რომ გააკეთონ სხვა დაზგები, რომელზედაც ქალებს შეეძლებათ მუშაობა.

მაგრამ თუნდა ქალებმაც შესძლონ ამ დაზგის მოხმარება, ეს წარმოებას წინ არ წასწევს. ეს დაზგები სრულებით არ არის პრაქტიკული ფიქალის სწორე და უზიანოდ დაპობისათვის. ის სრულებით ვერ არის შეფარდებული ვერც სიმარჯვესთან, ვერც თვალის გახედვასთან, ვერც ფიქალის დაჭერასთან.

მთელი ეს მუშაობა ისე უსუსურად და ისე უშნოდ სწარმოებს, რომ ადამიანმა ძალაუნებურად უნდა იფიქროს უკეთესი ხელსაწყოს შექმნა - გამოგონებაზე. პირდაპირ დანაშაულია და მავნებლობა აქ რომ კაცმა არაფერი გამოიგონოს და ისიც დაუყოვნებლივ. ამისი შესაძლებლობა აშკარაა ჩემთვის, პირველი მნახველისათვის და რატომ არ არის აშკარა მათთვის, ვინც მოვალეა იფიქროს ამაზე?

სად უნდა გადაისროლო აქ ლოზუნგები: —

— დავეუფლოთ ტეხნიკას!

— დავეწიოთ და გადავუსწროთ!

აქ ფიქრობს ვინმე თუ არა წარმოების მექანიზაციაზე?

დაზიანებასთან, დანაკარგებთან აქ სასტიკ ბრძოლას კი არ აწარმოებენ, არამედ ნამდვილი მეგობრობა დაუმყარებიათ.

სოციალისტური შეჯიბრება აქ შეუგნებელ შეჯიბრებათ გადაქცეულა, რის პროცესიც აგერ თვალწინ მიმდინარეობს.

აქვე სწარმოებს ფიქალების შეკვეცა ანუ ნაპირების შემოჭრა და განსაზღვრული ყალიბის მიცემა.

ამასაც ასრულებენ პრიმიტიულად რკინის დიდი მაკრატლით. ყოველ გვერდს ცალკე უნდა ჩამოთლა, ხშირად—რამდენჯერმეც. მუშაობა მიმდინარეობს ნელა და ძალღონესაც მეტს მოითხოვს შემსრულებლისაგან.

განა არ შეიძლება მაკრატლის მაგიერ რაიმე შტამპის გამოგონება? ამაზე ადვილი რა არის! ერთის დაკვრით მიიღებ რა ყალიბისაც გინდა—ისეთ ფიქალს. დაე, ამ იდეით მაინც ისარგებლონ იქაურმა ინჟინერებმა ან მუშებმა.

ფიქალის წარმოების დღევანდელი მდგომარეობა უეჭველად მოითხოვს გაუმჯობესებას და რაიმე გამოგონებას.

დღევანდელ ტემპებისა და ტეხნიკის დაუფლების ხანაში სირცხვილია, დანაშაულია რომელიმე წარმოებაში ასეთი პირველყოფილი მეთოდით მუშაობა.

ამის შემდეგ მე სრულიადაც არ მიკვირს, რომ მათი წლიური გეგმა ასე მორცხვად არის შედგენილი: სულ 6.000 ტონა. მაგრამ დღევანდელი მდგომარეობის მიხედვით თვით ამ გეგმას ნახევრადაც ვერ შეასრულებენ.

1930 წლის 1 მაისიდან 1931 წლის 1 აპრილამდე გამოუმუშავებიათ სულ 528 ტონა. 1931 წლის პირველ სამ თვეს კი—383 ტონა (მეორე კვარტალის ცნობა ჯერაც არ ჰქონდათ). თუ ნორმით პირველ კვარტალს ავიღებთ, წლის ბოლომდის დაამზადებენ დაახლოებით 1600 ტონას. ეს სრულებითაც არ არის სამაყო შედეგი.

მართალია ეს წარმოება ჯერჯერობით ითვლება საცდელ წარმოებათ და არა საექსპლოატაციოდ. მაგრამ აქა და საცდელიაო—იმიტომ არა გვმართებს ბრძოლა, მუშების დასპეციალება, მექანიზაცია და სხვა?

პირველ ხანად ცალი ფიქალის თვითღირებულება უდრიდა 9 კაპეიკს. საანგარიშო კვარტალში კი დავიდა 5 კაპეიკზე. წარმოიდგინეთ—როცა თვითეული ფიქალი 9 კაპეიკი ღირდა, რა უზომო უნდა ყოფილიყო უყაირათობა, დანაკარგი და უსისტემო მუშაობა?

შემდეგ ვნახე თვით ფიქალის მადნები და მისი ამოღების პროცესი. არ შევუდგები ამის დაწვრილებით აღწერას. მხოლოდ უნდა ითქვას, რომ მუშაობა მეტად ძნელია. საქმე გვაქვს მიწის გულთან, კლდეებთან, საიდანაც უბრძოლველად ერთ ნაჭერ ფიქალსაც ვერ მიიღებ.

ამის შემდეგ კიდევ უფრო მეტ დანაშაულად მეჩვენა, რომ ამ წვალებით მიღებულ ყოველ ფიქალს არ უფრთხილდებიან და არ აქცევენ გამოსაყენებელ საგნად.

⁂

წარმოების წინსვლას მნიშვნელოვნად აფერხებს მუშა ხელის ნაკლებობა და მისი ცვალებადობა. ყვარლის რაიონი შედარებით უზრუნველყოფილია ნივთიერად და ძალიან მცირე რაოდენობით გადიან გარე სამუშაოზე. ამასთან დავალებანი დიდია აქ—განსაკუთრებით მებამბეობის დარგში და აღარა რჩება თავისუფალი მუშა-ხელი. უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ არავითარ დახმარებას არ უწევენ წარმოებას რაიაღმასკომები, სოფლის საბჭოები, კოლმეურნეობები და თვით შრომის კომისარიატი.

ის მცირე რაოდენობა მუშებისა, რომელსაც თვით წარმოება შოულობს — მეტად მერყევია: იშვიათია, რამდენიმე თვეს დარჩეს აქ მუშა. ამიტომ ისინი ვერც ასწრებენ დასპეციალებას და ყოველ ახალ მუშას ახლად უხდება საქმესთან გაცნობა.

საბოლოოდ ზარალობს ყოველთვის თვით წარმოება.

რომ მუშები არ ეტანებიან წარმოებას და მოსულები კი ჩქარა გარბიან უკან—ამას საგანგებოდ უწყობს ხელს ჩვენი კოოპერაცია — ცეკავშირის სახით. ყოვლად უმსგავსოდ არის დაყენებული მუშათა მომარაგება. მუშებს არ მიუღიათ ორი თვის შაქარი, მოსამსახურეებს კი 7 თვისა. სამრეწველო საქონელი თითქმის სულ არ იგზავნება.

მაგალითად, სეფორაში სწორედ ჩემ დროს მიიღო კოოპერატივმა რამოდენიმე წყვილი ჩუსტი, ერთი თუ ორი წყვილი ფეხსაცმელი და რამდენიმე ათეული კოლოფი პაპიროსი. ეს უნდა დანაწილდეს 200—300 კაცში. კოოპერატივის გამგე უმწეოდ შლიდა ხელებს: არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო და ვინ გაებედნიერებინა ასეთი მცირედი „ძღვენით".

და თუ მუშებს არა აქვთ მომარაგება, მარტო ხელფასისათვის ისინი არა ჩერდებიან.

აქ რაიკოოპკავშირსაც ბრალი მიუძღვის. როგორც გადმომცეს — ცეკავშირი ყვარლის რაიკავშირს უგზავნის ფიქალის წარმოებისათვის კუთვნილ ნორმას, მაგრამ რაიკავშირი ყოველთვის თვითნებობს და წარმოებას უგზავნის მხოლოდ ნორმის უმნიშვნელო ნაწილს. დღემდე ამაზე პასუხი არავის არ მოუთხოვია.

წარმოების ადმინისტრაცია ბევრსა ცდილობს, რომ ცეკავშირმა უშუალოდ უგზავნოს სამრეწველო საქონლის კუთვნილი ნორმა, მაგრამ აქამდე ეს საქმე მოუგვარებელია. ამის გამო კი მუშაობა მეტად ფერხდება მთელს წარმოებაში.

მუშების კვება სახ. კვების ხელშია. შედარებით ეს ორგანიზაცია უფრო პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას: ურიგო სადილს არ აწვდის მუშებს და იაფიც არის (ორი თავი 50 კაპ.), პური არ ჰყოფნით მუშებს და მოითხოვენ კომერციულ დუქნების გახსნას.

წარმოება დიდ ნაკლს განიცდის ფოსტისა და ტელეფონის უქონლობის გამო. ოფიციალურად ალბად კავშირგაბმულობის არქივში ინახება ცნობა, რომ საბუეს წარმოებაში გაყვანილია ტელეფონი, მაგრამ... ეს კიდობნის მსგავსი აპარატები მხოლოდ მტრის გულის მოსაკლავად თუ ჰკიდიან. მათი გამოყენება არასდროს არ შეიძლება.

რაც შეეხება ფოსტის განყოფილებას—წარმოებას არ დაუზოგია თავის საშუალება ნ. გადაუხდია 3.000 მან. გაუმზადებია თავის შენობაში საკუთარი ოთახი. მაგრამ ა-კ. კავშირგაბმულობის სახ. კომისარიატი მაინც არ ზრუნავს ჯერ განყოფილების გახსნაზე.

ჯანმრთელობის კომისარიატზეც ისმის საყვედურები: პუნქტები ვერა აქვთ საჭიროებისამებრ მომარაგებული. განსაკუთრებით აღნიშნავენ საბუეს საავადმყოფოს მოუწესრიგებლობას და პერსონალის შეუფერებლობას.

თუმცა ბოლოს მაგრამ მაინც ყველაზე მეტად უნდა აღინიშნოს ხელმძღვანელობის შეუწყნარებელი სისუსტე წარმოებაზე.

პირველად საბუეს ფიქალი ექვემდებარებოდა საქ. ს.მ.უ.ს. შემდეგ კი გადავიდა ა-კ. ს.მ.უ.ს-ის გამგებლობაში. მაგრამ ხელმძღვანელობა არ გაუმჯობესებულა. რომ წესიერი ხელმძღვანელობა ჰქონდეს ამ წარმოებას, მაშინ აღარც ადგილი ექნებოდა იმ ნაკლოვანებათ, რაც ძირშივე სპობს ამ წარმოების განვითარების შესაძლებლობას.

ამავე დროს კი რა ადვილი აღმოსაფხვრელია ყველა ეს ნაკლი! რა მშვენივრად შეიძლება ამ ნაწარმოების დიდი მასშტაბით გაზრდა, მის მკვიდრ ნიადაგზე დაყენება.

დღითიდღე უფრო ძლიერდება სოციალისტური მშენებლობა, მისი ძლევამოსილი ტემპები.

ყველაფერი მიმართულია ამ მშენებლობის, ამ ტემპების გაფართოებისა, გაძლიერებისა და გამარჯვებისაკენ.

საბუეს გიშერა ფიქალიც აუცილებელ ნაწილს წარმოადგენს ამ მშენებლობაში, რომელსაც სჭირია უკეთესი ხელმძღვანელობა, მეტი ყურადღება.

ლ. მეჭრეველი.

კულტურული მშენებლობა

მასიურ-კულტურული მუშაობა ოსეთში მოისუსტებს

სასკოლო მშენებლობის ორთვიურის ჩატარება ზოგიერთ რაიონებში მივიწყებულია

კულტმუშაობა სამხრეთ ოსეთში

საოლქო განათლების განყოფილებას არა აქვს ერთიანი სამუშაო გეგმა. სასკოლო ასაკის 8361, ბავშვიდან სკოლის გარედ დარჩენილია 3.000 ბავშვი. სკოლის ასაკამდე აღზრდის ბავშვების რიცხვი უდრის 11,200, საიდანაც 550 ბავშვია ჩაბმული საბავშვო ბაღებში და მოედნებში. საბავშვო ბაგები კი სრულიად არ არსებობს. 17.000 წ. კ. უცოდინართაგან 7.000-ზე მეტი დარჩა ლიკპუნქტების გარეთ. ამის მიზეზად ასახელებენ ობიექტიურ პირობებს, სახელმძღვანელოების უქონლობას, მასწავლებელთა ხელფასის სიმცირეს და სხვ.

პარტიის და კომკავშირის წევრ მასწავლებლებმა თავისი ნებით მიატოვეს ლიკსკოლები „მცირე ხელფასი გვეძლევა და არ ვიმუშავებთო“. მათ წინააღმდეგ საოლქო პარტიულ და კომკავშირის კომიტეტებს არ მიუღიათ ზომები:

საოლქო განათლების განყოფილება სრულ უმოქმედობას იჩენს სასკოლო მშენებლობაში. ამას მოწმობს მთელი რიგი ფაქტები. მაგ. ცხინვალის სომეხთა ოთხწლედის შენობაში ჩამოდის წვიმა. სასკოლო ინვენტარი დამტვრეულია და უპატრონოთ ყრია. სოფ. თამარაშენში არსებული ოთხწლედის შენობა ინგრევა. ქვედა სართული წყლითაა სავსე. მეორე სართულში კერძო მდგმურები ცხოვრებენ. სკოლაში უსუფთაობაა. სოფ. წუნარის კოლმეურნეობის სკოლის შენობაში ცხვრები და თხები თავისუფლად თამაშობენ. სასკოლო ოთახების კარები ღიაა დღე და ღამე. იგი ძლიერ წააგავს ცხვრების ფარეხს, ვიდრე სკოლას. ცხინვალის ქართული შვიდწლედის პარტები გარედაა გამოყრილი. გამგე აცხადებს „მე არ მკითხავენ, შიგ ისე შედიან, რა ვქნა არ ვიცი, ვერაფერი გავაკეთეო“. მთელი კვირაობით სკოლა არ ყოფილა გასუფთავებული. შიგ კი კერძო მდგმურები ცხოვრობენ.

ოლქში არც ერთი სასკოლო შენობის შეკეთება არ მიმდინარეობს. საოლქო განათ. განყოფილების ცნობით ოლქში დაწყებულია 150 სასკოლო შენობის აგება, სინამდვილეში კი სასკოლო შენობები იგება მხოლოდ 26 სოფელში. საოლქო განათლების განყოფილებას არა აქვს შესწავლილი სასკოლო შენობის ამჟამინდელი მდგომარეობა. არ იცის, რომელ სოფელში რა კეთდება და სხვ. სასკოლო შენობების დამთავრებას ხელს უშლის ლურსმნების და მინების უქონლობა. თუ სასწრაფოდ არ იქნა ლურსმანი მიწოდებული მომავალი სასწავლო წლის დაწყება საფრთხის წინაშე სდგას. სოფ. იკოთში სკოლისათვის გლემანის უქონლობის გამო უმთავრესი ნაწილებს აუგიათ ახალი შენობა, მაგრამ ლურსლები შეუკეთებელია. არა აქვს გაკეთებული ფანჯრები, კარები, ჭერი და იატაკი. სოფელ ქვემო-ავლევში დაგროვილი მასალა წყალს წაუღია. სოფ. ქვედა ქურთაში საშენი მასალა დამზადებულია, მუშაობა ჯერ არ დაწყებულა. სოფ. წუნარში აგებულია კოლმეურნე ახალგ. სკოლისათვის ახალი შენობა 16 ოთახით, მაგრამ იქაც მუშაობა შეჩერებულია ლურსმნის უქონლობის გამო. ოლქის განათლების განყოფილება კი ამ მდგომარეობას ყურადღებას არ აქცევს. საჭიროა ასეთ უპასუხისმგებლობას სასკოლო მშენებლობაში დროზე მიექცეს ყურადღება, თორემ სასწავლო წელი იწყება და ბინების უქონლობის გამო სწავლის დაწყება ჩაიშლება.

სკოლების პოლიტეხნიზაციის საკითხი არც ერთხელ არ დამუშავებულა განათლების განყოფილების მიერ მასწავლებელთა კრებებზე, არც ერთ სკოლასთან არაა მოწყობილი პოლიტეხნიკური სახელოსნო. არაა სკოლები მიმაგრებული საწარმოებზე, კოლმეურნეობებზე; არაა მოწყობილი შრომის ოთახები და კუთხეები. სკოლებს არა აქვთ მიწის ნაკვეთები და სხვ. ცხინვალის შვიდწლედს და სოფ. თამარაშენის საბავშვო სახლს თვით განათლების განყოფილებამ ჩამოართვა მიწა, სამ დესეტინაზე მეტი და გადასცა მიწადმოქმედების განყოფილებას. ბრიგადას, რომელმაც ამაზე მიუთითა მათ, საოლქო განათლების განყოფილების გამგე ამხ. გასიევმა უპასუხა:—„არა გაქვთ არავითარი უფლება რამეზე მიგვითითოთ, რასაც გავაკეთებთ და როგორც გავაკეთებთ ჩვენი საქმეა“-ო.

ოლქში 14 ქოხსამკითხველოა, რომლებიც უვარგის ბინებშია მოთავსებული. ქოხ-სამკითხველოები არ არიან უზრუნველყოფილი საჭირო ლიტერატურით. ახალგორის რაიონის სამკითხველოში არც ერთი წიგნი არ არის ოსურ ენაზე. სამკითხველოებთან არაა ჩამოყალიბებული წრეები, არ სწარმოებს გაზეთების ხმამაღლა კითხვა და სხვა. ახალგორის ქოხსამკითხველოში თებერვალში გამოსულა კედლის გაზეთი „ზარიბარ“, რომელშიაც მარტო სამი კაცის წერილია მოთავსებული. თებერვლის შემდეგ დღემდე გაზეთი არც კი გამოსულა. სამკითხველოების გამგეებათ არიან 3-4 ჯგუფდამთავრებულნი, რომლებიც სამისოდ მომზადებულნი არ არიან.

საჭიროა კულტმუშაობისათვის ასეთ უყურადღებობას ბოლო მოეღოს, საოლქო განათლების განყოფილებამ უნდა გარდაქმნას თავისი მუშაობა და იგი უნდა შეუფარდოს მასების გაზრდილ კულტურულ მოთხოვნილებებს.

მ. ჩიტორელიძე.

ბინები არა გვაქვს

(თელავი)

თელავის ათწლედის მეაბრეშუმეობის და სამშენებლო ტექნიკუმები მოთავსებულია 13 ოთახიან შენობაში. ეს ბინა ერთ სკოლასაც კი ვერ აკმაყოფილებს არა თუ სამს. ამის გამო ლაბორატორიულ მუშაობის გატარებაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

აღსანიშნავია ის, რომ არც ერთ სკოლას არ გააჩნია უბრალო — ლაბორატორიაც კი, მაშინ, როდესაც საამისოდ სპეციალური მიმართვა და თანხები ჰქონდათ მათ. 10 წლედთან მართალია არსებობს ფიზიკის „ლაბორატორია“, მაგრამ უბინაობის გამო იგი შკაფშია ჩაკეტილი.

სკოლების პოლიტეხნიზაციის საქმეს რაიონის განათლების განყოფილება საჭიროდ არ სცნობს. არ არის გახსნილი პოლიტეხნიკური სახელოსნოები და ოთახები. რაიგანათლების განყოფილება კი ამაზე აცხადებს, რომ: „ჩვენ სახელოსნოსათვის კი არა სკოლისათვის არა გვაქვს ბინებიო“.

ბინები სკოლისათვის იშოვება, მაგრამ რატომღაც განათლების განყოფილებას ეს არ სურს და ამიტომ სამივე სკოლის მუშაობა შეფერხებულია.

სკოლების ადმინისტრაციას ჯერაც არ დაუწყია ფიქრი ბინების შეკეთებაზე. უკვე სასწავლო წელი იწყება, მაგრამ სწავლის დასაწყებათ აღნიშნული სკოლები მზად არ არიან.

ვ. ჭრელაშვილი.

უღირსი პედაგოგები

(ლიხაურის თემი, ოზ. რაიონი)

არიან ისეთი პედაგოგები, რომლებიც გაურბიან ყოველგვარ საზოგადოებრივ საქმიანობას და კმაყოფილდებიან მხოლოდ იმით, რომ „აკადემიური“ ცოდნა მისცენ მოსწავლეებს.

ავიღოთ კონკრეტული ფაქტი: ლიხაურის ოთხწლედის გამგე კოტე ჯაფარიძე და მასწავლებელი ვასო ხომერიკი არავითარ ყურადღებას არ აქცევენ სოფლად მუშაობის საკითხებს. კოტე ჯაფარიძეს, როდესაც სთხოვეს შაბათობაზე უნდა წაგვყვე კოლმეურნეობის დახმარების გასაწევათო, საქმეების დატვირთვით მომიზეზებით უარი განაცხადა, ნამდვილად კი სამასწავლებლო ოთახში მასწავლებელ ქალებთან დროს ატარებდა.

ჯაფარიძე კოლმეურნე გლეხების შვილს მომზადებაში თითო საგანში ახდევინებდა 25 მანეთს და სხვ. ასეთივე ტიპს წარმოადგენს ხომერიკიც. მას თემის ორგანიზაციამ ბევრჯელ დაავალა მოხსენების ჩატარება საერთო კრებაზე, მაგრამ კრებაზე არასოდეს არ გამოცხადდა. გლეხები კი რამდენიმე საათს უცდიდნენ.

საჭიროა ასეთ „პედაგოგებმა“ შეიგნონ, რომ საზოგადოებრივი მუშაობიდან მოწყვეტა—მასებიდან მოწყვეტას ნიშნავს. მასწავლებელი სოფლად საზოგადოებრივი მუშაობის მოწინავე ფრონტზე უნდა იდგას.

„კომუნისტი“-ს და „ლენინის დროშა“-ს ბრიგადა.

ორთვიურის ჩატარებას ჩუმლა მოელის

(სამტრედია)

სასკოლო მშენებლობის ორთვიურის განმავლობაში რაიონში საკონტროლო ციფრების თანახმად უნდა შეგროვდეს 139,290 მანეთი. 15 აგვისტოსათვის ამ მიმართულებით არავითარი მუშაობა არ იყო ჩატარებული.

სამტრედიის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. შარაშენიძე აცხადებს, რომ „სად არის დრო, ჩვენ ამისათვის არა გვცალიაო“. დღემდე თვით ქ. სამტრედიაშიც არავითარი მუშაობა არაა ჩატარებული ორთვიურის რეალიზაციისათვის. სოფ. ეწერის, ჯახაიშის, კულაშის, გომის, გამოჩინებულის და ღანირის სასოფლო საბჭოებს ფიქრადაც არ მოსვლიათ სასკოლო მშენებლობის დაწყება. გეგმით რაიონში უნდა აიგოს 12 ოთხწლედი და 6 7-წლედი. დღემდე არც ერთ ადგილას არაა დაწყებული მუშაობა.

სკოლების შეკეთების საკითხსაც არ ექცევა საჭირო ყურადღება. რაისოც-კულტგანყოფილება კი ეფარება „ობიექტიურ“ მიზეზებს და არავითარ ყურადღებას არ აქცევს ადგილობრივ რესურსების მობილიზაციას.

საჭიროა ასეთ უპასუხისმგებლობას ეხლავე ბოლო მოეღოთ.

ა. კომუნიშვილი.

საყვედურის გამოცხადება

რესპუბლიკანურ მილიციის უფროსის მოადგილეს ამხ. ლეჟავას ცრუ ცნობების მოწოდებისათვის მონადირეთა კავშირის ახალ ბინაზე ჩასახლების შესახებ, გამოეცხადოს საყვედური პრესაში გამოქვეყნებით.

სს ცაკის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საბჭოების მუშაობის დათვალიერების და დღიურისათვის პასუხისმგებელი მუშაკების მობილიზაცია

ს. ს. ცაკის პრეზიდიუმის დადგენილებით საბჭოების დათვალიერების 20 დღიურის ჩასატარებლად მობილიზაციაქმნილი არიან ქვემოდ ჩამოთვლილი ამხანაგები, რომლებთაც წინადადება ეძლევათ 22 აგვისტოს დილის სრულ 11 საათზე გამოცხადდენ საქ. ცაკის საორგანიზაციო განყოფილებაში ოთახი № 47.

ტფილისის საბჭოდან

1. ახვლედიანი (ტფილისის მომარაგ. განყ.), 2. ხვედელიძე სერგო (მომარაგ. განყ. თავმჯდ.), 3. დიასამიძე მიშა (კომ. სახლთა ტრესტი). 4. ჩარლანია (საქ. ფინსახკომი), 5 უბირია ალექსანდრე (საქ. ფინსახკომი), 6. მესხი ვარლამ (საქართველოს სახკომსაბჭო); სასამართლოდან: 1. თევზეშვილი აბესალომ, 2. კალანდაძე პეტრე (პროკურატურა), 3. კალანდაძე იოსებ (უზენაეს სასამართლო), 4. გვილავა [illegible] (პროკურატურა), 5. ალანია (საბჭ. აღმშ. ინსტიტუტი). 6. ახალაძე (თბილ. სოც. უზ. კომ. განყ.), 7. სიამაშვილი ანდრო, 8 სულავა კირილე, 9. დოდუხავა ეპიფანე (ცაკავშირი), 10. გომართელი შალვა (სარეწაო კოოპერ.), 12. ღლონტი პროკოფი (უზენ. სასამართლო), 13. მეგრელიშვილი მიხეილ, 14. ფირცხალავა ლადო (ცაკი), 16. მგელაძე კონსტანტინე (ცაკი), 17. მიროტაძე (სახკომსაბჭო), 18. კვირკველია პესო, 19. ლენსკი (ცაკი), 20. გელოვანი ანდრო (ინსტიტუტი), 21. კალანდაძე ვლადიმერ (პროფკავშირი), 22. გიორგაძე გრიშა (გან. სახ. კომისარიატი), 23. მაისურაძე (სარეწაო კოოპერაცია, 24. კიზირია (თბ. სარეწაო კავშირი), 25. მიხეილ მეგრელიძე, 26. აკოფოვი (უზენაესი სასამართლო).

ანდეზიტის აპარატის წმენდა

ყაზბეგი, 19 აგვისტო. 15 აგვისტოს დაიწყო ანდეზიტის აპარატის წმენდა, რომელსაც მრავალი მუშა-მოსამსახურე დაესწრო. მუშები დიდ აქტივობას იჩენენ ანდეზიტის ანტისაბჭოთა და ბიუროკრატიულ ელემენტების გამომჟღავნებაში. გამომჟღავნდა, რომ მრეწველობის ყოფილი უფროსი არგუროვი დიდ დაუდევრობას იჩენდა.

22 აგვისტოს გამოქვეყნდება ანდეზიტის მშენებლობის წმენდის შედეგები.

ფულადი რესურსების მობილიზაცია ყურადღების ცენტრში

აგვისტოს პირველ დეკადაში რესურსების მობილიზაციის ტემპი შემცირდა

ივლისში ფულადი რესურსების მობილიზაციის გეგმის შესრულება ამიერ-კავკასიაში არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობდა. აგვისტოს პირველმა დეკადამ ამ მიმართულებით არა თუ მოგვცა საჭირო გარდატეხა, არამედ ადგილი ქონდა სახსრების შეგროვების ტემპის შემცირებას. იმ დროს, როდესაც ივლისის მესამე დეკადაში სახსრების შეგროვება ამიერ-კავკასიაში შეადგენდა 6.800 ათასს მანეთს, ესე იგი ივლისის თვიური დავალების 25 პროცენტს, აგვისტოს პირველ დეკადაში შემოვიდა სულ 6.300 ათასი მანეთი, ე. ი. თვიური დავალების 17 პროცენტი.

შესამჩნევი ხდება აგრეთვე ანგარიშების დისციპლინის შესუსტება სარაიონო ფინგანყოფილებების მიზეზით. ამიერ-კავკასიის 150 რაიონიდან თავის დროზე ანგარიში არ წარმოუდგენიათ 21 რაიონს.

სესხებიდან შემოსავლის თვიური გეგმა ამიერ-კავკასიის ქალაქებში აგვისტოს პირველ დეკადაში შესრულებულია 10.9 პროცენტის რაოდენობით.

სავსებით არადამაკმაყოფილებელია შემნახველი სალაროების მუშაობა. აზერბეიჯანისა და სომხეთის შემნახველ სალაროებში ადგილი აქვს ანაბარების გატანას. ანაბარების მოზიდვის თვიური გეგმა მთელ ამიერკავკასიაში შესრულებულია მხოლოდ 3 პროცენტით.

არადამაკმაყოფილებლად სწარმოებს აგრეთვე სატრაქტორო ცენტრის აქციების განაღდება, თვიური დავალება ამიერ-კავკასიაში შესრულებულია 4,5 პროცენტით.

აგვისტოს პირველ დეკადაში სამომხმარებლო კოოპერაციის საპაიო ანარიცხები შეგროვილ იქნა 440.000 მანეთის რაოდენობით, ჩვეულებრივ წინად თვითეულ დეკადაში შეგროვილ 800-900 ათასი მანეთის ნაცვლად.

განსაკუთრებით სუსტად სწარმოებს საწყობების სავალდებულო დასაზღვევი გამოსაღების აკრეფა. პირველ დეკადაში თვიური გეგმა შესრულებულია მხოლოდ 2,6 პროცენტით. ეს გარემოება ნათლად მოწმობს, რომ სავალდებულო დასაზღვევი გამოსაღების აღრიცხვა და გამოანგარიშება ყველა რაიონებში არ არის დამთავრებული და მისი მასიური აკრეფა ფაქტიურად ჯერ არ დაწყებულა.

წინანდებურათ სამარცხვინოდ არის ჩამორჩენილი სასოფლო-სამეურნეო მანქანების ვალდებულებათა განაღდება. ამ დარგში თვიური გეგმა შესრულებულია 13,2 პროცენტით, რომლის მიზეზათ უნდა ჩაითვალოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის, საკოლმეურნეო სისტემის და სხვა ორგანიზაციების სუსტი მუშაობა ვალდებულებათა რეალიზაციის საქმეში (ადს).

ჩამორჩენილი რაიონები უნდა გაუსწორდნენ მოწინავე რაიონებს

არსებული გეგმის თანახმად ივლისსა და აგვისტოში საქართველოში მობილიზაციაქმნილი უნდა იქნას სულ 16.478.000 მანეთი. ამ თანხიდან 10 აგვისტომდე მობილიზაციაქმნილი უნდა ყოფილიყო 11 მილიონ მანეთამდე (ორთვიანი გეგმის 68 პროცენტი). მიუხედავად ამისა 10 აგვისტოსათვის შეგროვილია სულ 9.376.000 მანეთი, ანუ ორთვიანი გეგმის 56,9 პროცენტი.

საშემოსავლო გადასახადის შემოტანა დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს, დავალება შესრულებულია 79,1 პროცენტით. ზედმეტი მოსაგებიდან გადასახადების შემოტანა წარმატებით სწარმოებს, (შესრულებულია ერთვიანი გეგმის 86 პროცენტი). სასოფლო-სამეურნეო გადასახადების შემოტანა შეადგენს სულ გეგმის მხოლოდ 30,6 პროცენტს.

რაიონებიდან მხოლოდ ოთხმა რაიონმა (კასპის, ადიგენის, ტოლოშის და ზუგდიდის) გადააჭარბეს ფულადი რესურსების მობილიზაციის გეგმას; 14 რაიონმა დავალება დამაკმაყოფილებლად შეასრულა. ხოლო დანარჩენი 37 რაიონი ჩამორჩენილნი არიან. განსაკუთრებით სამარცხვინოდ არის ჩამორჩენილი ხობის რაიონი, რომელმაც დავალება შეასრულა მხოლოდ 20,3 პროცენტით და ცაგერის რაიონი, რომელსაც დავალება შესრულებული აქვს 21,3 პროცენტით (ადს).

მთელ რიგ რაიონებს 10 აგვისტომდე არ აუკრეფიათ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის არც ერთი მანეთი

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შეგროვება საქართველოში დაუშვებელი ნელი ტემპით მიმდინარეობს. ივლისის უკანასკნელი დეკადაში შემოვიდა 110.000 მანეთი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი, ხოლო აგვისტოს პირველ დეკადაში—118.000 მანეთი, რაც თვიური დავალების მხოლოდ 16,1 პროცენტს შეადგენს.

მთელ რიგ რაიონებმა დაუშვებელი გულგრილობა გამოიჩინეს. მაგალითად, გარე-კახეთის რაიონმა, რომელსაც საკონტროლო ციფრი ივლის-აგვისტოსათვის ქონდა 22.000 მანეთი, 10 აგვისტომდე შეკრიბა 500 მანეთი; აღბულაღ-მანგლისის რაიონს, რომელსაც ივლის-აგვისტოში უნდა შეეგროვებია 36.000 მანეთი; 10 აგვისტომდე კეთილ ინება და შეაგროვა 10 მანეთი; ცაგერის რაიონმა ორთვიანი საკონტროლო დავალებით გათვალისწინებულ 9.000 მანეთის ნაცვლად შეაგროვა 10 აგვისტომდე 20 მანეთი, ხარაგოულის რაიონმა იმდენივე საკონტროლო ციფრის ნაცვლად შეაგროვა 10 მანეთი და სხვ.

ბაღდათის, მარტვილის, წალენჯიხის, ხობის, ონის, წალკის ბორჯომის და ახალქალაქის რაიონებს კამპანიის დაწყებიდანვე არ შეუგროვებიათ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის არც ერთი მანეთი (ადს).

ფეხბურთი

ქუთაისი-თბილისი

თბილისში ჩამოვიდა ქუთაისის ფეხბურთელთა გუნდი „დინამო“. პირველი შეჯიბრება სტუმრებთან გაიმართა 20 აგვისტოს „დინამო“-ს სტადიონზე. თბილისის მხრიდან თამაშობდა „დინამო-კომკავშირელი“.

უნდა ითქვას, რომ ქუთაისის „დინამო“ საკმაოდ მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენს. გუნდში არის რამდენიმე პირველხარისხოვანი მოთამაშე. განსაკუთრებით აღსანიშნავია მარცხენა გარე-მარბის მოხდენილი თამაში. მთლიანად გუნდს თამაშის საკმაოდ განვითარებული ტექნიკა და გამძლეობა ახასიათებს. გუნდი თამაშობს სწრაფი ტემპით და მოფიქრებულად.

თამაში იწყება თბილისელების შეტევით, რომლებიც ერთხანს მძლავრად ავიწროებენ მოპირდაპირეს, შემდეგში თამაში უფრო თანაბარ ხასიათს იღებს და პირველი ტაიმი თავდება 3:3.

მეორე ტაიმში ინიციატივა გადავიდა ქუთაისლების ხელში. მათ იერიში იერიშზე მიაქვთ და სამჯერ არღვევენ კიდეც თბილისის ჭიშკარს, ხანგამოშვებით თბილისელებიც ახერხებენ შეტევაზე გადასვლას. ერთ-ერთ ასეთი შეტევის დროს მათ შესძლეს ერთი ბურთის გაქვითება. შეჯიბრება დამთავრდა 6:4 ქუთაისის სასარგებლოდ.

მეორე დღეს სტუმრების წინააღმდეგ გამოვიდა თბილისის ნაკრები „დინამო“. თბილისის გუნდში არიან ისეთი პირველხარისხოვანი მოთამაშეები, როგორიც ჟორდანია, ასლამაზოვი, კოსტიუკოვი, ქებაძე, სავიცკი და სხვები.

მწვავე და საინტერესო თამაშის შემდეგ შეჯიბრება დამთავრდა თბილისის გამარჯვებით 10:1.

თურქეთი-მოსკოვი

17 აგვისტოს მოსკოვში გაიმართა თურქეთის ნაციონალური გუნდის და მოსკოვის ნაკრები გუნდის შეჯიბრება: მატჩი დამთავრდა მოსკოველების გამარჯვებით 4:3 შეჯიბრებას დაესწრენ მთავრობის წევრები, დიპლომატიური კორპუსი და 90.000 კაცი.

მოსკოვის გარდა თურქეთის გუნდი შეჯიბრებებს გამართავს ლენინგრადში, ხარკოვში და თბილისში.

ოფიციალური განყოფილება

დადგენილება

საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოსი

დამკვრელ მშენებლობაში სამუშაოდ გამოყენებული საინჟინერო-სატეხნიკო და საადმინისტრაციო-სამეურნეო მომუშავეებისათვის წინანდელ საცხოვრებელ ადგილას საცხოვრებელი ფართობის უფლების შენარჩუნების შესახებ.

„დამკვრელ მშენებლობაში სამუშაოდ გამოყენებული საინჟინერო - სატეხნიკო და საადმინისტრაციო - სამეურნეო მომუშავეებისათვის წინანდელ საცხოვრებელ ადგილას საცხოვრებელი ფართობის უფლების შენარჩუნების შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. მაისის 25-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ-ის კან. კრ. 1931 წ. 34 №-ი, მუხ. 256) საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

საინჟენერო - სატეხნიკო და საადმინისტრაციო - სამეურნეო მომუშავეთ (ათისთავებითურთ), რომელნიც გამოყენებულ იქნებიან დამკვრელ მშენებლობაში სამუშაოდ (შრომისა და თავდაცვის საბჭოს მიერ დამტკიცებული სიით), შეენარჩუნებათ წინანდელ საცხოვრებელ ადგილას ქონებული საცხოვრებელი ფართობის უფლება აღნიშნულ მშენებლობაში მუშაობის მთელი დროის გამნავლობაში იმ საფუძველზე, რაც დადგენილია საზღვარგარეთ სსრ კავშირის დაწესებულებებსა და საწარმოებში სამუშაოდ გაგზავნილი მომუშავეებისათვის (სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. ივლისის 11-ის დადგენილება „სსრკ-ის საზღვარგარეთ მომქმედ დაწესებულებათა და საწარმოთა მომუშავეების საცხოვრებელი სივრცით უზრუნველყოფისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ“ კან. კრ. 1928 წ. 11 №-ი, მუხ. 104; 1929 წ. 19 №-ი, მუხ. 209).

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ლ. სუხიშვილი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ვ. მესხი.**

1931 წ. აგვისტოს 13.

თბილისი.

დადგენილება

საქართველოს მომარაგების სახალხო კომისარიატის

1931 წ. 24 ივნისი, ქ. თბილისი

რძის შესანახი ჭურჭლის არა პირდაპირი დანიშნულების სარგებლობის შესახებ, ამ უკანასკნელის სიმცირის გამო რძის დამზადებისათვის

რძის ჭურჭლების მწვავე დეფიციტიანობასთან დაკავშირებით მის დასამზადებლად მისი მასიური შემთხვევითი არა პირდაპირი დანიშნულების სარგებლობისათვის და მისვე პირდაპირი და რაციონალური სარგებლობისათვის საჭიროთ ჩაითვალოს:

1. დაევალოს ს.ს.ს.რ. რაიონულ ინსპექტორებს შეამოწმონ ორგანიზაციების მიერ რძის ჭურჭლით სარგებლობა და მისი არა დანიშნულებისამებრ სარგებლობისათვის (ფურნეებისათვის, საკონდიტრო მაღაზიებისათვის, საწყობებისათვის და სხვა), ანუ რძის დამზადებისათვის დანიშნულ ჭურჭლების არა სარგებლობისათვის, წინადადება მისცენ ორგანიზაციებს დაუყოვნებლივ ჩააბარონ რძის ჭურჭლები ადგილებზე დამზადებულ ორგანიზაციებს. (საქ. რძის პროდუქტი, მემინდვრე-მესაქონლეთა კავშირი და ცეკავშირი) მათი დანიშნულებისამებრ განაწილებლად, და დამნაშავენი კი მისცენ პასუხისგებაში.

2. დაევალოს რძის ყველა მწარმოებელ, დამამზადებელ და გადამმუშავებელ ორგანიზაციებს მითითება თავიანთ პერიფერიებს რძის ჭურჭლების პირდაპირი სარგებლობის და უკანასკნელის აღრიცხვის საქმის დაყენების მიზნით.

3. დაევალოს იმავე ორგანიზაციებს ყოველდღიურად წარმოადგინონ საქ. რძის პროდუქტში ცნობები ჭურჭლების მიღების და მათთან არ არსებულის შესახებ.

4. ცეკავშირთან არსებულ რძის პუნქტთან ჩამოყალიბდეს რძის ფლიალების სარემონტო რისთვისაც ეთხოვოს ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმს გამოყოს საამისოდ საჭირო კალის და ტყვიის რაოდენობა.

5. დაევალოს საქრძისპროდუქტს აწარმოოს რძის ჭურჭლების განაწილება დამამზადებელ ორგანიზაციებს შორის.

ს. ს. ს. რ. მომარაგების სახალხო კომისარი **ურუშაძე.**

საქმეთა მმართველი **მჭედლიძე.**

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის კულტურისა და პროპაგანდის განყოფილება წინადადებას აძლევს გამოცხადდენ საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის კულტ. და პროპ. განყოფილებაში (ოთახი № 11) 22 აგვისტოს, დილის 10 საათზე, ამხ. ჩხარტიშვილი (საფინანსო-კოოპერ. ინ-ტი) და ბაბალაშვილი (პედინსტიტუტი).

—:—

— საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის კულტურისა და პროპაგანდის განყოფილება 23 აგვისტოსათვის საღამოს 7 საათზე საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს მცირე დარბაზში (მუშათა სასახლე) იწვევს კომპარტიის უჯრედების მდივნების და საქარხნო-საფაბრიკო და ადგილობრივ კომიტეტების ფრაქციების ფართო თათბირს სასკოლო მშენებლობის მიმდინარეობის და სკოლების პოლიტეხნიზაციის საკითხის შესახებ.

სავალდებულოა აუცილებლად გამოცხადდეს დანიშნულ დროზე კომპარტიის უჯრედების ყველა მდივნები და საქარხნო-საფაბრიკო ადგილკომთა ფრაქციის წევრები.

— საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის კულტურისა და პროპაგანდის განყოფილება წინადადებას აძლევს ამხ. აშოტ არუთინოვს, თედორე ამირიძეს, მაცაკ გრიგორიანს, კარლ კაუფმანს, ბაგრატ კაპანაძეს, კონსტანტინე კუპრეიშვილს, გიორგი ქოქაშვილს, აგასი ოვსეპიანს, კორნელი ფედოტოვს და ოლღა ნადირაშვილს სასწრაფოდ გამოცხადდენ საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის კულტ. და პროპაგანდის განყოფილებაში (ოთახი № 17) ამხ. ლუხუტაშვილთან.

—:—

— საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის საორგანიზაციო - საინსტრუქტორო განყოფილება კატეგორიულ წინადადებას აძლევს ქვემოაღნიშნულ ამხანაგებს გამოცხადდენ საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის საორგანიზაციო - საინსტრუქტორო განყოფილებაში (ოთახი № 25) 22 აგვისტოს, დილის სრულ 1 საათზე: ომაროვი ბახშო, ცინცაძე გალაქტიონ, მენთეშაშვილი მიხეილ, ახოპაძე, ბოკერია მიხეილ, დავლიანიძე ონისიმე.

ქართული სახელმწიფო დრამა
კ. მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით
აბონემენტების შეძენაზე განცხადებების მიღება და აბონემენტების გაცემა სწარმოებს ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე და საღამოს 6—9 ს.
12—5 ნ. 1584 თეატრის ადმინისტრაცია

სახკინმრეწ. თეატრები

საზაფხულო ეთერი (სახ ოპერის ბაღში) დასაწყისი 9, 10—45.
ახალი მხატვრული კომედია **სადგური პუპკი**

საზაფხ. კინო პალასი 1-ლი სეანსის დასაწყისი 7 საათზე.
ახალი გერმანული სურათი **დედა კრაუზეს ბედნიერება**
რეჟისორი პილ იუტცი

საზაფხულო დარბაზი (ბაღში, პლეხან., № 91) დასაწ. 9, 10—45.
ცესარსკაია და პუშნაია ახალ მხატვრულ სურათში **წყნარი დონი**

სასოფლო-სამეურნ. ინსტიტუტისათვის მოსამზადებელ კურსებ-დამთავრებულ კურსანტების საყურადღებოთ
ზემოაღნიშნულ კურსებ დამთავრებულ კურსანტებს ევალებათ გამოცხადდენ საბჭოთა მეურნეობების მუშათა პროფკავშირის ც. გამგეობაში სათანადო საბუთებით ინსტიტუტში ჩასარიცხავად ა/წ. 25 აგვისტომდე.
კავშირის კადრების სექტორის გამგე კილაძე.
ნ. 1607

დაწესებულება-წარმოება-ორგანიზაციათა ხელმძღვანელების საყურადღებოთ
თბ. საბჭოს საფინანსო განყოფილებამ რევიზიის დროს აღმოაჩინა, რომ ზოგიერთი დაწესებულება წარმოება-ორგანიზაცია კუთვნილ საშემოსავლო გადასახადს და ერთდროულ საბინაო მშენებლობის გადასახადს თავის დროზე არ უკავებს მუშა-მოსამსახურეებს, ზოგიერთ შემთხვევებში კი დაკავებულ თანხებს თავის დროზე არა რიცხავენ თავიანთ კონტოკორენტულ ანგარიშებიდან საფინანსო განყოფილების ბიუჯეტში.
ზემოაღნიშნულის გამო საფინგანი 22/8—31 წლიდან დაიწყებს დაწესებულება-წარმოება-ორგანიზაციების რევიზიას დაკავებულ თანხების დროულად შეტანა გადარიცხვის შესამოწმებლად, რისთვისაც საფინგანი ერთხელ კიდევ აფრთხილებს იმ დაწესებულება-წარმოებათა ორგანიზაციებს, რომელთაც ჯერ კიდევ არ გადაურიცხავთ და დაკავებული თანხები სასწრაფო წესით გადარიცხონ [illegible] თავიანთ კონტოკორენტულ ანგარიშებიდან საფინგანის ბიუჯეტში.
უკიდურეს შემთხვევაში იმ ხელმძღვანელების მიმართ, რომელთა ორგანიზაცია დაწესებულება-წარმოებაში აღმოჩნდება რევიზიის დროს გადაურიცხავი თანხები, მიღებული იქნება კანონით გათვალისწინებული უსასტიკესი ზომები.
ნ. 1611 თბილისის საბჭოს საფინგანი.

იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა
[illegible] მეუნარგიას წიგნი:
„მარქსისტული-ლენინური ფილოსოფია დღევანდელ ეტაპზე და კომკავშირი“
პროფ. პ. შარიას რედაქციით და წინასიტყვაობით
გამოცემა „ახალგაზრდა კომუნისტი“ ნ. 1614

შემთხვევით **იყიდება** პიანინო, რბილი ავეჯი, სასადილო მაგიდა და სასადილოს სკამები, საწოლი ბადით, სარკე 26×13. ნახვა შეიძლება 12 8 საათამდე პლეხანოვის პრ. № 57. შერმაზანოვი. 7039

ს. ა. დიშელი
დაამთავრა პარიზის და ბერლინის ინსტიტუტები
სახის სილამაზის მოვლა
რადიკალურად სპობს სახის ყოველგვარ დეფექტებს: ნაოჭებს, ლაქებს, მუწუკებს, სიწითლეს, პორების გაფართოებას, ეკზემას, აკერცლას, თმის გაცვენას, ქერტლს და სხვ. მესანგრეთა ქ. № 22.
13—3 5464

მათემატიკოსი უმაღლესი ცენზით, სტაჟი 1910 წლიდან ამზადებს
მათემატიკაში
მოწაფეებს ყველა ტიპის სკოლებში: უმაღ., ტექნიკ., მუშფ., მუშ. უნივერ. ბავშვებს მე III, IV, V. VI ჯგუფში შესასვლ. ღებულობს უცოდინარებსაც და ასწავლის
არითმეტიკის
მთელ კურსს მოკლე ხანში საბუღალტ. კურს. მისაღებად და მოანგარიშეთ ამზადებს და ასწორებს აგრეთვე სუსტ მოწაფეებსაც. პლეხანოვის გამზირი № 25. (შესავალი ჩერნიშევის 5. ალექსის ქ. კუთხიდან), 9—2 ს. 4—7 ს.
3—3 6505

ექიმი
ი. ი. ჭეიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყ. იღებს დილ 8 ს. 9 ს. და საღ. 6 ს. 8 ს.
მისამართი: კამოს ქ. № 72 (ყოფ. დიდმთავრის ქ.).

ამ.-კავ. კომუნისტური უნივერსიტეტის
დაუსწრებელი კურსების სექტორი
დაიწყო საშემოდგომო მიღება
ა/კ. კომუნისტური უნივერსიტეტის დაუსწრებელი სექტორის ძირითად, კომკავშირულ და პედაგოგიურ განყოფილებებზე.

1. კომუნისტური უნივერსიტეტის დაუსწრებელ კურსების სექტორი წარმოადგენს უმაღლეს პარტიულ სკოლას დაუსწრებელი სწავლების სისტემაში და მიზნად ისახავს პარტიული კვალიფიციური კადრების მომზადებას და გადამზადებას დამოუკიდებელი ხელმძღვანელი მუშაობისათვის პარტიულ, საბჭოთა, პროფესიონალურ და კოოპერატიულ სამეურნეო მშენებლობის დარგში რაიონული მასშტაბით.
2. კომუნისტური უნივერსიტეტის დაუსწრებელი კურსების სექტორის ძირითად განყოფილების კურს დამთავრებულნი ყოველმხრივ გათანასწორებულნი არიან ძირითად კომუნისტური უმაღლეს სასწავლებლებში კურს დამთავრებულებთან.
3 კომუნისტური უნივერსიტეტის დაუსწრებელი კურსების სექტორის სწავლების მთელი კურსი განსაზღვრულია 3 წლით.
მეცადინეობა სწარმოებს რუსულ, ქართულ, სომხურ და თურქულ ენებზე.
ის ამხანაგები, რომლებიც საჭიროებენ მომზადებას საერთო განათლების საგნებში, მიღებული იქნებიან 6 თვიან მოსამზადებელ განყოფილებაზე.
4 მთლიანი სასწავლო გეგმის სწავლებას გარდა, შეიძლება ცალკე დისციპლინებისა და ციკლის შესწავლა.
5. დაუსწრებელი კურსების სექტორის ძირითად, კომკავშირულ და პედაგოგიურ განყოფილებებზე მიიღებიან:
ა) საკ. კ. პ. (ბ) ს და ა. ლ. კ. კ-ის წევრები, რომლებიც ხელმძღვანელ სამუშაოს ასრულებენ პარტიულ, საბჭოთა, პროფესიონალურ და კოოპერატიულ სამეურნეო ხაზით რაიონული მასშტაბით, აგრეთვე საფაბრიკო საქარხნო პარტიული კომიტეტების ბიუროს წევრები და მსხვილი საწარმოო, საბჭოთა მეურნეობათა და კოლმეურნეობათა უჯრედების მდივნები.
ბ) საკ. კ. პ. (ბ) ს და ა. ლ. კ. კ.-ის ის წევრები, რომლებიც აწარმოებენ საპროპაგანდო მუშაობას პარტიული განათლების ქსელში და აგრეთვე უმაღლეს სასწავლებლების, ტეხნიკუმების და სოც. აღზრდის სკოლების საზოგადოებრივი დისციპლინათა მასწავლებლები.
გ) საკ. კ. პ. (ბ) ს ის წევრნი, რომლებიც „ა“ და „ბ“ პუნქტებით არ არიან გათვალისწინებულნი, მაგრამ რომელთაც აქვთ პარტიული სტაჟი არა ნაკლებ 2 წლისა და აგრეთვე აქვთ საზოგადოებრივი პოლიტიკური მომზადება საბჭოთა, პარტიულ სკოლების ძირითად ან დაუსწრებელი სწავლების [illegible].
დ) სახალხო განათლების უპარტიო მუშაკნი მიღებული იქნებიან იმ შემთხვევაში, თუ მათ მოავლენს კავშირი და ექნებათ საწარმოო სტაჟი არა ნაკლებ 4 წლისა და საზოგადოებრივი—არა ნაკლებ 3 წლისა.
ე) კომკავშირულ განყოფილებაზე მიიღებიან ის კომკავშირლები, რომელთაც აქვთ კომკავშირული სტაჟი არა ნაკლებ 3 წლისა (უმთავრესად პარტიის წევრები და კანდიდატები) ა. ლ. კ. კ-ის ის წევრები, რომლებიც არ ირიცხებიან პარტიის წევრად ან კანდიდატად, მაგრამ აქვთ კომკავშირული სტაჟი არა ნაკლებ 4 წლისა.
6) კომუნისტური უნივერსიტეტის დაუსწრებელი კურსების სექტორზე შესვლის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ უნივერსიტეტის სამანდატო კომისიაში არა უგვიანეს 10 სექტემბრისა:
ა) საკ. კ. პ. (ბ) რაიკომის მივლინების ბარათი.
ბ) პარტიული დახასიათება და ცნობები პარტიის უკანასკნელი წმენდის გავლის შესახებ.
გ) შევსებული და შემოწმებული ანკეტა.
დ) მოკლე ავტობიოგრაფია.

საკ. კ. პ. (ბ) ა/კ სამხარეო კომიტეტის
კულტპროპგანყოფილების გამგის მოადგილე—**გორდელაძე.**
ა/კ. კომუნივერსიტეტის დაუსწრებელი
სექტორის გამგის მოადგილე—**რამენდიკი.**

ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე-სასქესო ორგანოების, სიფილისისა და კანის ავადმყოფობა. დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 საათ ქალებისათვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას“ (უ. „ნოე“-ს) პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. 5—12

ნ. კონტოროვიჩი
თმის მკურნალობა და სამკურნალო კოსმეტიკა ძერჟინსკის ქ. № 9. (ყოფ. პეტრე დიდის ქ.) თმის. ფერის მჭამელას, ჭორფლის, მეჭეჭის, ნაოჭის და სხვ. მკურნალობა. ელექტრონის შუქით სამკურნალო უახლესი აპარატებისა და საშუალებების გამოყენება მიღება 11-დე 25—1

გ. ნ. ონანოვი
სიფილისი. ვენერიული და კანის სნეულებანი.
სქესობრ. სისუსტის მკურნალობა. ავადმყოფთა მიღ. დილით 9—11 ს. საღ 5—8 ს. კლარა ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) №3 25—20

დამწუხრებულნი ძმის შვილები: შალვა. მარიამი, ისიდორე, დათა, თამარი და კარლო, რძლები: ნინა, ელენე, ნუცა და ქეთო, სიძეები: სამსონ ყუფუნაძე და ვასილ მეაბძე იუწყებიან მათთვის დაუვიწყარ, უწყინარ თიას
ლუარსაბ მალხაზის-ძე ხეთერელის
გარდაცვალებას. გამოსვენება ბინიდან, გორის ქუჩა № 7 დღეს, 5 საათზე. 7030

ქუთაისის ხე-ტყის სახელმწ. ქარხნის კომ. უჯრედის ბიურო, ადგილკომი, მუშა მოსამსახურეებთან ერთად გამოსთქვამენ ღრმა მწუხარებას ძვირფასი ამხანაგის და მეგობრის ვასო კაკიტაძის შვილის
შოთა ვასილის-ძე კაკიტაძის
უდროოდ დაკარგვის გამო. დაკრძალვა 22 აგვისტოს, 3 საათზე. საფიჩხიის სასაფლაოზე ნ. 1608

უახლოესი მეგობრები: კატარმასოვსკი, დოლაბერიძე, ცაგარეიშვილი, გუნია. ხელაძე. მარჯანიშვილი, ბერიშვილი, [illegible], ბაქრაძე, ლომიძე, ხავთურიძე და გაბელაშვილი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ძვირფასი ამხანაგის ახალგაზრდა აგრონომის
არჩილ (ბუჭუნა) დავითის-ძე ავალიანის
უდროოდ გარდაცვალების გამო. დაკრძალვა ქ. ქუთაისში, 23 აგვისტოს, საფიჩხიის სასაფლაოზე 7038

ამიერ-კავკასიის საინჟენერო-მელიორატიული ინსტიტუტი
აცხადებს მასწავლებელთა და სტუდენტთა საყურადღებოდ, რომ ინსტიტუტის ქ. განჯაში გადატანასთან დაკავშირებით,
მეცადინეობა დაიწყება 1-ლ ოქტომბერს.
წინადადება ეძლევა ყველა კურსის მეორე (წყვილი) სემესტრების სტუდენტებს ამ დროისათვის გამოცხადდენ განჯაში. პირველი სემესტრების ჯგუფების მეცადინეობის დაწყების შესახებ, ცალკე იქნება გამოცხადებული.
ის სტუდენტები, რომლებიც ქ. განჯაში ჩამოვლენ დანიშნულ ვადაზე ადრე, არ იქნებიან უზრუნველყოფილნი საერთო საცხოვრებლით, დახმარებით და ლიტერებით.
ა/კ. საინჟენერო-მელიორატიული ინსტიტუტის
ნ. 1610 დირექცია.

ქვემოდ ჩამოთვლილი საბუთები
დაკარგული და მოპარული ჩაითვალოს გაუქმებულად

მუშკოოპის წიგნაკები: ვლადიმერ გელაშვილის № 39788. კირილე კახაძის № 344. ვასილ მიქაბერიძის № 1607 ერმალო გეწაძის № 1692. ანნა კაკულიასი № 277.
კავშირის წიგნაკები: მარო საბაჯელაძის № 7463. აკაკი ბოლქვაძის № 11011. მარო ქუპაშვილის № 9002. იოსებ აბურჯანიას № 289 ბათუ ჩხეტიასი № 88
პურის წიგნაკები: გიორგი ულუმბელაშვილის № 40405 7 სულის.
პირადობის მოწმობა: აკაკი ბოლქვაძის.
სამხედრო წიგნაკები: აკაკი ბოლქვაძის. სტეფანე თარაშვილის.
მეტრიკული ამონაწერი: მაკარი მშვიდობაძის დავით თოფურიასი.
სხვა და სხვა: დაზღვევის დროებითი მოწმობა № 824 ერასი ჩხაიძის. 7 წლ. მოწ. № 868 ნიკოლოზ კაჭარავასი წილაკვერვეს 4 წლიანი შრომის სკოლის რგვალი ბეჭედი. 7 წლ მოწმობა № 25 აგრაფინა ესაკიასი. 4 წლ. და თაგ. მოწ. № 110 მიშა სეფიაშვილის. სოც. ჰუმან. ტეხნ. კომის დ მთ. მოწ. № 213 ვლადიმერ კაჭარავასი „ზაკტპოს“-ს წიგნ. № 9514 აკაკი ბოლქვაძის. არტელის მოწ № 10 კირილე ჯიქიასი. ა/კ. გზათა მიმოსვლის ინჟინერების ინსტიტუტის მოწმობა № 1134 თინა ძაძის. „ზაკტპოს“ სამ. წიგნ. № 70270 ემელიანე სამსონაძის 7 წლ. მოწ. № 180 დავით თოფურიასი. ქარის ორდერის ხელწერილები, ხე-ტყის საანგ. სტანდარტ. ტაბულა იუსტინე ფარხაძის. პარტ. საკან მანდატი № 11343 ილია ბოჭორიშვილის. პარტ. საკან მანდატი № 20149 გრიგოლ გიორგაძის. 7 წლ დამთ. მოწ. № 462 ნიკოლოზ ფესვიანიძის სტოდ. პირადი წიგნაკი № 83 გერონტი წულაძის.

რკინის გზის ქირურგიულ განყოფილების მოსამსახურენი: ექ. ბერჟანაძე, ექ. ჯაფარიძე, [illegible], ჩოკლაევა და ჩიქვაიძე ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ექ. დავით ასათიანის ძის
ექ. ალექსანდრე მაქსიმეს-ძე ასათიანის
გარდაცვალების გამო. 7042

ქუთაისის რაიონის ექიმთა საზოგადოება მწუხარებით აუწყებს [illegible] თავისი წევრის
ექიმ ალექსანდრე (საშა) მაქსიმეს-ძე ასათიანის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ქუთაისში, საფიჩხიის სასაფლაოზე 22 აგვისტოს 6 საათზე. ნ. 1608

უახლოესი მეგობრები ალიოშასთან ერთად ვიზიარებთ მწუხარებას მისი გამზრდელი
ექიმ ალექსანდრე ასათიანის
დაკარგვის გამო. 7028

უახლოესი მეგობრები აგრონომები: პ. მახარაშვილი, გ. მინდიაშვილი, ე. დეკანოსიძე, ვ. [illegible], მ. შავდია. ვ. [illegible] და ს [illegible] ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ძვირფასი მეგობრის ახალგაზრდა აგრონომის
არჩილ (ბუჭუნა) ავალიანის
უდროოდ დაკარგვის გამო. 7034

ქუთაისის მუშკოოპის გამგეობა და მუშა-მოსამსახურენი მწუხარებით იუწყებიან მათი მდივნის დავით ავალიანის შვილის ახალგაზრდა აგრონომის
ა რ ჩ ი ლ ი ს
უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ქუთაისში 23 აგვისტოს, 6 საათზე საფიჩხიის სასაფლაოზე ნ. 1608

გაუბედურებული ცოლი ანნა, შვილები: ვერა, ქეთო, გიორგი, თამარა, დათიკო [illegible] შვილებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი
ერმილე მაქსიმეს-ძე კეთილაძე
დაკრძალვა 23 აგვისტოს, ხონში. 7037

დამწუხრებული და ელისაბედი, დისშვილები: პეტრე, ელიჩკა, თამარა, გიორგი. რძალი დონა ჩხენკელი აუწყებენ ნაცნობ ნათესავებს, რომ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი
ერმილე მაქსიმეს-ძე კეთილაძე 7037

პიმენ, მარიამ, არჩილ და ლევი ხობუები ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ძვირფასი და საყვარელი ბიძის
ერმილე მაქსიმეს-ძე კეთილაძის
გარდაცვალების გამო. 7036

სამუდამოდ გაუბედურებულნი მშობლები: ევგენია და აკაკი, ბებია დესპინე [illegible] ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნაცნობ ნათესავებს, რომ ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი ერთად ერთი ნუგეში, პატარა
საპუნიკა (დიანიკო)
დასაფლავება ქ. სამტრედიაში 22 აგვისტოს. ნ. 1609

გულმოკლული მშობლები: ივანე და ქრისტინე, ძმები: შალიკო და ვალოდია სტურუები იუწყებიან, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა
სერგო ივანეს-ძე სტურუა
დაკრძალვა 23 აგვისტოს ქ. სამტრედიაში ნ. 1612

თავზარდაცემული [illegible] მშობლები: ვარინკა და ბიჭიკო, და მატო, სიდედრი ვერა აუწყებენ ნათესავ-მეგობრებს, რომ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი
მიშა ჭავჭანიძე
დაკრძალვა ქ. ფოთში, კვირას 23 აგვისტოს. 1613

დამწუხრებულნი: და ლიზა. ძმა იასონი, რძალი ეფროსინე სიძე ფილიპე ბაქრაძე. დისშვილები: კარლო, მაგდალინა და ვენერა იუწყებიან, რომ [illegible] სასაფლაოზე 25 აგვისტოს 3 საათზე, დანიშნულია [illegible]
თომა ნიკოლოზის-ძე დონაძის
ხსოვნის აღსანიშნავად. 7029

დუშეთის საბავშვო ბაღის ხელმძღვანელები ელენე [illegible] და რიკო ბალიაშვილისა, ქსენია მანდელოვა, ლოლა ხერაიშვილი, ელენე [illegible] და ანიჩკა პროშკინი იუწყებიან დაუვიწყარ ამხანაგის
ეფემია ალექსანდრეს ას. როსტომიანცის
უდროოდ დაკარგვას დ საფლავება ქ. დუშეთში. 7032

საგაზეთო გამომცემლობათა სტამბა, „კოლექტივი“, კამოს ქ. № 68.
მთავლიტი № 904